№3. 2016 წ.

# იალქანი



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

**სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი”**

ᲘᲐᲚᲥᲐᲜᲘ - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
ᲐᲤᲥᲘᲝ - კონა-კრებული ყველაზე პატარებისთვის

რედაქტორი - **ᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ**

მხატვრული რედაქტორი - **ᲜᲣᲜᲣ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ**

პასუხისმგებელი მდივანი - **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲖᲐᲥᲐᲠᲐᲘᲐ**

მხატვარი - **ᲓᲐᲚᲘ ᲛᲣᲮᲐᲫᲔ**

„საგამომცემლო ცენტრის” დირექტორი

**ᲘᲠᲛᲐ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ**

იალქანი - დაარსებულია 1996 წელს

აფქიო - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს

**საგამომცემლო ჯგუფი:**
ᲒᲔᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲫᲔ, ᲜᲐᲢᲝ ᲙᲝᲠᲡᲐᲜᲢᲘᲐ, ᲜᲘᲜᲝ ᲕᲐᲮᲐᲜᲘᲐ, ᲒᲔᲚᲐ ᲩᲥᲕᲐᲜᲐᲕᲐ,
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ᲡᲝᲡᲝ ᲯᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ, ᲓᲘᲛᲐ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ.

**ყდა: „თოვლი და ცისფერი ქალაქი” - ᲓᲐᲚᲘ ᲛᲣᲮᲐᲫᲔ**








# ფრაგმენტები
## გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) აფხაზური დღიურებიდან

ესმა მანია
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი


ესმა მანია

აფხაზეთში მოგზაურობის ამსახველი ეს დღიურები, სიზუსტითა და შეულამაზებლობით, ამავე დროს, დინამიზმით საველე ჩანაწერებს რომ წააგავს, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსაა დაწერილი. ამ ტექსტების ღირებულებას, ხანდაზმულობასთან ერთად, ავტორი განაპირობებს. **ეს გაბრიელ ეპისკოპოსის (1825-1896 წ.წ.) დღიურებია!**

გაბრიელ ეპისკოპოსი აფხაზეთის ეპარქიას 1869-1886 წ.წ.-ში მართავდა. **აქ მან აღადგინა მრავალი დანგრეული ტაძარი, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია 18,000 აფხაზი...** ეს დღიურები აფხაზეთში მღვდელმთავრობის დასაწყისის პირველი შთაბეჭდილებებია, აღფრთოვანებებთან თუ სირთულეებთან ეპისკოპოსის პირველი შეხების ამსახველი წყარო!

ეს ტექსტები გარკვეული პერიოდულობით იბეჭდებოდა გაზეთ "კავკაზში". ამჯერად ჩვენ ამ გაზეთის ნომრებიდან ისტორიკოსის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის - ქრისტინე შარაშიძის (1889-1973 წ.წ.) მიერ ფრაგმენტულად გადმოწერილი ხელნაწერი პირით ვისარგებლეთ.

დღეს გაბრიელ ეპისკოპოსის დღიურების, თუ შეიძლება, ასე ითქვას, რეტროსპექტული ტექსტი ქრისტინე შარაშიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პირად არქივში ინახება. ტექსტი შესრულებულია ქრისტინე შარაშიძის ხელით ხან დედნის (ქართულ), ხანაც პუბლიკაციის (რუსულ) ენებზე, ხან პირდაპირ ნათქვამად, ხან მესამე პირში ან პერიფრაზის სახით.

რაც მთავარია, დღიურებში ასახული ტოპონიმები, ეთნოკულტურული ესკიზები, ადგილობრივ მკვიდრთა, ამ შემთხვევაში, ეპისკოპოსის მასპინძელთა ხასიათები, გეოგრაფიული და კულტურული ლანდშაფტი თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც აცოცხლებს დასწრების ეფექტს და საგულისხმო ბმულებით გვაკავშირებს თანამედროვეობასთან.

აქ, ამ ე. წ. "მეორეულ" ბარათებზე არც ქრონოლოგიური პრინციპია დაცული და არც გეოგრაფიული, ზოგჯერ სიუჟეტებიც არ არის დასრულებული ან სულაც თეზისურია, მაგრამ დაცულია ყველაზე მთავარი - უშუალო, პირდაპირი, შეულამაზებელი, ზუსტი, მართალი აღქმის პრინციპი. როცა წინ გაბრიელ ეპისკოპოსის დღიურები გვიდევს, ტექნიკური ხარვეზები მეორეხარისხოვანი ხდება...

[გაბრიელ ეპისკოპოსი] 18 სექტემბერს გაემგზავრა პატარა კრებულით [აფხაზეთში]. 22-ს სოხუმში ჩავიდა. გამოაჩნდა ციება, რომელიც მაისიდან სტანჯავდა. იძულებული გახდა, ემკურნალა სოხუმში.

20 სექტემბერს 2 საათის ცხენით სიარულის (ლამაზ ხეობაში, ტყეებსა და აქა-იქ გაფანტულ აფხაზურ ფაცხებს შუა) შემდეგ მცირე მთის მწვერვალს მიაღწიეს, აქედან საუცხოო სანახაობა იშლებოდა. მარჯვნივ მოჩანდა შავი ზღვის ნაწილი, რომლის მზეზე მოელვარე ზედაპირი თვალს სჭრიდა კაცს. აქა-იქ დასრიალებდნენ ბელუგები, ბარკასები* და შორს კვამლის გრძელი ზოლები გემების მიმართულებას აღნიშნავდნენ. მარცხნით კი მოჩანდა მთელი ბიჭვინთის ოლქი. ხშირ ტყეებს შორის, რომელთაც ჯერ


გაბრიელ ეპისკოპოსი

* - პატარა ხომალდი.



ბიჭვინთის მონასტერი

არ მიხდოდათ ფოთლების სიმწვანე, აქა-იქ კვამლი ადიოდა აფხაზთა საცხოვრებლებიდან. შორს კი მოჩანდა კავკასიის მთები, რომელთა დათოვლილი მწვერვალები ელვარებდნენ მზის სხივებზე.

[წარმოითქვა] სადღეგრძელოები აფხაზეთის წარმატებისა და აყვავებისთვის, (ისმოდა) მუსიკა (სამხედრო), აფხაზების „ურა!“ ნასადილევს აფხაზების ნაციონალური ცეკვა და სიმღერები. ამ მხიარულებაში მონაწილეობა მიიღეს გაბრიელისა და გეიმანის მხლებლებმაც. დღე დამთავრდა აფხაზური ჯირითით.

26 სექტემბერს [ეპისკოპოსმა] სოხუმის სამხედრო ტაძარში წარმოთქვა სიტყვა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისთვის. განახლებული იყო ბიჭვინთის ტაძარი, [სადაც გაიმართა] საკურთხი.

ბიჭვინთაში წვიმა ასხამდა. ღამე მიადგნენ ნაპირს. გაბრიელსა და გენერალ გეიმანს შეეგებნენ მრავალი აფხაზები ბაკლებით ხელში. ტაძრის გალავანს გარშემო ყოველი ხის ძირას ენთო კოცონები და ლამაზ ჯგუფებად იდგნენ აფხაზები. სანთლებით გაჩირაღდნებული ტაძრის საკურთხეველში შევიდა გაბრიელი. საკურთხევლის საიდუმლოებით სავსე ბინდ-ბუნდი უნებლიეთ მოქმედობდა სულზე. მან მუხლი მოიდრიკა უზარმაზარი ტრაპეზის წინაშე, რომელზედაც ამდენი საუკუნის მანძილზე უამრავ მწყემსმთავარს აღუვლენია ღვთისადმი უსისხლო მსხვერპლი... გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს, რათა დაუბრუნოს ამ ადგილს მისი ძველი სიწმინდე და დიდება და ძველებურად მოჰფინოს აქედან სარწმუნოების შუქი მთელს მხარეს.

27-ს აკურთხეს ტრაპეზი ასეული აფხაზის თანდასწრებით, რომლებიც პირველად ხედავდნენ ასეთ ზეიმს და კარგი შთაბეჭდილება უნდა [მიეღოთ]. გაბრიელმა სიტყვით მიმართა აფხაზებს, უამბო მათ ტაძრის მოკლე ისტორია.

[ეპისკოპოსს] დრანდასთან უნდოდა მისვლა. აქ მას შეხვდა თავადი გრიგოლ შერვაშიძე და მისი ამალა (აზნაურებისა), რომლებმაც ის სამურზაყანომდის მიაცილეს.

საუცხოო კაკლის ხეების ტყით მივუახლოვდით დრანდას. დრანდის უძველესი ეკლესიის გუმბათსა და კედლებზე მთელი პატარა ტყე ამოსულიყო. დიდი, სქელი აგურები, რომელთა მსგავსი არსად შემხვედრია, არ ჩამოუვარდება თლილ ქვას. [ტაძარი] არქიტექტურითაც ორიგინალურია. მსგავსი არ შემხვედრია. მთავარი მისი ნაწილი - სწორკუთხოვანი ოთხკუთხედი. დაბალ კედლებს ხურავს არამაღალი, მაგრამ სიგანით მეტად ვრცელი გუმბათი, რომელიც თავისებურია იმით, რომ მის გარშემო გამოჭრილი მცირე, მაგრამ ხშირი სარკმლები მდებარეობენ გუმბათის საფუძველზე. ოთხივ კუთხეში ოთხკუთხედი მინაშენები აქვს. კედლები და თაღები სრულებით მთელია და გაბზარულიც არ არის. [მღვდელმთავარმა] მიიღო ზომები [ტაძრის] გასუფთავებისა და დაცვისთვის.



დრანდის მონასტერი

ღამე ერთი ქვრივის სახლში გავათიეთ. ეს სახლი უბრალო აფხაზის საცხოვრებლის ტიპიურ ნაგებობას წარმოადგენს და ასაწერად ღირსია, თუმცა არ შეიძლება, მას სახლი ვუწოდოთ. ეს არის ქოხი თხილნარის წნელით დაწნული. ზოგჯერ მას შიგნიდან და გარედან თიხით გამოლესავენ ან გვიმრით შებურავენ. იატაკი მიწისაა, ჭერი არ გააჩნია. ქარი ყოველი მხრიდან თავისუფლად უბერავს. ალბათ, წვიმაც ჩაედინება უვარგისი სახურავიდან.


მოქვის ეკლესია

მოქვი. აქ ანჩაბაძემ შვილის მონათვლა მთხოვაო 1868 წელს. ამიტომ თუმცა [ეპისკოპოსი] დასუსტებული იყო, მაინც წავიდა. იქ მართლაც დახვდა თ. ანჩაბაძე. [გაბრიელი] ჩამოხტა ცხენიდან და დაიწყო ქადაგება ხის ძირში. გააცივა, მაგრამ არ შეწყვიტა საუბარი. არწმუნებდა [ხალხს], მიიღეთ ქრისტიანობაო. უამბობდა, როგორი სიხარულით ხვდებოდნენ ნათლულები. მე ხომ მათთვის არავითარი მატერიალური სარგებელი არ მიმიციაო, ისინი გრძნობენ, რომ კარგ გზას დაადგნენო. დიდი სიცხე მისცა. ექიმი გამოიძახეს ოჩამჩირიდან, მაგრამ ანჩაბაძეები მოინათლნენ.

როცა ცხენზე ვჯდებოდით, ერთი აფხაზი ინალ-იფა მომიახლოვდა და მომმართა მცირე სიტყვით, რომელშიც ჯერ მაქებდა და მადლობას მეუბნებოდა დარიგებისთვის, შემდეგ გამომიცხადა, რომ მათ შეიგნეს ჩემი ქადაგება და არ სურთ, ემსგავსონ უნაყოფო ხეს. მაგრამ ამისთვის ჩვენ უნდა ვისწავლოთო და მთხოვა კარგი ეკლესიის სკოლის აგება. მე შევპირდი, მაგრამ ვუთხარი, რომ ისინი ყველაფერს მთავრობისგან კი არ უნდა მოელოდნენ, არამედ თვითონ გაიღონ მსხვერპლი თავიანთ განათლებისთვის.

30-ში ოქუმის ეკლესიაში სწირა, სადაც მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. სწირა რუსულად, რუსულად გალობდნენ მოწაფეები. ქადაგება (ეტყობა, ქართული) მეგრულად ითარგმნა. აქ სხვა ცრუმორწმუნეობათა შორის არის ერთი უცნაურობა: მთელს აფხაზეთში გავრცელებულია სამჭედლო ქურის თაყვანისცემა - მსხვერპლად სწირავენ თიკნებს, ქათმებს, თაფლის სანთლებსაც კი. სამჭედლოს თაყვანისცემა და შიში იმდენად დიდია, რომ ფიცით წარმოთქმული სამჭედლოსთან ან დაფიცება სამჭედლოთი ყველაზე ძლიერად და დაურღვევლად ითვლება. რაღაც ამდაგვარი სამეგრელოშიც არსებობს; სამჭედლოებისადმი ცრუმორწმუნე შიში და ის აზრი, რომ მჭედლებს კავშირი აქვთ ავ სულებთან, ამბობენ, რუსეთის მრავალ ადგილას არსებობსო.

ბედიის ძველი ტაძარი. გაუქმებული. მიდამოებით ყველა დანარჩენს სჯობნის. კედლები მთელია და მკვიდრია თაღებიც, მხოლოდ ერთგან ჩამონგრეულია. შიგნით საქონელი. ნანგრევებია გარშემო სამრეკლოსი და ქვითკირის უწყებისა. ეტყობა, აქ მონასტერი ყოფილა. განახლება კარგია!

მოველოდი დიდებული ეკლესიის ნახვას. [ილორი] პატარა ქვის ეკლესიაა, შიგნით საკმაოდ ბნელი. თუ თვითონ შენობა არ არის იმდენად შესანიშნი, თვით ეკლესიაში მრავალი შესანიშნი ნივთი ინახება, რომელიც ამართლებს ამ ტაძრის დიდებას.

ილორიდან მოყოლებული, მთელს სამურზაყანოში მეგრული ენა ბატონობს. ამის გამო აქ ყველგან მხოლოდ ქართულად სწირა [გაბრიელმა]. მეგრულად უთარგმნიდნენ მის ქადაგებებს ხალხს. მან დაათვალიერა ძველებური ხატები, რომელთაგან მრავალს ჰქონდა ისტორიული მინაწერი, ასევე, საკუჭნაოში, დიდი რკინის სკივრში მრავალი ოქროსი და ვერცხლის ნივთები და თვალმარგალიტი ნაირ-ნაირი... უძველესი საეკლესიო ჭურჭლეულობა, იშვიათი ფორმის წარწერებიანი, ჯაჭვები, ძეწკვები, ბეჭდები, ადამიანების, ფრინველების ვერცხლის გამოსახულებები. ზოგი ნივთი იმდენად ორიგინალურია, რომ ღირს მათი პირების გადაღება და აღწერა არქეოლოგებისათვის.


ილორის ეკლესია

**XIX ს.-ის 80-90-იანი წლების რამდენიმე ქრონიკა:**

1880 წელს სოხუმში აიგო რკინის ნავსადგური სავაჭრო და სამგზავრო გემებისთვის;

1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილება ("*Военный Округ*") გადაიყვანეს სამოქალაქო უწყებაში და ეწოდა "სოხუმის ოლქი";

1885 წელს სოხუმის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა პირველი ქართული სპექტაკლი;

1886 წელს ქალაქში საგასტროლოდ ჩამოვიდა ქუთაისის თეატრალური დასი ლადო მესხიშვილთან ერთად;

1886 წელს ქალაქის განაპირა ტერიტორია გადავიდა დიდი მთავრის - ა.მ. რომანოვის მფლობელობაში და იმ დროიდან სოხუმის ეს ეგზოტიკური კუთხე იწოდება "სინოპად". გაიხსნა დეკორატიული მცენარეების დიდი კომერციული სანერგე.

მოსკოველი ყვავილებით მოვაჭრე, ვინმე ნოევმა, რომელიც მოსკოვის საყვავილე მაღაზიებს წლების მანძილზე პოლანდიიდან ჩამოზიდული ნარგავებით ამარაგებდა, სოხუმში შეიძინა ნაკვეთი და დაიწყო ყვავილების მოშენება.

1893 წელს ნოევმა გამოიყვანა პირველი სამამულო ჰიაცინტი.

1899 წელს რუსმა მეცნიერმა, პროფესორმა ოსტროუმოვმა თხოვნით მიმართა სოხუმის ქალაქის მმართველებს ახალი საავადმყოფოს აშენების შესახებ, რისთვისაც პირადად მან 40 000 რუბლი გაიღო. ქალაქის სათათბიროს მასვე დაავალა საავადმყოფოს ასაშენებლად შემოწირულობათა შეგროვება. 1902 წლისათვის მის აგარაკთან ახლოს დასრულდა საავადმყოფოს მშენებლობა.

ამჟამად ესაა ოსტროუმოვის სახელობის ქალაქის პირველი საავადმყოფო.

1899 წელს სოხუმში პირველად უნდა ჩატარებულიყო საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები. სოხუმელმა ქართველებმა თავის კანდიდატად წამოაყენეს ფრიად განათლებული და ულალატო - ალექსანდრე სარაჯიშვილი, რასაც მხარი დაუჭირეს ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა.

მაგრამ ქალაქის რეაქციულმა ძალებმა - "შავრაზმელებმა" გააყალბეს არჩევნები და სოხუმის თავკაცად ქართველთმოძულე - ვინმე ბერენსი დანიშნეს.*

თუმცა ამ ფაქტს სასიკეთო გაგრძელებაც მოჰყვა.

აფხაზეთში ყოფნის დროს ალექსანდრე სარაჯიშვილმა შეიტყო, რომ ბიძამისს, მეფის ნაცვლის საბჭოს მრჩეველს, სოხუმის ოლქში, კერძოდ, დალის ხეობაში (დღევანდელი კოდორის ხეობა) ძმისშვილისათვის ანდერძად დაუტოვებია ათას ჰექტარზე მეტი სავარგული. რატომღაც "უპატრონოდ მიჩნეული" ნაძვი, ბზა თუ თხმელა სახელმწიფო ქონების ადგილობრივმა აგენტმა ჯერ უმოწყალოდ გაჩეხა და მერე ხე-ტყის მწარმოებელ, ვინმე ფოლოკვერს მიჰყიდა.

სოხუმში ჩამოსულმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა ჯერ აღიდგინა სამემკვიდრეო უფლებები, მერე ხაზინას უჩივლა არჩეხილ-განადგურებული ნარგავების გამო და 40 000 რუბლის ჯარიმაც დააკისრა სახელმწიფოს.

დალის ხეობაში ქართველების ჩასახლებაზე ფიქრი მან უკვე ამის შემდეგ დაიწყო. პირველი მსურველები აღმოჩნდნენ სვანები. იმთავითვე თითო-ოროლა თუ იყო მოხალისე-არენდატორი, მერე მათმა რიცხვმა თანდათან იმატა.

როგორც აღნიშნავს თედო სახოკია თავის წიგნში "ჩემი საუკუნის ადამიანები", "ადგილობრივი შავრაზმელი ადმინისტრაციის თვალში სვანები გამოჩნდნენ ისეთ ელემენტებად, რომლებიც "ხელს უშლიდნენ" რუსეთიდან გადმოსახლებულთა აქ დასახლებას. იყო ისეთი მომენტიც, როცა ოფიციალურად მოითხოვეს უკვე დასახლებული სვანების აყრა აქედან, თითქოს დასასახლებლად თავისუფალი მიწები სხვა არა ყოფილიყო აქ".

*** - ამის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა "იალქანში" (№27).**


ნუგზარ შატაიძე

ერთი ცნობილი არაკის მიხედვით, ღმერთი კაცს ვიდრე სისხლს არ დაანთხევინებს, არაფერს მისცემს. ვინ იცის, რა ტკივილები უნდა ეწვნია ნუგზარ შატაიძეს თავისი მოთხრობების წერისას, რა განცდებით უნდა მისულიყო თავისი ნაწარმოებების გმირებამდე. რეზო ინანიშვილისა და გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით მოხიბლულმა მოჰკიდა ხელი კალამს და მათსავით დიდი გულის, ადამიანობისა და ნიჭის წყალობით შესანიშნავი სამყარო აჩუქა ქართველ მკითხველს.

აფხაზეთის თემას ნუგზარ შატაიძემ რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა. ვის არ უნახავს მისი სცენარებით გადაღებული ფილმები "სიმინდის კუნძული" და "გაღმა ნაპირი". ეს უკანასკნელი გადაღებულია მოთხრობის - "მოგზაურობა აფრიკაში" მიხედვით. ჩანს, ჩვენთვის დღეს აფხაზეთი უფრო შორს არის, ვიდრე აფრიკა.

იუმორითა და სითბოთია გაჯერებული მოთხრობა "სადღეგრძელო". ვფიქრობთ, ნუგზარ შატაიძის მადლიან ქართულ სიტყვასთან შეხვედრა "იაქნის" მკითხველს დიდ სიხარულს მიანიჭებს.

# ზამთრის სურათი

ნუგზარ შატაიძე

სუფრას სამნი უსხდნენ: დომბური, კოლა და მაღალი გივია.

დომბური თამადაა, მაღალი გივია – მასპინძელი და ამიტომაც დიდი, ხუთჩარექიანი ხელადიდან ღვინოს ის ასხამს.

კოლა ამათი ძმაკაცია.

მასპინძლის 15 წლის ბიჭს – ვასიკოს ბუხარში შეუყვია თავი და მწვადს წვავს.

კაცებს საჭმელი მოუნარიკლებიათ* – სუფრაზე პური და მწნილიღა უდგათ თეფშებით.

დომბური სადღეგრძელოს აჭიანურებს – მწვადს ელოდება, თვალი წამდაუწუმ ბიჭისკენ გაურბის.

- ჰა, კაცო, გაშრა ყელი! – ამბობს გივია.

დომბური სავსე ჭიქას აიღებს, ღვინოში ცერა თითს ჩაყოფს, შიგ ჩავარდნილი პურის ნამცეცი უნდა, რომ ამოიღოს, წვალობს, მაგრამ ვერაფერს უხერხებს. ბოლოს ისევ ბიჭისკენ გაექცევა თვალი:

- რად უნდა, ბიჭო, მაგდენი?! მიიდე ლოყაზე, თბილია – მაიტა!

ბიჭი ბუხრიდან გამოიხედავს – სახე წითლად უღვივის, კვამლისაგან თვალები ეწვის:

- უმია, ძია...

- მგელი სულ უმსა სჭამს და როგორი ბიჭია?

კოლას გაეცინება, მაღალ გივიასაც. დომბური გაკვირვებული უყურებს იმათ.

ბიჭი შამფურებს გადააბრუნებს და ნაკვერჩხალს სულს შეუბერავს. გული გარეთ მიუწევს.

გარეთ კი თოვს, თოვს, რომ მეტი არ იქნება!

თეთრი, ფაფუკი თოვლი დევს ეზოებში, სახლის სახურავებზე, გზაზე, ღობეებზე. თოვლით შესუდრულა სოფლის შემოგარენიც – დიდი, განიერი მინდორი, რომელსაც „ნაფეტვრებს" ეძახიან. შორს, ნაფეტვრების ბოლოში მოჩანს განაცრისფერებული ტყისპირი.

ბიჭი წარმოიდგენს, რომ ტყისპირიდან მგელი იცქირება – დიდი, აი, ამ დომბურისოდენა ხვადი. გაუნძრევლად დგას. ხშირ ბალანზე თოვლი დასდის და დაჟინებით უყურებს თოვლში ჩაჩუმქრულ** სოფელს, საკვამურებიდან ამომავალ ბოლს, მისდის მწვადის სუნიც.



- მგელი სულ უმსა სჭამსო! - როხროხებს მაღალი გივია.

- ჰო, რა იყო, ტყუილია?! – ბრაზობს დომბური.

- მიიდე ლოყაზე, თბილია - მაიტაო! – იცინის კოლაც.

კაცებს ღვინო მოჰკიდებიათ.

ბიჭს ჩუმად, თავისთვის ეღიმება.

იქ კი, ნაფეტვრების ბოლოში, თოვლით ჩამობურულ ტყეში, დათოვლილი ჯაგრცხილის ქვეშ მართლაც დგას დიდი ხვადი მგელი და სოფლისკენ ანთებული თვალებით იცქირება.

* - ბოლო მოუღეს, ამოჭამეს.

** - რაც თოვლში, ნამქერშია ჩაფლული.

# სადღეგრძელო



სუფრა რომ აირევა, აიშლება და ფეხზეღა ვდგავართ, რომ ოჯახი დავლოცოთ, საყველაწმინდაო შევსვათ და სახლებში წავიდ-წამოვიდეთ, ეს მაშინ ახირდება, ციყვი: – ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთო! ჩვენ – არა, ჩვენ რაკიღა ვიცით, რაც უნდა თქვას, სიტყვას ბანზე ვუგდებთ, ვუტრიზავებთ,* ხმას არ ვაღებინებთ, მაგრამ ყველამ ხომ არ იცის მაგისი ამბავი: უყურებენ – კაცია, ჭიქა უჭირავს ხელში, სადღეგრძელოსა თხოულობს. რა ქნან, არ ათქმევინონ? თქვიო და რო იტყვის, წაიგდებენ წიხლქვეშ, სცემენ, ჰკლავენ, ჯგვლემავენ.

შარშან ზამთარს კავთისხევიდან გადმოიტანეს ცოცხალ-მკვდარი – ორი ნეკნი ჰქონდა გატეხილი; წელს ერთმა კასპელმა ბიჭმა, აფხაზეთში ნაომარმა, ადინა ბური** და აგე, ახლა კიდევ ქალაქელებს უცემიათ კენჭყარაზე. ხო ნახე, თავპირდასისხლიანებულმა რომ ჩამოიარა!

წინათ ეგეთი როდი იყო – მაგისთანა უთქმელი, თავჩაღუნული მეორე არ დადიოდა სოფელში. ისე იყო ცოლისგან დაშინებული, ხმას როგორ ამოიღებდა! დადიოდა, დაიზუზებოდა. რო გეძახა, მოდი, ბიჭო, მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიე, დაგვლოცეო, ერთს არ გამოიხედავდა.

არც ჩვენ ვუტალახებდით კარსა – მაგისი აშარი ცოლის შიშით ვინ მიეკარებოდა! ხომ გაგიგონია – უშვილო და პურადძვირიო – შხამის პურს შეგაჭმევდა, ბალღამის ღვინოს დაგალევინებდა. წყევლა ისეთი იცოდა, ზეციდან ფრინველს ჩამოიღებდა! თავისი რომ არა ჰყავდა, სხვის შვილებს აფარებდა ქვის ქვეშ.

არ ვიცი, იმ შხამმა უყო, რამ უყო, გაუჩნდა ის ავადსახსენებელი სენი, იავადა, იავადა და მოკვდა, საწყალი... დარჩა ეს ციყვი მარტო.

ჯერ ცოლი ჰყავდა, რა იყო და მერე ხომ სულ გაბედრანგდა – დადიოდა ჩამოგლეჯილი, ჩამოფლეთილი, ჭუჭყიანი, ტურტლიანი. ტყე და ნახირი, ნახირი და ტყე – გაველურდა, გაუბედურდა. ახლა ეს არეულობაც ზედ დაერთო! ხალხს საკუთარი თავი გასჭირვებოდა, იმისთვის ვინ მოიცლიდა; შუქი – არა, ფული – არა, სასმელ-საჭმელი – არა. ყველას ძარცვა-გლეჯაზე ეჭირა თვალი: ჯერ ვენახი გაუკრიფეს, მერე ცხვრები დაჰპარეს, ძროხა წაართვეს.

დარჩა ეს საწყალი ღვთის ანაბარა.

მაგრამ, ნათქვამია, ობლის კვერი ცხვა, გვიან გამოცხვაო! მოუვიდა ამასაც ეგრე: აბა, მაშინ ხომ აფხაზეთიდან იმდენი ლტოლვილი დაიძრა! ჩამოვიდა აქაც, ჩვენს სოფელშიც ერთი ოჯახი: დედაა – მოხუცებული დედაკაცი, შვილი – ლამარა, გაუთხოვარი ქალი და ორიც ბალღი – პატარები, გოგო და ბიჭი.

რა მოსვლიათ ახლა ამათ, ამ საწყლებს: გაგრაში რომ რუს-აფხაზ-ჩეჩნები შევიდნენ, ამ დედაკაცის რძალი და შვილი – ამ ბალღების დედ-მამა – სტადიონზე დაუხვრეტიათ; ესენი გადარჩენილან, გამოუსწრიათ და რაკიღა ჩვენს სოფელში ქალი ჰყავდათ გამოთხოვილი (გოგიასა ჰყავს, არხეინას ბიჭს), ამასთან ჩამოვიდნენ. აფრინეს აქედან დეპეშა მაგადანში, სადაც ამ დედაკაცის უფროს ვაჟს უცხოვრია თავისი ჯალაბით, ასე და ასეა ჩვენი საქმე, ჩამოდი, მოგვხედეო.



სანამ ის იქიდან ჩამოვა, ცხოვრობენ არხეინას ბიჭთან, მაგრამ იმას თავისი თავი გასჭირვებია, საკუთარი ცოლ-შვილი ვერ შეუნახავს და ამათ რა უყოს? იოლი ხომ არ არის ერთბაშად ოთხი მჭამელის შემომატება! რა ქნას, რა გზას დაადგეს?..

იფიქრა, იფიქრა და არ ვიცი, თვითონ მოიფიქრა თუ სხვამ ურჩია ვინმემ, მიუგზავნა ერთხელაც ციყვს ჩვენი ქალები: – როდემდე უნდა იარო ეგრეო, ცოლი არ უნდა შეირთოო?! ნახე ერთი, როგორი მეგრელის ქალი გვყავს შენთვის შეგულებულიო!

მართლაც, ისეთია ის დალოცვილი, ისეთი, რომ აი, თეძოები! თანაც, უმაღლესდამთავრებული, მასწავლებელი! ამან ჯერ შორს დაიჭირა – რა ცოლი, რის ცოლიო,



* - სასაცილოდ აგდება, არაფრად მიღება.
** - სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტვერი.



მაგრამ მერე ჩავერიეთ კაცებიც საქმეში და დიდად აღარ გაგვძალიანებია, ერთი კი მოიქექა ის ტურტლიანი თავი – ჰა, რაც არი, არიო!..

გავაცხელეთ მე და გივიმ დიდი საარაყე ქვაბით წყალი, ჩავსვით ვარცლში – დავბანეთ, გავღვრიჭეთ, გავხეხეთ. მოვუყვანეთ დალაქი – გაპარსა, გაალამაზა. მივუტანეთ ზოგმა შარვალი, ზოგმა – ხალათი, ზოგმაც – ფეხსაცმელი. ჩავაცვით, გამოვკვანწეთ. ისეთი გახდა, ვეღარა ვცნობთ – ვუყურებთ, გვიკვირს, გვეცინება.

გადავუხადეთ პაწია ქორწილი – უმღერლად, უდავიდარაბოდ. დაიწყეს ერთად ცხოვრება. ამასობაში ჩამოვიდა ამ ქალის – ლამარას ძმაც. ნახა, რომ და გასთხოვებია, გაიხარა, ციყვს ათასი დოლარი აჩუქა, წაიყვანა დედა და ძმისშვილები და წავიდა ისევ იმ თავის მაგადანში.

დადის ეს სულელი ციყვი, ხან ვის მიადგება კარზე და ხან კიდევ – ვის: რა ვქნაო, რა ვუყო ამ ფულსაო, მანქანა რო ვიყიდო, ტარება არ ვიციო, არადა, რა ვუყოო?!

მე ვუთხარი: ბიჭო, შენა თავი ხო არაფრისთვის მიგირტყია-მეთქი?! მანქანა რა ჭირად გინდა, ძროხა იყიდე, ცხვრები, გოჭები, რა ვიცი, ოჯახს ათასი რამე უნდა-მეთქი!

დამიჯერა, იყიდეს ორი კარგი ფურ-კამეჩი, სამი თხა, მოზრდილი ბურვაკი.

ეს მეგრელის ქალი ძალიან ყოჩაღი გამოდგა: დაალაგა, დააწკრიალა იქაურობა, სახლი სახლს დაამსგავსა, კარი – კარს. ის იმდენი წლის ნაგროვები ნეხვი, ფეხს რომ ვერ აუქცევდი, ვენახში გაიტანა, ფეხის ალაგი – სახლუკან. ეზოში სულ ნამყენი ვარდები ჩაყარეს. მალე ქალი დაორსულდა და ცხრა თვეში კარგა ბობრი* ბიჭი გამოაგორა, მერე – მეორე ბიჭიც.

ისეთი გახდა ეს ციყვი, ისეთი, რომ მამალ ბუზს აღარ ისვამს თავზე. შრომა არც ადრე ეზარებოდა და ახლა ხომ სულ გაბაბაგალდა** – ხელს აღარ აჩერებს! ნაფეტვრებში მიწა მოხნა, სიმინდ-ლობიო დათესა, ისეთი მოსავალი მოუვიდა, აღარ იცის, რაში ჩასტიოს! მომძლავრდნენ, მოიქონიეს. აბა, ერთი მაგათ ეზოში გადაიხედე – ფარა-ფარა დაუდით ქათმები. წველა შინა აქვთ და დღვება – სულგუნი ამოჰყავთ, ნადუღს აკეთებენ. ციყვი ღომის ჭამას დაეჩვია! თავიდან ძალიან გაუჭირდა – ჯერ ფაფასავით ჭამდა: დააყრიდა მარილს, გადაზელავდა, ჩაუდებდა შუაში ერბოს და ეგრე მიირთმევდა.

ახლა არა, ახლა დაიკაპიწებს და მიდიი! ლამარა კიდევ, დალოცვილი, ისევ ფეხმძიმედ არი – გოგო უნდათ.



ჰოდა, სუფრა რომ აირევა, აიშლება და ხალხი ფეხზეღა დგას, რომ ოჯახი დალოცონ, საყველაწმინდაო შესვან და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, ეს მაშინ ახირდება, ციყვი – ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთო!

ჩვენ ვიცით, რაც უნდა თქვას და სიტყვას ბანზე ვუგდებთ, ვუტრიზავებთ, ჭიქას ხელიდან ვტაცებთ, მაგრამ ვინც არ იცის – კარგიო, თქვიო და ისიც:

– ამ ჭიქით არძინბას გაუმარჯოსო, ის რომ არა ყოფილიყო, ამისთანა ქალს მე ვინ მაღირსებდაო!

– ვისაო? არძინბასაო? – წაიგდებენ წიხლქვეშ, სცემენ, ჰკლავენ, რაღას არ უშვრებიან – აგე, ხო ნახე, წეღანაც თავპირდასისხლიანებულმა ჩამოიარა.

მაგრამ არ იშლის, თუ გინდა, მოკალი, მაინც არ იშლის!

* - ქერა.

** - ბაბაგალი - მშრომელი, გამრჯე.

# ანაკოფიის ციხე-სიმაგრე

## VII - VIII ს.ს.

ანაკოფიის მეორე სახელია ივერიის მთა, რომელსაც XIX ს.-იდან ათონი ჰქვია, რაც ბერძნულად ნიშნავს „მყუდროს".

ახალი ათონი სოხუმიდან დაშორებულია 20 კმ-ით (გუდაუთის რაიონში).

ანაკოფია აფხაზთა სამთავრო-საერისთავოს ცენტრი (მთავარი ქალაქი) იყო.

არაბების ხშირი შემოსევებისგან თავდაცვის მიზნით ივერიის მთაზე (ზღვის დონიდან 350 მ-ზე) VII ს.-ში აშენდა ანაკოფიის ციხე-სიმაგრე.

ვახუშტი ბაგრატიონი ამასთან დაკავშირებით წერს:

„ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქაც ერეკლეოს კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზთა... ქალაქი კეთილი შემდგომად ბაგრატიონთაგან განდიდებული".

ანაკოფიის ციტადელი ქვის გალავნით შეკრულ ძლიერ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით, აუზითა და კირის გამოსახდელი ღუმლით. აკროპოლისის შუაში დგას საინტერესო არქიტექტურის ანაკოფიის ტაძარი. აღსანიშნავია, რომ მის ნანგრევებში XIX ს.-ში ჩადგეს კედელი, რომელშიც X-XIII ს.ს.-ის სხვადასხვა წარმომავლობის ჩუქურთმებიანი და ფიგურული რელიეფებით შემკული ქვები ჩააყოლეს. ტაძრის შიგნით შემორჩენილია რამდენიმე არქიტექტურული დეტალი თევზის, ლომისა და ჯვრის გამოსახულებებით.


ანაკოფიის ციხე-სიმაგრე

ანაკოფიის ციხე-სიმაგრეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი უკავშირდება.

ეს იყო VIII ს.-ში, 738 წელს, როცა ქართლის ერისთავების - მირისა და არჩილის, აფხაზეთის ერისთავის - ლეონ I-ის გაერთიანებულმა ლაშქარმა ანაკოფიასთან სასტიკად დაამარცხა არაბი სარდალი მურვან-ყრუ და მისი 60.000-იანი ჯარი.

ისტორიული ცნობებით, ქართველებს თურმე 3.000-ზე მეტი მეომარი არ ჰყავდათ. მაგრამ ღვთის შეწევნით მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: ვირუსულმა ეპიდემიამ 35.000-მდე არაბის სიცოცხლე შეიწირა, 3.000-მდე სპარსელი კი ანაკოფიის ციხე-სიმაგრეზე შეტევის დროს დაიღუპა.

ასე დატოვა მაშინ დამარცხებულმა მურვან-ყრუმ აფხაზეთი.

VIII ს.-ის მიწურულს აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა და მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა. აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში გადაიტანა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. აქ იდგა სამეფო ჯარი, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ანაკოფიის ციხე-სიმაგრის გათხრების დროს იპოვეს საქართველოს მეფის, გიორგი II-ის (1072-1089 წ.წ.) მონეტა ქართული წარწერით: „ქრისტე, განადიდე აფხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი".

X-XV ს.ს.-ში განაახლეს ანაკოფიის ძველი ნაგებობები. ციხე-ქალაქის კედლები უკვე ზღვის ნაპირამდე აღწევდა.

ამჟამად ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი თითქმის დანგრეულია.

ქრისტეფორე კასტელის ცნობით, XVII ს.-ში ანაკოფიის ციხე-სიმაგრისა და ნავსადგურის მფლობელი ყოფილა ქართველი - დავით ჩიჟავიძე.

ბესიკ ხარანაული

# ნანა, საქართველოს მიწავ!



ნანა, საქართველოს მიწავ!
საქართველოს მთავ და ველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
გაძრცვილი ხარ, გაცლილი ხარ,
ზვარში თითქო ქარებს ევლო.
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო!..

სიზმარი თუ ტკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო,
ცხადს ერიდე, ცხადი ჩვენ ვართ,
ცხადი ჩვენ ვართ, სანატრელო,
და განცხრომა გვირჩევნია,
გან თუ ბრძოლა სასახელო.
ნანა, საქართველოს მიწავ,
დაიძინე, საყვარელო!..



ქარი დაგქრის, ქარი გხოკავს,
ფერი გადაცლია მდელოს,
მახვილს, შენზე გადმოქნეულს
შენივ შვილის ხელი ევლო.
ძილში მაინც დაისვენე,
ნუღა ბორგავ, სანატრელო...
ჯერ სვავები არ გამძღარან,
ჯერაც ისევ მგელი მგლობს,
ჯერეთ ძილი გირჩევნია,
დაიძინე, საყვარელო!

ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურიავ და სამეგრელო,
ნუღარც ხმალი გელანდება,
ნუღარც ჩანგი სარუსთველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საქართველო!



# ღმერთს ებარებოდეთ

ლალი მიქაძე

## 1616-2016 წ.წ. — 400 წლის შემდეგ



ლალი მიქაძე

XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსი საქართველოზე წერდა: "ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველ დღე ურიცხვ სარგებელსა და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან გაასწორეს."

მართლაც, 1616 წელს ირანელებმა კვლავ დალაშქრეს საქართველო, კერძოდ, კახეთი. 200.000-ზე მეტი ქართველი ირანის შიდა პროვინციებში გადაასახლეს.

**ფერეიდანში, სადაც დღესაც ცხოვრობენ ქართველების შთამომავლები, პროექტით - "ქართული ბიბლიოთეკა ფერეიდანში" და "ფერეიდნიდან საქართველომდე" 2016 წლის 25 სექტემბერს ექვსდღიანი ვიზიტით 20-კაციან ჯგუფთან ერთად გავემგზავრე.**

**ვიზიტის მიზანი იყო, ფერეიდანში, ჩვენი თანამემამულეების გადასახლებიდან ზუსტად 400 წლის შემდეგ, ადგილზე გავცნობოდით ფერეიდნელ ქართველთა ყოფას, მათ კულტურასა და ისტორიას.**

ჩვენს არტ-ტურს ხელმძღვანელობდნენ ქალბატონები - ნათია ქემაძე და ეთო ბეგლარიშვილი. ასევე, დიდი მადლობა ბატონებს - ლექსო ქურდიანსა და არაშ ონიკაშვილს - ფერეიდნელ ქართველებს ასეთი დახვედრისთვის. ჩვენი ჯგუფის მასპინძლობა მთლიანად ადგილობრივმა მოსახლეობამ ითავა. მე, ქალბატონებთან - ლალი ურდულაშვილთან და ნანა კობახიძესთან ერთად ბატონ ერეკლე ონიკაშვილის არაჩვეულებრივ ოჯახში აღმოვჩნდით.

უღრმესი მადლობა მათ და იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს ტური საინტერესო და ბევრის მომცველი ყოფილიყო.

**უდიდესი სიამაყით დავტოვეთ ფერეიდანი. "ვეება ირანში ფერეიდნელი ქართველების სახით ქართველთა გენმა ღირსეულად მოაღწია დღემდე. უდიდესი მადლობა მათ ამ სიყვარულის, სიძლიერის, ერთობისა და ეროვნული შეგნებისათვის. გვეამაყებით, ფერეიდნელებო!"** - ნანა კობახიძემ ასე გამოხატა თავისი ემოცია.**

## ცოტა რამ ფერეიდნელთა ისტორიის შესახებ

„ღმერთს ებარებოდეთ“ — ასე გვემშვიდობებოდა ყველა ფერეიდნელი ქართველი, დიდი თუ პატარა.

მათი წინაპრები ხომ ირანის ცენტრალურ ტერიტორიაზე 1616-1617 წლებში იძულებით ჩაასახლა მრისხანე შაჰ-აბასმა. მხოლოდ ღმერთის იმედიღა დარჩენოდათ. აბა, აყვავებული კახეთის ფონზე რა მოსაწონი იყო ხრიოკი მთები და გაუდაბნოებული ველები, მკაცრი ჰავაც: ზაფხულში აუტანელი სიცხე, ზამთარში კი — ყინვა და თოვლი.

**და მაინც გაძლეს, გადარჩნენ. და არა მარტო ფიზიკურად გადარჩნენ, რაც მთავარია (გარკვეულმა ნაწილმა მაინც), მშობლიური ენა შეინარჩუნეს და ზნეობრივადაც ნამდვილ ქართველებად დარჩნენ.**

სანამ ყურს შეაჩვევდე, ფერეიდნული დიალექტი ცოტა ძნელი გასაგებია. რა გასაკვირია, ოთხასი წლის წინანდელი მშობლიური ენა (კახური დიალექტი) რომ არ განვითარდა და ბევრი სპარსული სიტყვაც შეერია. თავს ასე იმართლებენ, თქვენც ხომ ბევრი სიტყვა აიღეთ რუსებისგანო. ვერაფერს ეტყვი, ან თავის გასამართლებელი რა აქვთ? მათ ხომ შეინარჩუნეს ბევრი ისეთი ძველი ქართული სიტყვა, რომლებიც ჩვენ დავივიწყეთ.



ქალაქი მარტყოფი. (მარცხნიდან): ლალი ურდულაშვილი, ლალი მიქაძე, ნანა კობახიძე

წარმოიდგინეთ, 200.000 ადამიანის აყრა და დედაბუდიანად გადასახლება! ფერეიდნამდე კი, არც მეტი, არც ნაკლები, 2.000 კმ-ზე მეტია. თანაც, მათ ეს გზა ხომ ფეხით გაიარეს. რამდენი ადამიანი შეეწირებოდა ამ გზას, რამდენ უბედურებას გამოივლიდნენ ისინი...

**„ჩომ (ჩვენი) წინაპართა გამოლილი (გამოვლილი) გზაი იმათის უცოდველის ციცხლითა (სისხლით) და ძვალებით არია (არის) მოფენილი“,** — დღესაც ასე ამბობენ ფერეიდნელები**, როდესაც 400 წლის წინანდელ ისტორიაზე იწყებენ საუბარს და წყევლა-კრულვას უთვლიან შაჰის სულს, „აგრემც ღორი და ძაღლი მიაკვდების იმას სულჩია“.**



* - ნომრის ახალი რუბრიკა.
** - პუბლიკაციას ახლავს ავტორის მიერ გადაღებული ფოტოები (რედ.).


წყარო სოფელ აღჩესთან, სადაც ინათლებოდნენ ქართველები

შაჰ-აბასმა ქართველები საგანგებოდ დაასახლა ირანის ცენტრალურ ნაწილში, დედაქალაქიდან 100-150 კმ-ის დაშორებით (მაშინ ირანის დედაქალაქი ისპაჰანი იყო). ქართველები სწორუპოვარი მეომრები იყვნენ. შაჰს თავისი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, ქართველებს იგი უნდა დაეცვათ შინაური თუ გარეშე მტრისაგან.

**ისპაჰანის პროვინციის — ფერეიდნის რაიონის გარდა ქართველები ცხოვრობენ ხორასნის, მაზანდარანის, ფარსისა და სხვა პროვინციებში და დიდ ქალაქებში — ისპაჰანსა და თეირანში. ირანის მთელ ტერიტორიაზე ქართველთა საერთო რიცხვი 60.000-ს აღემატება. ის ქართველები კი, რომლებიც არ შერწყმიან ადგილობრივ მოსახლეობას და დღესაც ქართულად მეტყველებენ, დაახლოებით 20.000-ია.**

ფერეიდნის სოფლებსა და ქალაქებს ირგვლივ ბახთიარის კლდოვან-ქვიშიანი ხრიოკი მთები აკრავს, მაგრამ მათ საკმაო სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწებიც აქვთ. მოჰყავთ თითქმის ყველა სახეობის ბახჩეული, ბოსტნეული და მარცვლეული.

**ფერეიდანში ჩასახლებული ქართველები დიდი ზეწოლის ქვეშ ყოფილან, რომ რჯული გამოეცვალათ. თავდაპირველად ეკლესიის აშენების უფლებაც მიუციათ. სოფელ აღჩესთან ჩვენ ვნახეთ ქვის უზარმაზარი გროვა — აქ გვქონდაო ეკლესია, რომელიც მე-18 საუკუნეში დაუნგრევიათ. გვანახეს წყარო, სადაც მერე, თურმე, მალულადაც ინათლებოდნენ კიდეც.**

**ბევრ გეოგრაფიულ ადგილს ფერეიდანში იქაურები დღემდე ქართული სახელებით მოიხსენიებენ: მარტყოფი, თორელი, ჩუღურეთი, რუისპირი, ვაშლოვანი, ციხე-მთა, შუა-მთა და ა.შ.**

## „დიდ დედა საქართველოდანა ჩამოხვედა?"*

ფერეიდუნშაჰრი — ასე ჰქვია სპარსულად ფერეიდნელების ერთგვარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს, რომელსაც ადგილობრივი ქართველები მარტყოფს ეძახიან. იგი მაცხოვრებელთა რაოდენობით დაახლოებით 18.000-იანი ქალაქია, რომელშიც ძირითადი მოსახლეობა ქართველია. ეს პატარა ქალაქი უცილოდ მოგეწონებათ სწორი და სუფთა ქუჩებით, თანამედროვე კომფორტული სახლებითა და უხვი გამწვანებით.

განსაკუთრებით ამაღელვებელია ქართული წარწერები მაღაზიებსა და კაფეებზე, ზოგჯერ დამახინჯებულიც („ლობიანის" მაგივრად „ლუბიანი"), მაგრამ ეს რა სახსენებელია იმ საერთო ქართული ატმოსფეროს ფონზე, რომელიც აქ იგრძნობა და იმ სიხარულთან შედარებით, რასაც ყოველი ქუჩაში შემხვედრი განიცდიდა ჩვენს დანახვაზე.

**„დიდ დედა საქართველოდანა ჩამოხვედა?!" — გვეხვეოდნენ. ყველა თავისთან გვეპატიჟებოდა ჩაიზე და გვეფერებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები ვიყავით. ერთმა მოხუცმა ამ სიტყვებით ალბათ ყველა ფერეიდნელი ქართველის განწყობა გამოხატა:**

**„ქენ (თქვენ) რო გხედავთყე, იგრე გვიხარიან ეხლა, რო გგონავ (გვგონია), რო ეხლა სამოთხეჷი (სამოთხეში) მოვსულიყვეთ".**

## „დედის ენის დამვიწყებელს დამმარხელი არაჰყავს"

არ შემიძლია, თქვენი ყურადღება არ მივაქციო ქართულ წარწერებზე. მაღაზიების უმეტესობას ქართულ-სპარსულად აწერია: „ქართველი დედის საჩუქარი", გვერდით მაღაზიაში ქართულადვე „სასურსათო მაღაზია" და მფლობელის სახელი. ამ მაღაზიაშივე ვნახეთ თვალსაჩინო ადგილზე დაკიდებული ქართული ანბანი. **ოქროულობის ერთ-ერთ მაღაზიას კი მორბენალი სტრიქონი ჩაუქროლებდა ხოლმე: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს".** ზოგიერთ მანქანას ასეთი წარწერები აქვს: **„მე ქართველი ვარ ფერეიდნელი", „დედის ენის დამვიწყებელს დამმარხელი** (დამმარხავი) **არა ჰყავს".**


ფერეიდნელ ქართველს სწამს, რომ „დედის ენის დამვიწყებელს დამმარხელი არაჰყავს"

ქართული წარწერები ვნახეთ სახლებზეც: **„დედა ენას გაუმარჯოს", „დიდება უფალსა"** და **ეს ყველაფერი შორეულ ირანში. თანაც, ყველა ფერეიდნელის მანქანაში ქართული სიმღერები გვესმოდა.**

*** — დიდი დედა საქართველოდან ჩამოხვედით?**


ქართველი ფერეიდნელები

თუმცა ისინი მშვენივრად არიან ადაპტირებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან და, ბუნებრივია, ყველამ კარგად იცის სპარსული ენა.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, როგორ გამოიყურება თანამედროვე ფერეიდნელი ქართველი. რა თქმა უნდა, დრომ და კლიმატმა შეცვალა მათი იერი, მაგრამ ქართული გენეტიკა რომ ძლიერია და მას უმკაცრეს პირობებშიც შეუძლია საკუთარი იერის შენარჩუნება, ამაში ფოტოებიც დაგარწმუნებთ.

**აქაურ ქართველებს დიდი ავტორიტეტი აქვთ ირანში. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება — ეს მათ საუკუნეების განმავლობაში თავიანთი ცხოვრებით მოიპოვეს...**

აი, რას ამბობს ფერეიდნელი მოხუცი — მაჰამადა ხუციშვილი: **„ქართველები სუფთა (პატიოსანი) ხალხი იყვნიან. ქართველზე დაიფიციანყე.* თუ ქართველი მოიდოდა დიდ ქალაქში (ისპაჰანში), ყველა ეტყოდაყე, რაც გინდა, აიღე (წაიღე), რამდენიც გინდა, აიღე, იმიტო, რო იცოდეყე, რო მაიტანს!“**

ზემოთ ვთქვით, რა თქმა უნდა, მათი ქართული განსხვავდება თანამედროვე ქართულისაგან, მაგრამ არ შემიძლია, ერთ-ორი საინტერესო დაკვირვება არ გაგაცნოთ: ისინი „მიყურეს“ „მისმინეს“ მნიშვნელობით ხმარობენ; თან ასაბუთებენ, რომ სწორია, რადგან „მიყურე“ ხომ სიტყვა „ყურისგან“ წარმოდგებაო. მაგრამ „მიყურეს“ მნიშვნელობით ისინი სიტყვა „მიჭვრიტეს“ იყენებენ, „ჭვრეტა ხომ მზერა არისა“. ვერ შეედავები! და კიდევ, ერთ-ერთ ქართულ ოჯახში სტუმრად ყოფნის დროს ცოლმა გვითხრა ქმარზე, როდესაც სამსახურიდან სახლში დამაშვრალი მოდის; მერე მიუჯდება ქართულ წიგნებსო. დამაშვრალი, ანუ ნაშრომ-ნაჯაფი. ლამაზია, არა? — ჩვენ კი დავივიწყეთ!

## სკოლა, სადაც ქართულ ენას ასწავლიან

მარტყოფის ქართული სკოლა მარტყოფში არსებული უცხო ენათა ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილებაა, სადაც ქართულის გარდა სხვა ენებსაც ასწავლიან. ეს სკოლა 4 წელია, რაც არსებობს. ტრადიციულ ქართულ ოჯახებში ბავშვებს მეტყველებას, წერასა და კითხვას ისედაც ასწავლიან. სადღეისოდ ბევრი ფერეიდნელი ახალგაზრდა ქართულის დამოუკიდებლად, ანუ ონლაინ სწავლების მეთოდს მიმართავს.

ამჟამად სკოლაში სულ 6 ჯგუფია. ირანში ცალ-ცალკეა ბიჭებისა და გოგონების ჯგუფები (კლასები). სკოლაში შეხვდებით 5-6 წლის ყმაწვილ მოსწავლეებსაც და 60 წელს გადაცილებულებსაც. ეს ერთადერთი ოფიციალური ადგილია, სადაც აქაური ქართველები მშობლიურ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას სწავლობენ. ამჟამად სკოლაში 70-მდე მოსწავლეა — უმრავლესობა მარტყოფის მკვიდრია.

სკოლის დირექტორი გახლავთ ბატონი რეზო ხუციშვილი — მწერალი და ისტორიკოსი. მასწავლებლები არიან: ბატონები — ჰუსეინ თავაძე, სოსო მიქელაძე და ქალბატონი — დოდო სეფიაშვილი. ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოში გამოცემული წიგნებით, თუმცა სახელმძღვანელოები მარტო 1-6 კლასის ჩათვლით აქვთ და სჭირდებათ შემდეგი დონეებისთვისაც. მართალია, დიდი სურვილი აქვთ, შეისწავლონ ქართული ცეკვაც და სიმღერაც, მაგრამ არა ჰყავთ პედაგოგი.

მარტყოფის ქართულ სკოლაში შეხვედრა 27 სექტემბერს 5 საათისათვის იყო დანიშნული. სკოლა სავსე იყო მოწაფეებითა და მოწვეული სტუმრებით. მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა პოეტმა — მიხეილ ღანიშაშვილმა, რომელმაც მარტყოფის ქართულ სკოლას თავისი ლექსების ორი კრებული უსახსოვრა. ასევე, საჩუქრად გადავეცით ქართული წიგნების საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათ შორის, იყო „დედაენის“ 40-მდე ეგზემპლარი.


ქართული ანბანი, გამოფენილი სასურსათო მაღაზიაში

საქართველოში 2005 წელს ჩამოსული ფერეიდნელი ქართველების ქართული ენის მასწავლებელმა - ქალბატონმა ლალი ურდულაშვილმა დიდი სითბოთი ისაუბრა თავის მოსწავლეებზე, რომელთა ყურადღება იქაც არ აკლდა.

შეხვედრის მონაწილეებს ლადო აღნიაშვილზე, ფერეიდნის პირველ ქართველ მკვლევარზე, მოუთხრო ქალბატონმა ციური ბერიძემ, რომელმაც არაერთი შრომა მიუძღვნა მის მოღვაწეობას. მანვე სკოლას საჩუქრად გადასცა ლადო აღნიაშვილის საკმაოდ დიდი ზომის პორტრეტი. შეხვედრა კი აღმოსავლური ტკბილეულითა და სასიამოვნო საუბრებით დასრულდა.



* — ქართველს ფიცზე ენდობოდნენ.

## ეს ლეგენდა აქ ყველა ქართველმა იცის


წარწერა ერთ-ერთი ფერეიდნელის სახლზე

მატყოფ-ჩუღურეთის გზაზე (ჩუღურეთი სოფელია, სადაც, ძირითადად, ქართველები ცხოვრობენ. სახელწოდებაც ქართულია. მეტიც, აქ შემორჩენილია მე-17 საუკუნის კახური სოფელი, ბანიანი სახლებითა და ქვიან-ტალახიანი ღობეებით), ხელმარჯვნივ – ერთი მაღალი და ხრიოკი მთაა. მთის წვერი რაღაცნაირად ჩავარდნილია, ჩაღრმავებას კი საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. აქვე წყაროც მოჩუხჩუხებს, იზრდება ორიოდე ხეც და ბუჩქიც.

**აი, ამ ადგილს ეძახიან ფერეიდნელები „ციხე-მთას“, რომელსაც უკავშირდება მრავალი გადმოცემა თუ ლეგენდა, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებით საყურადღებოა.**

ერთხელ თურმე ფერეიდნელ ქართველებს შაჰის კაცებმა დიდი გადასახადი შეაწერეს. მათ მოსავლის მესამედი ისპაჰანში უნდა გაეგზავნათ, რაზეც ქართველები არ დათანხმდნენ და აჯანყდნენ. შაჰ-აბასმა მათ ჯარი მიუსია. ქართველმა მამაკაცებმა ოჯახის წევრები ციხე-მთის სიმაგრეს შეაფარეს, თავად კი მტერს შეებრძოლნენ. აჯანყებულებმა პირველი შემოტევა მოიგერიეს, მაგრამ შემდეგს უკვე ველარ გაუძლეს და ციხე-მთის მწვერვალებისაკენ აიწიეს – მოწინააღმდეგე ჯარებიც აჰყვნენ. საბოლოოდ ქართველები, მტრის რიცხობრივი უპირატესობის გამო, დამარცხდნენ, მტერი კი ბავშვებსა და ქალებს დაერია. დედები შვილებს ხელში იტატებდნენ, გულში იკრავდნენ და ზურგმიშვერით ვარდებოდნენ ციხე-მთის ფრიალოებიდან, რომ, იქნებ, როგორმე ზურგით დაცემულიყვნენ და ასე გადაერჩინათ ჩვილები. ერთი ქალი თვითონ მართლაც დაღუპულა, მაგრამ ბავშვი გადაურჩენია, ის ბიჭი გაზრდილა და გამრავლებულა.

**ეს სევდიანი ლეგენდა ფერეიდანში ყველა ქართველმა იცის. მათში ეს ამბავი დიდ ტკივილთან ერთად დიდ სიამაყესაც იწვევს. სწორედ აქ, ციხე-მთის ფერდობზე, წინაპართა ხსოვნის უკვდავსაყოფად ყოველწლიურად სახალხო დღესასწაული იმართება.**

## „ცისარტყელაში გამოვიარეთ“

**თორელი – ფერეიდნელ ქართველთა დასახლებული მეორე ქალაქია.** აქ მოსახლეობის 50% ქართველია. გზად მარტყოფიდან თორელისაკენ მიმავლებმა მოზრდილ სოფელ დაშქაშანში მიგვიწვიეს (ამ ქალაქში სპარსელებთან ერთად სომხებიც ცხოვრობენ).

ძმების – **არია და შაჰინ ხოსროშვილების დიდ, აგურებით ამოყვანილ ლამაზ სახლთან უამრავი ხალხი გველოდა. აქ, სახლსა და კარ-მიდამოში, ნამდვილი ქართული სული იგრძნობოდა. ძმები გამართულად საუბრობენ ქართულად. ისინი მთელმა საქართველომ გაიცნო 2004 წელს, როდესაც ფეხით ჩამოვიდნენ ისტორიულ სამშობლოში და წინაპრების მიერ ტანჯვით გავლილი გზა მათაც გამოიარეს.**

**„აქედან საქართველოში ჩამოსვლას ორი თვე მოვანდომეთ, რა თქმა უნდა, იყო ისეთი მომენტებიც, როცა ვფიქრობდით, რომ გზას ველარ გავაგრძელებდით, მაგრამ ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულმა მაინც შეგვაძლებინა. სამშობლოში რომ გადმოვედით, „ცისარტყელაში გამოვიარეთ“ და ჩვენს ძველსა და საყვარელ ქართულ მიწას ვემთხვიეთ,“ – გვიყვებოდნენ ძმები.**

**„ცისარტყელაში გამოვიარეთ“ სამშობლოში დაბრუნებას ნიშნავს.**

**„ცისარტყელაში გამოსვლა“ ყველა ფერეიდნელი ქართველის ოცნებაა.**



წარწერა მაღაზიის შესასვლელთან

**P.S.** პროექტის თითოეულ მონაწილეს თორელმა ქართველებმა საჩუქრად თიხის ლამაზი ფირფიტები გადმოგვცეს ასეთი წარწერით: "ნეკერჩხალივით მოგვაცილეს საკუთარ ფესვებს, მაგრამ ახალ მიწაში გავიდგით ფესვი, ტანი ავიყარეთ. ისევ ისე ნეკერჩხლებად დავრჩით და კვლავაც ვრჩებით. აქეთ-იქით გადაგვაქანეს, მაგრამ მაინც საქართველოს ისტორიის ნაწილი ვართ. თორელი ქართველები".

დიახ, საქართველოს ისტორიის მწარე, მაგრამ, ამავე დროს, საამაყო ნაწილი ხართ. თქვენ ის ქართველები ბრძანდებით, ვინც აქაურ ქართველებს დაგვანახეთ ჩვენი გენის სიძლიერე (რადგან იმდენს გვამუნათებენ, ჩვენც დავიჯერეთ ჩვენი უნიათობა), თავისთავადობა, ქართველი კაცის საოცარი შრომისმოყვარეობა, ერთმანეთის გატანის უნარი და სამშობლოს დიდი სიყვარული.*

* – ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი ფაქტი და ამონარიდი მიხეილ ღანიშაშვილის პუბლიკაციებიდანაა.

## სულხან-საბა ორბელიანი:

## ანდერძნამაგი მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა მოსწავლეთათვის

„მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულითა ენათა ლექსიკონი აღარ იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან* ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინაიდან ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ.

ვახტანგ მეფის ბიძამ – გიორგი მეფემ** მიბრძანა ამისი ხელყოფა.“




# ქვის მთლელის ამბავი

## იგავი

სულხან-საბა ორბელიანი

მე ქვის მთლელი ვიყავ და ყოველთა დღეთა თითოს ასპანურს* მომცემდნენ ხელფასად. მათ სასმელ-საჭმელს ვიყიდდი და მის ქალაქის გლახაკთ ვაწვევდი. მეცა ვჭამი და მათცა ვაჭამი და ნამუსრევი ძაღლთა ვაჭამი. ხვალისად არა შევინახი რა. ეგრევე დღე ყოველ ვიყვი.



მოვიდა ერთი ღვთის კაცი, მეწვია, ჩემი ცხოვრება და მუშაკობა ნახა, ევედრა ღმერთსა:

- ერთი შენი მონა რად გლახაკად გყავსო, ესეც განამდიდრეო!

ანგელოზმან რქვა მას კაცსა:

- ჩვენ მაგ კაცის ბუნება ვიცით, სიმდიდრე თუმცა მივეცით, ვერ თავს იდებს.

იგი ღვთისა კაცი თავდები თურე შეიქმნა. მე არცერთი ვიცოდი ჩემისა სიმდიდრისა და კეთილმოქმედებისათვის.

დღესა ერთსა კლდესა ვკვეთდი. ხვრელი გამოჩნდა. გამოვკვეთე. ვნახე განძი აუარებელი, ოქრო ფრიადი, იდუმალ გავზიდე. სხვას ქვეყანას წაველ.

ესრეთ დიდი კაცი შევიქენ, რომე მის თემის მეფის თავი ვაზირი შევიქენ. ასი კაცი ოქროს არგანოსანი** კარსა ზედა მიდგა. აღარც გლახაკი მომაგონდა და აღარც ღმერთი. ესრეთ სიხარბეს გავყევ.

უთხრა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა. გამოგზავნა ჩემთან. მოვიდა კართა ზედა ჩემთა. ენება ხილვა ჩემი და შეგონება.

ვინ მოუშვებდა მას ჩემთანა? დიდად გვემეს და განაძეს.

რქვა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა:

- რას იტყვი შენის თავსმდებობისასა?

უთხრა მან:

- რა ვყო, ჩემი ბრალია და რაც გენებოთ, მიყავითო!

ანგელოზმან ეგრე უთხრა:

- თუცა შენ არ გეწყინება, თავისავ წერაქვს ვაძებნინებთო; კაცი იგი უარესს იქმსო. თურე ყოველი კაცი სიდიდეს და პატივს ვერ შეიფერებს, ისევ სიგლახაკე უჯობსო!



* - ფულის ერთეული.
** - ხელჯოხიანი.

# - შ -

**შაბარდუხი** – შავი, დიდი და გვარიანი ქორი
**შაბაშ-შაბაშ** – ინდოთა ენაა: მოსაწონ-მოსაწონი
**შათირი** – არაბთა ენაა; ქართულად – შიკრიკი
**შალალი** – წყლულიდან სქელი ნადენი
**შალაშინი** – ხის პირის მოსასწორებელი
**შანდაკი** – ვრცელსა და ვიწროს საშუალო
**შარავანდოსანი** – მეფე
**შარიტი** – სხვათა ენაა; ქართულად – გრეხილი (თოკი)
**შატაბუტა** – ჩქარმოუბარი
**შატროვანი** – ქვეშაგებზედ და ცხენზედ გადასაფარებელი
**შანთი** – ოქროსა და ვერცხლის ზოდი
**შაფართხელი** – ხმიადი, ნაცარში მცხვარი
**შეთიანი** – სნეული, ხელის (გიჟის) მსგავსი
**შეთხზვა** – დაწვნა
**შემოთარჯვა** – საზღვარსავით აქა-იქ დანიშვნა



**შემრგე** – უწყინარი
**შემრეცი** – აღმართი
**შემსხმელი** – მაქებარი
**შეპოება** – რიდის ქონება
**შერი** – რჩეული
**შერიჟუება** – ბინდის პირი (შებინდება)
**შეფრუშკვა** – წარბის შეჭმუხვა
**შეღვინება** – მცირე სიმთვრალე
**შეჭამადი** – მარხვის საჭმელი
**შეხმუხი** – ჭკვიანისა და გიჟის საშუალო
**შვილაკი** – ცუდშვილა
**შვილიშვილი** – ბადიში
**შთამართ** – დაღმართში
**შთაუნთქამი** – ჩაუყლაპავი
**შიბი** – ყელის ჯაჭვი თვალ-მარგალიტებით
**შილა** – წითელი სამოსელი
**შილი** – მაზლის ცოლი
**შიმალი** – ახალმოზარდი ხე
**შიმუნვარი** – მხლებელი ქალი
**შინში** – დეიდაშვილი, მამიდაშვილი
**შირიმი** – ბუშტისა და თირკმლის ქვა
**შიშაგი** – ოთხფეხა ცხოველი
**შიშთვილი** – თავის ჩამორჩობა
**შლუ** – ჭკუანაკლები
**შორენკეცი** – ჭრელი აგური
**შორსათუალე** – (შორსათვალე) დურბინდი
**შრამელი** – სამკუთხა ხის სახლი
**შორშოფი** – გიჟური ტირილი
**შუაღვინო** – წყალნარევი ღვინო, გუმურა
**შუგა** – საჩრდილობელი
**შუმი** – უწყლო ღვინო
**შუპილი** – მცირე სიმსივნე
**შუყა** – ქაღალდის ნაოთხალი
**შხეპი** – წყლის ნაწჩქრევი
**შხნაკვი** – მწარისა და ავის გემოს მქონებელი
**შხორკალი** – ჩჩვილთა ყრმათაგან ჩქარი ფორთხალი



თემურ ბასილაია

«დაუსწრებელი სოხუმელი» უწოდა პუბლიკაციის ავტორმა თავის თავს და ამ ორსიტყვიანი კავშირით თითქოს ერთად აკინძა ომსა და ბავშვობაში, და იქ, გოგოლის ქუჩაზე, თავის სახლში ჩაკარგული ეპიზოდები. როგორც თვითონ ამბობს, მაშინ იმდენად პატარა იყო, «ერთი კვადრატული მეტრიც კი არ ახსოვს იმ მიწისა».

მაგრამ ქართველში კოდირებული ფესვებით ძლიერი იმუნიტეტით არამარტო უყვარს, ტკივა და ენატრება თემურ ბასილაიას, ამ ახალგაზრდა სოხუმელ კაცს.

ასე გგონია, სამშობლოსთან გაიგივებული ძალისხმევით შესჭიდებია სიტყვას, რომ მონუსხოს მკითხველი და გვერდით მდგომი გულშემატკივარიც მეტი ჰყავდეს. უნდა, რომ გაბევრდეს ყველა განცდაზე აღმატებული «დავბრუნდებით» და თითოეული ქართველისთვის მამულიც იქ დაიწყოს.

«გიყვარდეს ქვეყანა 24 საათის განმავლობაში. დათესე სიკეთე შენს გარშემო და როდესაც თითოეული ჩვენთაგანი ამას გააკეთებს, მაშინ იქნება გაბრწყინებული, ერთიანი საქართველო, იქამდე უდიდესი ტკივილით მოპოვებულ დამოუკიდებლობას ფასი ეკარგება. დავფიქრდეთ!» - მიაჩნია თემურს. ეს უკვე სახელმწიფოებრივი აზროვნებაა.

თემურ ბასილაია ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს მადრიდში, საქართველოს საკონსულოში.

გულწრფელი მადლობა მას პუბლიკაციისთვის, იმ განცდის გამოც, პაზლის ნაწილებად მიტაცებული ქვეყნის ტერიტორიის «დაუსწრებელი მოქალაქეობაც» რომ ეამაყება.

# პაზლი შესავსებია

## ცოტა მეტი ხარ, ვიდრე . . .

თემურ ბასილაია

**ერთად დავიბადეთ, უფრო სწორად, მე დავიბადე და ის გაცოცხლდა. ის 25 წლის არის და მეც ორ თვეში წამოვეწევი. ჩემთვის სოლიდური ასაკია, ის კი გარდატეხის პერიოდშია. ორივე დამოუკიდებელი ვართ, მაგრამ ის მაინც ნაწილობრივ. მე ყველა გადაწყვეტილებას პირადად ვიღებ, მაგრამ მან სხვასთან უნდა შეათანხმოს. ორივეს ჩვენ-ჩვენი პატარა სივრცე გვატქვს, თუმცა მას უზღუდავენ. მე ლამაზი სახლი წამართვეს, მას ლამაზი მიწები. მე მას ისე არ ვიცნობ, როგორც მსურს, მას კი უამრავი ჩემნაირი ჰყავს ნანახი. მე ბოლომდე მის მოვალედ დავრჩები, მას კი სხვისი ვალები აქვს. ის ჩემი ერთადერთი კერპია, ის კი მთელი ცხოვრება ცდილობს, კერპები მოიშოროს. მე ის მიყვარს სულით ხორცამდე, ის კი სიამაყის გრძნობას მჩუქნის.**

**მე მინდა, ის უკეთესი გავხადო და ის ამაში მე ხელს მიწყობს.**

**ის ძალიან ლამაზია, მიუხედავად იმისა, რომ შიგნიდან თუ გარედან ბევრჯერ დასახიჩრებულა. მას მუდამ ხელს კრავდნენ, თუმცა ის ჯიუტად, ხოხვით წინ მიიწევდა. ის ძალიან სათუთია და, ამავდროულად, უმტკიცესი. ის ერთდროულად ჩემი მეგობარი, და, ძმა, მშობელი, მასწავლებელი და კერპია. ის ერთადერთია, გამორჩეულია მარტო იმითაც, რომ მხოლოდ საკუთარ ენაზე ეძახიან სწორედ - საქართველოს.**

და რა არის ეს საქართველო? ჰმმ, ვითომ ადვილია, არა, ეს ამოვთქვა?

ეს არის ქვეყანა ანუ დედამიწაზე გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მიწების ერთობლიობა. ხო, მთებიც არ დაგვავიწყდეს! და რა, არის კი ბუნებით ასეთი გამორჩეული? გინახავს შვეიცარია ან თურქეთი? კლიმატი? ეწვიე კვიპროსს ან კოსტა რიკას; სამზარეულო? ტაილანდური ან ფრანგული გაგისინჯავს? სასმელი? თუ შესაძლებლობა გაქვს, ბორდოს ვენახები ან კალიფორნიაში „ნაპა ველი"* დააჭაშნიკე; ხალხი? უბრალოდ, დაუმეგობრდი ესპანელს ან იტალიელს; სამშობლოსადმი სიყვარული? ლვოველი ან თელ-ავიველი გულანთებული ახალგაზრდები უნდა გაიცნო; აბა, კულტურა? არა მგონია, ბრიტანელები თუ ირანელები ჩამოგვრჩებოდნენ; კარგი, ხო, ისტორიაც და დამნებდი! აქ ორი სიტყვაც საკმარისია: ეგვიპტე, საბერძნეთი.



სოხუმი

ხო, თითქოს არაფერშია საქართველო პირველი, თითქოს არაფერში და ეს დავიმახსოვროთ! ბოლოს და ბოლოს, სადმე კარიბის აუზში რომელიმე კუნძულს იყიდი და დაარქმევ საქართველოს და ისე განკარგავ, როგორც გაგიხარდება. თუმცა მაინც იქამდე მივედი, რის თქმასაც ასე ვეშურები, რამაც ეს წერილი დამაწერინა: **საქართველო ცოტა მეტია, ვიდრე უბრალოდ მიწა თუ წყალი, მთა ან ბარი.**

* - კალიფორნიის შტატის „მარგალიტი" - ცნობილი ამერიკული ღვინო.

**საქართველო არის ატომი, მოლეკულა და ელექტროიდი, თითოეული იმპულსი და გრძნობა, რომელიც ოლიმპიადის ფინალში ქართველის ხელით ზეცისკენ მიმართვისას ფეხსაცმლიდან ამოგახტუნებს; ის არის, „ჩაკრულოს“ მოსმენისას ცრემლებს რომ მოგადენინებს; კიდევ ის არის საქართველო, „ყაზბეგურის“ გენიალურ ილეთებზე სულსა და სხეულში ჟრუანტელად რომ დაგივლის; ან მუხრანის ლექსზე სიმწრისაგან მუშტებს მოგაღერინებს და ის, რაც ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს, რომელთაც ერთი კვადრატული მეტრიც კი არ გვახსოვს ჩვენი მიწისა, სიამაყით წარმოგვათქმევინებს: მე სოხუმელი ვარ! გაგრელი! მე ბაბუშარელი ვარ!**


გაგრა

## უკანონო ხმის პასუხად

27 სექტემბერი გათენდა, პირველის ნახევარია... 2016 წელი.

23 წლის წინ ამ დროს, ჟიული და მისი თანამებრძოლები უძილო, ბოლო ღამეს ათევდნენ. შარტავა თავისი აუღელვებელი გამომეტყველებით უკანასკნელ ბრძანებებს გასცემდა, გულგახეთქილი, მაგრამ გაუტეხელი.

23 წელი ბევრია? თუ სახელმწიფოს ასაკზეა საუბარი, ძალიან ცოტა არის, მაგრამ თუ ადამიანი ამდენივე წელი სახლში დაბრუნებას ელოდება, ეს მთელი მარადისობაა.

**წარმომიდგენია მამაჩემი, რომელიც თავისი ქალაქის დაცემას, სასოწარკვეთილი მზერით უყურებდა, ხედავდა საკუთარ სახლს, ეზოს, ქუჩას და იმასაც, როგორ უცხოვდებოდა ეს ყველაფერი, როგორ ნელ-ნელა შორდებოდა ასე მშობლიურს. მერე სანაპიროსთან მისული დაიფიცებდა, რომ, სანამ აქ არ დაბრუნდებოდა, შავ ზღვაში არსად იბანავებდა და დროც გაიყინებოდა.**

**სვანეთის გზა, ადამიანური ტრაგედიის ბილიკები, გაყინული ძვლები, მშიერი მზერა - ეს სხვა რეალობაში ხდებოდა, სხვა პერიოდში, რადგან დრო სოხუმში, მშობლიურ კუთხე-კუნჭულში, ნაცნობ უბნებში შეჩერდა; შეიქმნა პატარა, ლამაზი სურათი, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა.**

უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა ეს ჩანახატი, ფერი გადასდიოდა და აი, მაშინ აუტანელი ხდებოდა რეალობა, უფრო სწორად, დროებითი მოცემულობა, რადგან ასეთი რეალობა სიცოცხლის ბოლომდე ვერ აღიქვა.

ბავშვობიდან გამჯდარი მქონდა სიამაყის გრძნობა სოხუმელობის გამო. მშობლებისაგან, სტუმრებისაგან თუ ნათესავებისაგან მუდმივად ამის შესახებ მესმოდა.

ისეთი შეგრძნება მაქვს, „სოხუმი“ ჩემი ერთ-ერთი პირველი სიტყვა იყო. კითხვაზე, მახსოვდა თუ არა მშობლიური ქალაქი, პატარა ბავშვი ინსტინქტურად ვეტიტინებოდი ნებისმიერს პალმებზე, ზღვაზე, მზეზე... იმდენად ბუნებრივად, რომ ჩემს პასუხებზე მომღიმარი ადამიანებისადმი გარკვეული პროტესტის გრძნობაც მიჩნდებოდა, თითქოს დიოსკურიის საპატიო მაცხოვრებელი ვიყავი.

**არა, არც ცხელ ქვიშაზე მოდუღებული ყავა დამილევია, არც ბოტანიკურ ბაღში მქონია პირველი კოცნა, არც რიწის ტბის ჯადოს მოვუნუსხივარ და არც გაგრის სანაპიროზე მინებივრია, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი ჩემს სოხუმელობაში.**

მახსოვს, მრავალი წლის შემდეგ მამაჩემი საკუთარ სახლში რეკავდა. იმ მრგვალი, ნარინჯისფერი ტელეფონის ნომრები სანამ დატრიალდა, მთელი მარადისობა გავიდა (აკრეფვისას აპარატი „ზილის“ მანუალურად* დაქოქვის მაგვარ ჰანგებს გამოსცემდა). ყურმილის მეორე მხრიდან ნაცნობი, მაგრამ უკანონო ხმა პასუხობდა...


ჩემი სახლი გოგოლის ქუჩაზე

* - ხელით მოძრაობის ტექნიკა.



ახალი ათონი

**დაბერილი ძარღვები, ველური სიამაყე და სასოწარკვეთისაგან წარმოქმნილი ირონია – ასეთი დამამახსოვრდა იმ ღამეს მამაჩემი. ასეთ მომენტებში ვხდებოდი დაუსწრებელი სოხუმელი.**

ჩვენი სახლი სულ რამდენიმე წლის წინ ვნახე ინტერნეტში. ვიცოდი, რომ არსებობდა და არ იყო დამწვარი, მაგრამ მაინც განსხვავებული გრძნობა იყო, როცა საკუთარი თვალით „აღვწერე“ უკვე მანამდე არაერთგზის განცდილი. აფხაზეთში მიმავალ მეგობარს ვსთხოვე, ჩვენი სახლისათვის სხვადასხვა მხრიდან გადაეღო სურათები. ახლა მას ყოველ დღე ვხედავ, ჩემი სახლი ჩემთანაა, ძალიან ახლოსაა. მაგრამ, ამავდროულად, ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის „დრიმ თიმი“.*

გოგოლის ქუჩა, „პრასპექტ მირა“, ადგილობრივი სლენგი, „ტურბაზა“, „პიტაჩოკი“, „ამირანის ყავა“, „დიდი საათი“, მე-11 თუ მე-5 სკოლა, გაგრის კოლონადა, „მარადონა“, „მონტე-კარლო“, „ნართა“, „ამრას ქოლგები“, ილორის ტაძარი, ბაბუშარა და მრავალი სხვა სწორედ იმ პაზლის ნაწილებია, რასაც სოხუმი ჰქვია.

**სოხუმში კი, რა თქმა უნდა, მთლიანად აფხაზეთს ვგულისხმობ. პაზლი შესავსებია, მაგრამ ამდენი წელია, პაზლის დანარჩენ ნაწილებს არ გვაძლევენ, თუ ვერ ვპოულობთ, ხშირად ჩვენივე დაუდევრობით, თუმცა, უფრო მეტად, სიბნელე გვიშლის ხელს ძებნაში.**

**ჰოდა, მოდით, ავდგეთ თითოეული ქართველი და ერთმანეთის სანთლებს მოვუკიდოთ, ერთად გავანათოთ უღრანი ტყე. გათითოკაცებულნი ხომ უფრო დავშორდებით მიზანს; მხოლოდ ერთად დგომით თუ ვიპოვით მას. მერე არც ყავა ქვიშაზე იქნება უცხო, არც ტკბილი აფხაზური ღვინო და არაამქვეყნიური ბუნების სილამაზითაც დავტკბებით.**

## ყველამ სარკეში ჩავიხედოთ

თუ ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი გვაინტერესებს, ეს მარტო მესამე-მეოთხე სადღეგრძელოზე ან გერგეთის სამებიდან გადმოხედვისას არ უნდა გვახსენდებოდეს. პირველ რიგში, მთელი საქართველო უნდა იყოს ერთიანი, უნდა გავითავისოთ, რომ ვართ ძალიან ცოტანი და არც დასაკარგი ხალხი გვყავს.

**არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა პირად ამბიციებს, ყველამ სარკეში ჩავიხედოთ და ვაღიაროთ, რას ვაკეთებთ რეალურად ჩვენი ქვეყნისათვის. მოდით, არ გვშურდეს ერთმანეთის, არამედ გვიხაროდეს ერთურთის წარმატება! გავიჭირვოთ და არ დავმალოთ გადასახადები! არ დავაგდოთ ნაგავი ქუჩაში, თუნდაც, მიფარებულ ადგილას, სადმე ჩიხში! მოდით, ვიყოთ ჩვენი მეორე ნახევრების ერთგულები!!! მარიხუანას ლეგალიზება კი ნუ გვაღელვებს, არამედ ზოგადად შევიგნოთ, რომ ყველანაირი ნარკოტიკი კეთილებს გვიკითხავს!**

**მაქსიმალურად ვეცადოთ, ვიყოთ ერთმანეთისადმი სოლიდარულები, ვისწავლოთ ერთმანეთისადმი დათმობა და დარწმუნებული ვარ, მომავალ „ილიას მკვლელებს“ ჩანასახშივე მოვსპობთ!**

„თბილისში ყოველი დაბრუნებისას, როცა თვითმფრინავი, ეს-ესაა, უნდა დაეშვას საქართველოს მიწაზე, შიგნიდან სხეულში თითქოს რაღაც წრიალს იწყებსო!!!“ - ამას ჩემი ძმა და მეგობარი ავთო მიმინოშვილი მეუბნება.

ეს, ზუსტად ეს არის ის ფენომენი, რასაც სამშობლო და მისადმი სიყვარული ჰქვია, სათუთი გრძნობაა, რასაც უცხოეთში მყოფი ქართველები (იმედი მაქვს, უმეტესობა) განსაკუთრებით განვიცდით და ვისაკლისებთ.

იქნება ეს ჩვენი უგემრიელესი წყალი, ჩვენი მადლიანი მიწა, უნიკალურობით გამორჩეული თითოეული ჩვენი კუთხე, ასე მცირე ქვეყნისათვის საოცრად მრავალფეროვანი ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენია საქვეყნოდ ცნობილი სტუმართმოყვარეობა, უზომოდ კონტრასტული ბუნება, რომლისთვისაც უამრავი ლამაზი სიტყვა მიუძღვნიათ მსოფლიოში განთქმულ კალმოსნებს; ფოლკლორმა, ღვინომ თუ, საერთოდ, უდიდესმა ისტორიამ, მონგოლური ცხენებიდან რუსულ ტანკებამდე რომ მოაღწია – ეს ყველაფერი იმ ხალხის დამსახურებაა, ვინც თავიანთი თუ შვილების სიცოცხლის ფასად ყველაფერს აკეთებდა, ჩვენი ისტორია აქამდე რომ მოსულიყო, დიდგორიდან აფხაზეთ-სამაჩაბლომდე.



ბიჭვინთა

**სამშობლოს სიყვარულს ფიზიკურად ვერავინ წამართმევს, ვერც იდეოლოგები – თავიანთი აზრების თავზე მოხვევით, ვერც პოლიტიკოსები – ძალაუფლების გამოყენებით, ვერც ბანკირები – ცრუ ქმედებებით, ვერც მოსამართლეები – უსამართლო გადაწყვეტილებებით; შეიძლება, დაგჩაგრონ, შენი უფლებები შელახონ, ჩამოგართვან ქონება, განგსაჯონ, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლეც წაგართვან, მაგრამ, რაც გულში დევს, ის ხელშეუხებელია!**

**ერთსაც გეტყვით: მუდმივად ვფიქრობ, როგორ ან საიდან დავდგა აგური სამშობლოს მშენებლობაში...**

* - აშშ-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ნაკრები, რომელიც 1992 წელს პირველად დაუშვეს ბარსელონის ოლიმპიადაზე და დაერქვა „ოცნების გუნდი“ (Dream Team).



დეკანოზი გიორგი (წეროძე)

თედო სახოკიას «ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში» «მადლი» განმარტებულია, როგორც «სიკეთის, წყალობის საუკეთესო ტერმინი».

ბუნებრივია, მადლიერია ადამიანი, ვისაც არ შეუძლია, სიკეთეს სიკეთით არ უპასუხოს.

განა რა უდგას წინ გულით ნათქვამ სიტყვას - «მადლობა»? რატომ გვავიწყდება, რომ მადლი ჩვენი და სხვათა მხსნელია. ხანდახან მადლიერებით თითქოს თავსაც ვიწონებთ, მაგრამ თუ ეს განგებით ბოძებული ნიჭი არ გავითავისეთ, ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობა ღვთისათვის მიუღებელი და უსაგნოა.

მადლიერება რწმენაა, ჯვარია, რომელიც, თუ ეს შენ გინდა, მეოხად მიიღებ მოწყალე უფლისაგან.

ამაზეა საუბარი დეკანოზ გიორგის (წეროძე) საინტერესო პუბლიკაციაში, სათქმელის მნიშვნელობას ავტორი სათაურიდანვე თვალსაჩინოს რომ ხდის.

ზუსტია მისი აქცენტები, როცა იგავების, «ძველი» და «ახალი» ბიბლიური სიუჟეტების მოხმობით გვახსენებს, რომ სამყაროში განფენილი სიკეთე - მადლის სახით - უნდა დავინახოთ, შევიყვაროთ, მივიღოთ.

დეკანოზი გიორგი (წეროძე) სოხუმელია, სწავლობდა ქალაქის მე-5 საშუალო სკოლაში. თბილისის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ პედაგოგად მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტსა (თეოლოგიის კათედრაზე) და სასულიერო აკადემიაში. არის თსუ-ს დოქტორანტი ფილოსოფიის მიმართულებით და საპატრიარქოსთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრის თანამშრომელი. 2014 წლიდან დეკანოზი გიორგი კაპელანია.*

«არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ურთიერთის სიყვარულისა», სულის საკურნებელი მადლისა, - გვმოძღვრავს დეკანოზი გიორგი.

# მადლიერება – სულის საკურნებლად

დეკანოზი გიორგი (წეროძე)

მოდით, ვისაუბროთ ადამიანური უმადურობისა და მადლიერების აუცილებლობის, მისი მაკურნებელი ძალის შესახებ. ასევე, იმის შესახებ, რომ გაჭირვება აერთიანებს ადამიანებს და, მათ შორის, სარწმუნოებრივ, იდეოლოგიურ, პიროვნულ დაპირისპირებას შლის, აუქმებს.

მივუბრუნდეთ ბიბლიურ წარსულს და გავიხსენოთ, საიდან დაიწყო დაპირისპირება სამარიელებსა და ებრაელებს შორის.

ბრძენი სოლომონის შვილის, რობოამის მეფობისას, ქრისტეს შობამდე 930 წელს ებრაული სამეფო ორ ნაწილად, ისრაელად და იუდეად გაიყო. ისრაელის დედაქალაქი სამარია გახდა, ხოლო იუდესი – იერუსალიმი. ისრაელის სამეფომ 209 წელი იარსება და ღმერთისაგან განდგომის გამო ასურეთის მეფეებმა – სალამანსარმა, შემდეგ კი სარგონ II-ემ დაიპყრეს და ისრაელის 10 ტომის შვილები სამარიიდან გადაასახლეს.

უცხო ქვეყანაში ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ და დამოუკიდებელ ებრაელ ერად არსებობა შეწყვიტეს. სამარიაში კი მათ ნაცვლად ჩამოასახლეს არაბები და ბაბილონელები. ისინი, თავის მხრივ, დარჩენილ მცირერიცხოვან ებრაელებს შეერწყნენ და, დედაქალაქის – სამარიის შესაბამისად, სამარიელები ეწოდათ. ეს ხალხი აღარც ებრაულად მეტყველებდა და არც მათი სარწმუნოებრივი ცხოვრება იყო უწინდელი.

სამარიელებმა ნაწილობრივ მიიღეს იუდეველთა სარწმუნოება, მაგრამ, ამავე დროს, აგრძელებდნენ კერპთმსახურებასა და წარმართული წეს-ჩვეულებების კარნახით ცხოვრებას. ამ გარემოებათა გამო იუდეველებმა მოიძულეს სამარიელები, ყოველმხრივ გაურბოდნენ მათთან ურთიერთობას, ისე რომ, სალამსაც კი არ აძლევდნენ მათ.

აქ, შეიძლება, გავიხსენოთ მაცხოვრის საუბარი სამარიელ დედაკაცთან:

იყო შუადღის 12 საათი, სამარიაში თაკარა მზე აცხუნებდა. ჭასთან ერთმანეთს ხვდებიან მაცხოვარი და უცნობი სამარიელი დედაკაცი.

„მოვიდა დედაკაცი სამარიაით ვსებად წყლისა.

ჰრქუა მას იესო: მასუ მე წყალი.

ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიელმან:



ისრაელის უძველესი დედაქალაქის - სამარიის ნანგრევები

* - არმიის მღვდელი.



მაცხოვრის შეხვედრა სამარიელ დედაკაცთან

ვითარ შენ ჰურია ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიელისა დედაკაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარიელთა“.

ანუ, იმდენად არაჯანსაღი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან იუდეველებსა და სამარიელებს, რომ წარმოუდგენელი იყო, თუნდაც, წყურვილის საბაბით ერთურთთან გამოლაპარაკება.

ამიტომაა ასე გაოცებული სამარიელი დედაკაცი.

თურმე, წყალდიდობისას მტაცებელი ცხოველებიც კი აღარ ერჩიან თავიანთ მსხვერპლს. ყოფილა შემთხვევა, წყლით გარშემორტყმულ, დაძირვის პირას მყოფ კუნძულზე ერთად მდგარან ლომი და შველი, მგელი და თიკანი.

აბა, სხვა რით შეიძლება, ავხსნათ ის გარემოება, რომ ათი კეთროვნიდან, მაცხოვარს რომ სოფლის გზაზე ხვდება, სულ მცირე, ერთი მაინც უცხოტომელი, სამარიელი იყო.

მაშინ, როცა ებრაელი და სამარიელი კეთროვანნი ერთად არიან, გადალახულია ყველანაირი დაპირისპირება და განსხვავებულობა. გაჭირვებამ, სნეულებამ ისინი ერთგვარად დაამეგობრა კიდეც.

მაგრამ 9 იუდეველს შორის ღვთისშვილობით მარტო ის ერთი, სამარიელი გამოირჩევა (იგავი „მადლიერი სამარიელისა და 9 უმადურის შესახებ“).

მაცხოვარი სამარიის გავლით მიდის გალილეაში (ის ამ მხარეს უკანასკნელად სტუმრობს) და ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლის დროს გზად კეთროვნები ხვდებიან.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ ათივე კეთროვანი, დაინახა რა მაცხოვარი, შორს დადგა და ასე ითხოვა განკურნება და შველა.

კეთრი ინფექციური დაავადებაა და იგი ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაედება ადამიანს; ამიტომ აუცილებელი ყოფილა გარკვეული უსაფრთხო დისტანციის (დაახლოებით 45 მეტრის) დაცვა. ამ მიზეხის გამო შორიდან ესაუბრებიან ისინი მაცხოვარს. მიიღებენ რა მისგან კურნებას, რაც მათთვის ასე მნიშვნელოვანია, ასევე, ღებულობენ დავალებას, ეჩვენონ მღვდელს.

კეთრით დაავადებულ ამ ათ მამაკაცს სწამს, რომ იესოს სასწაულების მოხდენის ძალა შესწევს. მისივე მითითებით, დაუყოვნებლივ მიდიან მღვდლებთან; არადა, ჯერ არ არიან განკურნებულნი; მხოლოდ გზადაგზა თითოეული საკუთარ თავზე იწამებს იესოს ღვთიურ ძალას.

ძველ ებრაულ საზოგადოებაში მღვდელს, წმინდა რელიგიური მოვალეობების გარდა, სხვა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო ფუნქციის შესრულებაც უხდებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მღვდელს აკისრია ვალდებულება, დაადასტუროს კეთროვნის გამოჯანმრთელება, გამოაცხადოს ის განკურნებულად და მისცეს მას უფლება, დაუბრუნდეს საზოგადოებას, აღარ ცხოვრობდეს ქალაქიდან, ხალხისაგან შორს.

განკურნებულთაგან ცხრა კვლავ აგრძელებს გზას. ერთი კი, რომელიც სამარიელია, იესოს მოსაძებნად ბრუნდება. მხოლოდ ის, ერთადერთია იესოს მადლიერი.



იგავი მაცხოვრისა და ათი კეთროვნის შესახებ

იესოს პოულობს, მის ფეხებთან ეცემა და მადლობას სწირავს. ხმამაღლა ადიდებს ღმერთს, რადგან ხვდება, რომ სწორედ მან დაუბრუნა ჯანმრთელობა.

იესო ირგვლივ მყოფთა გასაგონად კითხულობს:

„– განა ათივე არ განიწმინდა? სადღა არიან ცხრანი? არც ერთი არ მობრუნებულა ღმერთის სამადლობლად, ამ უცხო-თესლის გარდა.“

სახარებაშივე ვკითხულობთ:

„ხოლო ერთი მათგანი, რომელმაც დაინახა, რომ განიკურნა, მობრუნდა და ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს:

იესოს ფეხით დაემხო და მადლი შესწირა მას; და იყო იგი სამარიელი.“

შემდეგ მაცხოვარი ამ სამარიელს მიმართავს:

„–ადექ და წადი! შენმა რწმენამ გადაგარჩინა!“


ჯვარი პატიოსანი

სახარების ამ ამბავში ყველაზე მძაფრად არის გადმოცეული, რა არის ადამიანური უმადურობა. კეთროვანთ ხომ ყველაზე მეტად გამოჯანმრთელება სურდათ. მაცხოვარმა ისინი განკურნა, მაგრამ მათგან ცხრა არ მობრუნებულა და მადლობა არ უთქვამს მისთვის.

მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ გზაზე ვბაძავთ სამარიელ კაცს და, მის მსგავსად, ვავლენთ ღვთისადმი ან ჩვენი ახლობლებისადმი მადლიერებას.

განა ჩვენც ხშირად არ ვვარდებით უმადურობაში, როცა მივიღებთ რა სასურველს, მადლობისათვის ვეღარ ვიცლით?

მაგალითად, ჩვენ ზოგჯერ არა ვართ მშობლების მადლიერნი. არადა, ჩვენს ცხოვრებაში იყო უმწეობის ხანგრძლივი პერიოდი, როცა მხოლოდ მათი მზრუნველობით ვიზრდებოდით. დედამიწაზე ცოცხალ არსებებს შორის ერთადერთია ადამიანი, რომელსაც ყველაზე დიდხანს სჭირდება მოვლა, ვიდრე ის დამოუკიდებლად შეძლებს არსებობას. წლების განმავლობაში ბავშვი ყველაფრით მშობელზეა დამოკიდებული.

არადა, მშობლების დაუძლურების ჟამს მავანნი მოხუცებულებს ტვირთად მიიჩნევენ და მათ მოვლა-პატრონობაზე უარს ამბობენ (თუმცა, მადლობა ღმერთს, ჩვენში ასეთი შემთხვევები არც თუ ხშირია).

„პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, – სახარების ეს მეხუთე მცნება არამარტო მშობლების, ყოველი ადამიანის მიმართ გამოხატულ სიყვარულსა და მადლიერებას გვასწავლის.

რა თქმა უნდა, ქართულ მწერლობაშიც შეიძლება მოიძებნოს არა ერთი ნიმუში უმადურობისა, მაგრამ მე აქ ონორე დე ბალზაკის მამა გორიო მახსენდება – როგორი სიმძაფრით აქვს მას გადმოცემული ქალიშვილების უმადურობა მზრუნველი მამისადმი.

ასევე, შეიძლება, ვილაპარაკოთ მოყვასისადმი უმადურობის შესახებ. არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მოყვასის დახმარება არ დასჭირვებოდა. გასაჭირისას ბევრი ამბობს, რომ არასოდეს დაივიწყებს მისგან გაღებულ სიკეთეს, ხოლო მერე მადლობის გადახდაც კი ავიწყდება. ჩვენ ხშირად დავალებულნი ვართ მეგობრების, მასწავლებლების წინაშე და ვერ ვახერხებთ არამარტო მადლიერების გამოხატვას, არამედ იმასაც, რომ სხვებს მოვექცეთ ისეთივე სიკეთით, როგორც ოდესღაც ჩვენ მოგვექცნენ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მადლიერის შემწე უფალია. „განეფინა მადლი ბაგეთა შენთა, ამისათვის გაკურთხა შენ უკუნისამდე“ (44-ე ფსალმუნი).

ჩვენ, ასევე, უმადურობას ვიჩენთ ღმრთისადმი. გაჭირვებისას მას მივმართავთ საშველად, ხოლო დალხენილებს ლოცვაც კი არ გვახსენდება (ღვთისმშობლის დაუჯდომელში წერია ღვთისმშობელზე, რომ ის არის განმზავებელი სიხარულისა).

წიგნში „კოლოსელთა მიმართ“ ვკითხულობთ: „ნუ მოშლით ლოცვას და იფხიზლეთ მასში მადლიერებით... სიტყვა თქვენი ყოველთვის იყოს მადლით, როგორც მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, როგორ გმართებთ თითოეულისთვის სიტყვის მიგება“.

არის ასეთი გარდამოცემაც, რომ იმ ცხრა უმადურ განკურნებულ კეთროვანს ხელახლა შეეყარა სენი.

ხუთშაბათ საღამოს, პასექის ღამეს ანუ შეპყრობის წინა დღეს, როცა მაცხოვარმა აზიარა თავისი მოწაფეები და საკურნებლად სულისა და ხორცისა პური და ღვინო გაუწოდა მათ, 12 მოციქულთაგან მარტო იუდა აღმოჩნდა უმადური. ვერც ამპარტავნობას სძლია.

ვაქციოთ მოთხოვნილებად მადლიერება, რადგანაც ეს განცდა თითოეული ჩვენგანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

დაე, წმინდა წიგნმა, სახარების ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა, მაცხოვრის შეგონებამ, მისმა ლოცვა-კურთხევამ ხელი შეუწყოს ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს გამოჯანსაღებასა და სულის განკურნებას.


საიდუმლო სერობა



გელა ჩქვანავა

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს გელა ჩქვანავას, როგორც შესანიშნავ პროზაიკოსს (გელა ჩქვანავას ნიჭიერების შემფასებლად მარტო მისი შემოქმედებით აღფრთოვანებული გურამ დოჩანაშვილი კმარა).

მაგრამ მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესო (და მოულოდნელიც) იქნება, გაეცნოს გელა ჩქვანავას, როგორც პოეტს (თუმცა, ზოგჯერ გერევა, სადაა ზღვარი მის პროზასა და პოეზიას შორის).

მისი ლექსების კითხვისას საოცარი გრადაციის მოწმე ვხდებით - პროზა თანდათან პოეზიად იწყებს გარდასახვას, ჩვენს თვალწინ იშლება ჭეშმარიტი ხელოვნის უკიდეგანო სულიერი სამყარო, მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი. იგრძნობა მეტი შინაგანი თავისუფლება და ინტიმი. თამამად შეიძლება ითქვას, გელა ჩქვანავა ისეთივე დიდი პოეტია, როგორც მწერალი და "იალქნის" მკითხველი ისევე მოიხიბლება მისი პოეზიით, როგორც პროზით.

## გელა ჩქვანავა



* * *

ნოემბერია, ქუჩები სველია,
დედასავით ტკბილი ქუჩები.
ფანჯრიდან ცქერის დრო
მოსულა
და დეკემბერიც მოვა და მოიყვანს
ზამთარს, ბეღურების მხრებზე
რომ უნდა გადაიაროს.

ფანჯარასთან მიდის ახლა
ყველა გზა და ყველა გრძნობა,
გაზაფხულამდე დაემალა
მიწის სუნი გლეხებს,
გაზაფხულამდე დაუმძიმდათ
ფრთები ბეღურებს და
მოგინდება, იყო სხვაგან
და არსად გაზაფხულამდე.



### შვილებს

ჩემი სისხლი თქვენ უნდა ზიდოთ
თქვენი ძარღვებით,
თქვენი ცხოვრების საკალ გზებზე
ჩემი ცოდვებით, თქვენი მხრებით
თქვენ უნდა ზიდოთ; ზოგჯერ უნდა
მოგაგონდეთ და ამოიოხროთ და შეიცხადოთ,
როცა ჩემს ნაჩუქარ გიტარას
მკილი გამოხრავს; ცოტა ხნით მაინც
ჩემი სიზმრების ბებერი ცხენი
თქვენს ძილშიც უნდა შემოიპაროს
ცოტა ხნით ადრე,
სანამ დაგლეჯდნენ ასევე ბებერი მგლები,
რომლებსაც ცხოვრებაში ბოლოჯერ გაუმართლათ
და მიხვდებით, რომ სტუმრები
ჩემი სიზმრიდან გეწვივნენ;
კარგი შვილები ხომ ყოველთვის
ცნობენ მშობლების სიზმრებს...

# 50 წლის შემდეგ



იოსებ ჭუმბურიძე

50 წლის წინათ, 1966 წლის სექტემბერში, საქართველოში გრანდიოზულად აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

გრანდიოზულად მსოფლიოსთან ერთად - რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა უმასპინძლა ხუთივე კონტინენტის (45 ქვეყნიდან) ყველაზე თვალსაჩინო მწერლებს, პოეტებს, მკვლევარებს, მთარგმნელებს, წამყვანი ტელე-რადიო და პრესის სააგენტოების ჟურნალისტებს.

სამყარომ აღმოაჩინა რუსთაველი და მისი სამშობლო, მსოფლიოს გასაგონად თქვა მაშინ კულტურულ-ლიტერატურულმა საზოგადოებამ.

მაგრამ თემას, 50 წლის წინანდელს, მარტო იმ საიუბილეო დღეების გამო არ მივუბრუნდით. ვიხსენებთ სოხუმელ ქალბატონს, რომელსაც წილად ერგო პატივი, თავადაც ყოფილიყო საზეიმო კვირეულის მონაწილე და სტუმარი.

ხუტა ბელქანია, რიგითი პედაგოგი, თითქმის გამონაკლისი იყო მაღალი თანამდებობრივი სტატუსითა და სამეცნიერო ხარისხით გამორჩეულ პერსონებს შორის. იმ დღეებში პრესაშიც გაშუქდა პუბლიკაციები მის შესახებ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გაერთიანებულ პლენუმზეც მიიწვიეს. ბოლოს სოხუმელ სტუმარს უმასპინძლა ქართული ლიტერატურის მუზეუმმაც, სადაც ქალბატონი ხუტას გამორჩეული ნამუშევარი მდიდარი არქივისა და საცავების უამრავ ექსპონატთა შორის სამუდამოდ იქ დარჩა.



შოთა რუსთაველი. ჯვრის მონასტრის ფრესკა

ეს არის ტყავის ყდაში ჩასმული და აბრეშუმისა და მულინეს ფერადი ძაფებით ამოქარგული «ვეფხისტყაოსნის» ილუსტრაციების საკმაო მოცულობის ალბომი.

ვფურცლავ საოცარი ნახატებითა და რუსთაველის პერსონაჟებით გაცოცხლებულ თითოეულ გვერდს და «სოხუმური დიალოგით» წარსულს ვეხმიანები.

ქალბატონი ხუტა უნდა გცოდნოდათ - მადლით დამძიმებული მსგავსი პიროვნებები ყველა დროში მხოლოდ აღტაცებას იწვევდა. სხვისი ტკივილის გაზიარების მართლაც ისეთ ხელოვნებას ფლობდა, რომ ირგვლივ მყოფთაგან გულგრილს არავის ტოვებდა.

«იმდენი სიკეთე და სიწმინდე მოუმადლებია მისთვის ზეციერს, რომ, იღბალი არ იყოს, რაც უნდა ბევრს გაუნაწილოს, მას არა აკლდება რა. და უნაწილებს ისიც თავის ცოდნას, სიკეთესა და შრომისმოყვარეობას ყველას, თავისი მოსწავლე იქნება ის, თუ აფხაზეთში მომუშავე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი», - დაწერს მასზე მისი კოლეგა, პროფესორი, ქალბატონი დარეჯან ბერიძე (ბუკლეტიდან «მასწავლებელთა მასწავლებელი»).



ხუტა ბელქანია

რუსთაველის საიუბილეო დღეების მერე ხუტა ბელქანია დააწინაურეს და სოხუმის დაცემამდე სკოლაში პედაგოგობის პარალელურად მუშაობდა სოხუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგედ.

რუსთაველის საიუბილეო 2016 წელს ქალბატონ ხუტა ბელქანიაზე პუბლიკაცია და მისი გახსენება ვთხოვეთ პიროვნებას, ვინც მას არამარტო ახლოს იცნობდა; ვისთვისაც ზნეობრივი პრინციპები პოზიციაა, ვინც, ბატონი რეზო კვესელავას თქმით, «ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, ვინც დღეს ფიქრობს და წუხს საქართველოზე»; რაც მთავარია, რომელთა მსგავს პიროვნებებსაც სულიერ ნათესავად მიიჩნევდა ქალბატონი ხუტა.

არჩევანი ამიტომაც შევაჩერეთ ბატონ იოსებ ჭუმბურიძეზე (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, გაზეთ «თბილისის» ყოფილი რედაქტორი).

იქნებ, სათქმელი იმით დავასრულოთ, ხუტა ბელქანიაზე დაწერილი პუბლიკაციის - «ნეტა ვინ მოჰქარგა» ავტორი როგორი მოღვაწეცაა:

ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიის «ოქროს ფრთის» ლაურეატი და კომპანია «ომეგას» კონკურსის «ოქროს კალმის» გამარჯვებული; არის 7 წიგნის ავტორი («შეუკაზმავი ცხენი», «სახიფათო ჩანაწერები», «ღიმილი დედოფალ ანასი»...), მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, მედეა კახიძის «100 ლექსისა» და აკაკი გაწერელიას «ჩანაწერების» შემდგენელი; ცნობილ შემოქმედთა - ნოდარ ტაბიძის, ნათელა არველაძის, როსტომ ჩხეიძის... წიგნების რედაქტორი და, რაც მთავარია, «იალქნის» გულშემატკივარი და საგამომცემლო ჯგუფის წევრი.

და ბოლოს: მადლობას მოვახსენებთ ქალბატონებს: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილეს - თეა თვალავაძეს, იკონოგრაფიის განყოფილების გამგეს - ნანა კობალაძესა და კურატორს - ცისანა იმნაძეს გაწეული დახმარებისათვის და ამჯერად ჩვენი მასპინძლობისთვისაც.

ნანა ქანტურია



თამარ მეფისთვის „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა



თინათინის გამეფება



უცხო მოყმის ნახვა



თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა

## „ნეტა ვინ მოჰქარგა?“

იოსებ ჭუმბურიძე

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ბევრი უნიკალური ექსპონატია დაცული. მათ შორისაა ერთი ალბომი, რომლის ხილვაც გალაკტიონის ცნობილ სტრიქონს გაგახსენებს: „ნეტა ვინ მოჰქარგა?“

ყდაზე რუსთაველის პორტრეტი და „800“-ა ამოქარგული.

ვის და რას ეძღვნება, უცებ და ადვილად მიხვდებით.

1966 წელია – შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე.

დიდხანს არც მომქარგავის ძებნა დაგჭირდებათ – გადაშალით თუ არა, შემოგანათებთ ტექსტი, რომელიც გეტყვით, რომ ალბომი ქ. სოხუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-8 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა – ხუტა სოლომონის ასულმა ბელქანიამ მოქარგა.

მოჰქარგა – რა ადვილად ითქმის!..

ერთხელ წამიკითხავს და სამუდამოდ დამხსომებია საუკუნეების წინათ მონასტერში მოღვაწე ბიბლიურ ტექსტთა გადამწერლის ფრაზა: „იყო ღამე და ვწერდი.“

ქალბატონ ხუტა ბელქანიასაც შეეძლო, ეთქვა და დაეწერა: „იყო ღამე და ვქარგავდი.“



ამბავი ტარიელის გამიჯნურობისა



ავთანდილის ანდერძი
ხუტა ბელქანიას ალბომი



ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა

მანამდე არც კერვა იცოდა, არც ქსოვა. ქარგვა – მით უმეტეს.
დაიწყო და სამ წელიწადში მოქარგა.
მოქარგა და მერე ტყავზე და აბრეშუმზე გადაიტანა.
მოქარგა ჯვრის მონასტრის ცნობილი ფრესკა, თამარ მეფის პორტრეტი და ირაკლი თოიძის თოთხმეტი ილუსტრაცია,* შესაბამისი ტექსტებით – გენიალური აფორიზმებით.
ნახატები – ტყავზე, ტექსტები – აბრეშუმზე.
ჩვეულებრივი ნემსითა და არაჩვეულებრივი ძაფებით, ფერადი ბისერებითა და მძივებით, რომელთაც ყველგან დაეძებდა – სოხუმიდან მოსკოვამდე...
ნატურალური ტყავი სოხუმის ტყავ-კომბინატის დირექტორმა – პლატონ ბერიძემ უსახსოვრა.


ტარიელის შებმა ვეფხვთან

არსებობენ გამოუსწორებელი პედაგოგები.
ღმერთი სკოლას ისე არ გასწირავს, რომ ერთი ასეთი მაინც არ ჰყავდეს.
ხუტა ბელქანიაც ასეთი იყო – ყველგან და ყოველთვის პედაგოგი.
ის სრულად აკმაყოფილებდა იმ ოთხ მოთხოვნას, მასწავლებელს ნოდარ დუმბაძემ რომ განუსაზღვრა:
უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები;
უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის;
ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი.
იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა – მადლის გაჩენისა და მოთმინების დიდი უნარი.
მხოლოდ ასეთი სიყვარული და უნარი თუ შექმნიდა მსგავს ალბომს.


ავთანდილის სიმღერა

ქალბატონ ხუტა ბელქანიას საკუთარი ოჯახი არ ჰქონია, მაგრამ ბედმა ისეთ ოჯახში ცხოვრება არგუნა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა – პეტრე ჭანტურიასა და ვენერა ნაჭყებიას მადლიან ჭერქვეშ.
სოხუმის დაცემის შემდეგ იქ დარჩა.
გამოუსწორებელმა პედაგოგმა სახლში შეჭრილი ბოევიკები ამ სიტყვებით მოიგერია: „აუცილებლად შეგრცხვებათ, როცა გაიგებთ, როგორ ოჯახში იგინებით!“
ოჯახის უკეთესი დახასიათება, ალბათ, ძნელია.
არც პედაგოგის...


ნესტან-დარეჯანის ტყვეობიდან დახსნა

ახლა ღამეა.
ვზივარ და ქალბატონ ხუტაზე ვწერ.
„იყო ღამე და ვწერდი“...
მაგრამ, ეს სად მოვა იმ ქარგვასთან?!
სამწლიან ქარგვასთან...


ნესტან-დარეჯანისა და თინათინის შეყრა

გალაკტიონს რომ ენახა, ალბათ, ისევ აღტაცებით იკითხავდა:
ნეტა ვინ მოჰქარგა?!

* - მხოლოდ ერთი ნაქარგია შესრულებული მიხაი ზიჩის ილუსტრაციის („თამარ მეფისთვის „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა“) მიხედვით.



# ხვალვე უნდა დავტოვოთ აქაურობა

## უთარიღო დღიურები

ნუნუ ჯანელიძე

ომი ახალი დაწყებული იყო.

მეორე სართულის აივანზე უფროს შვილთან ერთად ვიდექი, როცა სოფლის ტრასაზე გრუხუნით მომავალი მძიმე ტექნიკა გამოჩნდა. ბავშვი ხელში ავიტაცე და მებრძოლებს გაუბედავად დავუქნიე ხელი. პატარამ ტირილი დაიწყო, ამიტომ საჩქაროდ ოთახში შევიყვანე დასამშვიდებლად.

საღამოს გავიგე, ჩვენი ჯარი, უფრო სწორად, არასაჯარისო ფორმირების ნაწილები მეზობელ აფხაზურ სოფელში შეჭრილა და სახლები გადაუწვავს. ყველანი შევწუხდით, შეგვეცოდა აწიოკებული მშვიდობიანი მოსახლეობა. ვგრძნობდით, ეს ცუდად დაგვიბრუნდებოდა. აფხაზების სახლებთან ერთად თითქოს დავწვით უკან, შერიგებისკენ დასაბრუნებელი ხიდი.

და ამ შავი კვამლისგან ჩაბნელებული, ნაცრად ქცეული მეზობლობის ფონზე სუსტ ათინათად გვეჩვენება ზემოუბნელი ერთი უბირი გლეხის, ლადის თავგანწირული საქციელი. თვალები ცრემლით გვევსება იმის გახსენებაზე, როგორ გადაუდგა საზღვართან იგი ტანკებს და როგორ ეხვეწებოდა „მხედრიონელებს“, არ შეხვიდეთ, ბიჭებო, სოფელში, არ გაისროლოთ, აფხაზები ხომ ჩვენი ძმები არიანო.

\- - -

დღეს სოფელზე პირველი შეტევა განხორციელდა. კაცები სანგრებში გამაგრებული სოფლის დამცველთა დასახმარებლად გაიქცნენ, შიშისგან გათანგულმა ქალებმა და ბავშვებმა კი სამალავების ძებნა დავიწყეთ. სახლები არასაიმედოდ ჩავთვალეთ და მანდარინებს შევეფარეთ. მერე მანდარინებშიც ვერ ვიგრძენით თავი დაცულად და გადავწყვიტეთ, წინა მეზობლის თხილებში გადავსულიყავით. გზაზე გამოსულებს სულისშემძვრელი სანახაობა დაგვხვდა: შუა ქუჩაში მდინარესავით მოედინებოდა ზემო უბნებიდან გამოქცეული ქალი და ბავშვი. მოდიოდნენ სახეწაშლილები, სისხლგამშრალები. ჩვენ, ქვემოუბნელებს, ჯერ კიდევ გვაიმედებდა საკუთარი სახლები. ვთხოვეთ, ისინიც ჩვენთან დამალულიყვნენ, მაგრამ პასუხიც არ გაუციათ, დანა პირს არ უხსნიდათ; არც ტიროდნენ, არც ვიშვიშებდნენ, დარდისგან გახევებულებს თავი აელოთ და პირდაპირ ზღვისკენ მიდიოდნენ უხმოდ. ამ ამბავმა კიდევ უფრო დაგვთრგუნა, მაგრამ თხილებს მაინც შევეფარეთ და საღამომდე იქ ვიყავით. როგორც კი სროლები შეწყდა, სახლებში შემოვიპარეთ გაუბედავად. ღამის სიბნელეში შევამჩნიეთ, ზემოუბნელებიც უკვე ბრუნდებოდნენ, სიცოცხლის ნიშანწყალი დაბრუნებოდათ და შინისკენ მილასლასებდნენ.

\- - -

სოფელზე თავდასხმისას დაღუპული პირველი მსხვერპლი პირტიტველა ბიჭია, მოფერებით ახლობლები ედუღის რომ ვეძახდით. ჯერ კიდევ არასრულწლოვანს ბრძოლაში ჩაბმის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ ბოლოს თავისი მაინც გაიტანა. გული ერჩოდა, თორემ არც ჯანმრთელობა უვარგოდა, მხედველობის პრობლემაც ჰქონდა. სოფლის დაცვა და იარაღი რომ ანდეს, ბედნიერი იყო.

პირველივე შეტევისას დაიღუპა. რადგან სროლების გამო დღისით მიცვალებულის დასაფლავებაც შეუძლებელი იყო (სასაფლაო სამიზნესავითაა სოფლის შემაღლებულ ადგილზე), საცოდავი ბიჭი ღამით დაკრძალეს, მალვით. უბედური დედამისი ასე ტიროდა: ღმერთს ვთხოვ, შენ იყო პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი სოფელში, ყველანი დალოცვილი დატოვე, შვილოო...

\- - -



ომის დაწყების ელდამ თითქოს გაგვიარა. გულს ვიიმედებთ, რომ ორივე მხარე მალე გონს მოეგება და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება.

სოფელში ბრმა ტყვიები დათარეშობს. ჩვენ სოფლის განაპირას გადავედით მამაჩემის სახლში, აქ თითქოს უფრო დაცულები ვართ. ბავშვები ომობანას თამაშობენ, დიდებისგან მეტი არაფერი ესმით.

თვითმფრინავებიც ხშირად ჩნდებიან. თავზარდამცემია მათი გუგუნის გაგონება. თანაც, რომ გგონია,თვითმფრინავის ხმა ჯერ კიდევ შორიდან ისმის, უმალ თავზე გადაგიქროლებს და გულს გაგიხეთქავს.

ამ დილითაც ყველანი ჭიშკართან ვიდექით, ბავშვებიც შორიახლო დარბოდნენ. ქალაქიდან ჩამოსული მეზობელი ომის ამბებს ჰყვებოდა. უეცრად თვითმფრინავის გუგუნი გაისმა. ნუ გეშინიათ, ჩვენები არიანო, დაგვამშვიდა მამაჩემმა. ამის თქმა და აფეთქებების დამაყრუებელმა ხმამ ცა და მიწა შეაზანზარა. მოპირდაპირე ქართული სოფლის გორა ჩვენს თვალწინ დაიბომბა. გვეგონა, ბომბები თავზე გვეყრებოდა. ლამის, დავყრუვდით. აქეთ-იქით დავიფანტეთ. ბავშვები შეშლილი სახეებით წიოდნენ. ამჯერად გადავრჩით. არა, სოფელში ბავშვების გაჩერება დანაშაულია. ხვალვე უნდა დავტოვოთ აქაურობა.



— — —

ცოტა ხნით გალში გადავდივართ ჩვენს ახლობლებთან, ახვლედიანებთან. აქ სიმშვიდეა. გალი სამურზაყანოა, მას არ შეეხებიან. ჩვენც ასე გვჯერა და გალელებსაც. გულუხვი მასპინძლები გვყავს, ზედ გვყვებიან. დროდადრო სახლიდან გვაკითხავენ, ხან მამამთილი, ხანაც - მეუღლე, პოზიციიდან წამოსული. ესეც გვაიმედებს.

რაიონულ ცენტრში მივდივარ ნათესავთან ერთად. გალში ცხოვრება ჩვეულებრივად მიდის, გარეგნულად ასე ჩანს. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დგანან კაცები, ხმამაღლა ლაპარაკობენ. მათთან ჩვენ რა გვესაქმება, მაგრამ უეცრად ერთი, სხვათა შორის, ამბობს, გაიგეთ, წუხელი ოჩამჩირე აუღიათო. თავზარდაცემულები პანიკაში ვვარდებით, შუა ქალაქში სისხლის ცრემლით ვტირით, არავის ვერიდებით. ვიღაცები გვანუგეშებენ. ჩვენ რა დაგვამშვიდებს, ყველა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ოჩამჩირეში გვყავს. ამ დროს ვიღაც მადლიანი მოდის, გოგოებო, ნუ გეშინიათ, დანამდვილებით ვიცი, ოჩამჩირეში მშვიდობაა, მისი აღების ამბავი დეზინფორმაცია არისო. გვჯერა და თან არ გვჯერა, ვტირით, ვიცინით. უცხო კაცს ვეხვევით, ვკოცნით ამ სიტყვებისთვის. სახლში არაქათგამოცლილები ვბრუნდებით.

— — —

წყალტუბოში ვართ. აქაურობა გადავსებულია დევნილებით. პატარა პანსიონატში მოვეწყვეთ. უკვე ძალიან ცივა. ადგილობრივები ამბობენ, ამნაირი ზამთარი არ გვახსოვსო.

თითქოს ბუნებაც განრისხებულია. გათბობა არ არის, რადიატორები მწყობრიდანაა გამოსული. ერთმა ნათესავმა ელექტროგამათბობელი გვათხოვა, მეორემ-ელექტროგაზქურა. როცა შუქია (იშვიათად), როგორღაც ვახერხებთ ოთახის შეთბობასა და საჭმლის შეცხელებას (მზა საკვები სხვა სანატორიუმიდან მოგვაქვს).

ბავშვებს ოთახში ვერ ვაოკებთ, ყირაზე გადადიან, ლოყები წითლად უღვივით, უფროსები კი სიცივისგან მობუზულები, პლედებმოფარებულები ლოგინებზე ვსხედვართ.

პანსიონატში გაგრელების რამდენიმე ოჯახია. წელიწადია, აქ არიან, უკვე ცოტა მოღონიერებულები. შეშის ღუმელი აქვთ, ტყე-პარკში ხმელ ტოტებსა და გირჩებს აგროვებენ და ცეცხლს ანთებენ. მათთან ისე თბილა! ტაფაც აქვთ, ზოგჯერ კარტოფილსაც წვავენ. ვნატრობთ, როდის გვექნება ღუმელი და ტაფა, კარტოფილი რომ შევწვათ.

— — —

პანსიონატის ფოიეში ტელევიზორი დგას. რომ არა საინფორმაციო გადაცემები, ტელევიზორს არც ჩავრთავდით. ისეთი სიუჟეტებია, გეგონება, ომი არც კია ქვეყანაში. ტურისტული სააგენტოები დასასვენებლად საზღვარგარეთის კურორტებზე გვეპატიჟებიან, კაფე-რესტორნები გადაჭედილია მოქეიფე ხალხით. მე კი მინდა, ერი და ბერი ერთიანად დაირაზმოს აფხაზეთის გადასარჩენად. ამიტომ, როცა შემთხვევით შუა პარკში ერთ შორეულ ნათესავს ვხვდები, მხურვალედ ვთხოვ, აფხაზეთში წავიდეს და იქ მებრძოლ ბიჭებს დაეხმაროს. მეტიც, სხვებსაც მიაწვდინოს ხმა და ყველანი ერთად სოხუმისკენ დაიძრნენ, რადგან ქვეყნის ბედი ახლა იქ წყდება. ნათესავი, რომელსაც ცხოვრებაში ორჯერ თუ ვყავარ ნანახი, გაოცებული მიყურებს, ალბათ, ფიქრობს, მთლად სრულ ჭკუაზე ვერ არისო. ჰო, გონება დამიბინდა იმაზე ფიქრმა, რომ აფხაზეთი მართლა შეიძლება, დავკარგოთ.



— — —

სოფლიდან ისეთი ამბები მოდის, გული გაგისკდება; ვის საკუთარ კერაზე წამოეწია ბრმა ტყვია, ვის გზაში, ვის ყანაში. მეომარი ბიჭებიდან ხომ ისედაც დიდია



მსხვერპლი. ყოველ შემოტევას ახალი უბედურება მოაქვს. ბიჭებს თავი აქვთ განწირული.

ამბავი მოიტანეს, როგორ დაიჭრა ჩვენი თანასოფლელი ვალერი სასიკვდილოდ, როგორ მიიყვანეს საავადმყოფოში, ის კი სულის ამოსვლამდე იხვეწებოდა, წადით, ბიჭებო, ჩემზე არ იჯავროთ, სოფელს მიხედეთ, სოფელი გადაარჩინეთო.

\- - -

ივლისში შერიგება გამოაცხადეს. გული კი გვეთანაღრება, რამდენად სანდოა მთავრობების შეთანხმება, მაგრამ სახლში დაბრუნებას ვერავინ გადაგვაფიქრებინებს.

გაგრელები ჯერჯერობით ვერ წამოვლენ, გვემშვიდობებიან, სუფრას გვიშლიან, გზას გვილოცავენ. მათაც ვაიმედებთ, ნუ გეშინიათ, თქვენც მალე დაბრუნდებით-თქვა.

მეუღლე ჩამოდის, ნათესავთან დატოვებული მანქანა წესრიგში მოჰყავს, ბენზინს თუ ბენზინისმაგვარ საწვავს შოულობს და აფხაზეთისკენ მივქრივართ.

ცხენისწყალთან გზაა გადაკეტილი, რაღაცას გვეშარებიან, მაგრამ ბავშვებიანად სანამ დაგვაყოვნებენ? ენგურამდე მშვიდობიანად მივედით, იქიდანაც შეუფერხებლად ვიარეთ და აჰა, სახლში ვართ!

\- - -

თითქოს სიმშვიდეა, მაგრამ სროლის ხმა აქა-იქ მაინც ისმის. შიშს არ ვნებდებით და მეზობელ სოფელში დეიდის მოსანახულებლად ბავშვებთან ერთად მივდივართ.

უფროსები ერთმანეთს ვასწრებთ ლაპარაკს, მოსაყოლის მეტი რა გვაქვს. ბავშვები ეზოში თამაშობენ.

უეცრად ახლოდან ძლიერი აფეთქების ხმა ისმის, აფეთქებასთან ერთად საზარელი ყვირილი და წივილ-კივილი. გააზრებას ვერ ვასწრებთ, რა ხდება, რომ მეორე ჭურვი სახლს ზემოდან ევლება, იქვე ტბაში ვარდება და ფეთქდება.

დაფეთებულები და თავზარდაცემულები საჩქაროდ გამოვრბივართ გარეთ, მანქანაში ვსხდებით და გეზს სახლისკენ ვიღებთ. გვინდა, იქაურობას, რაც შეიძლება, მალე გავეცალოთ. ტრასაზე გავდივართ თუ არა, გზას ვუთმობთ საოცარი სისწრაფით მომავალ დიდ მანქანას.

სახლში შეშფოთებული უფროსები გვხვდებიან, უფალს მადლობას სწირავენ, რომ მშვიდობიანად მოვედით. მალე ვიგებთ, რა დიდი მსხვერპლი მოჰყოლია იმ პირველ აფეთქებას. ჭურვი პირდაპირ სასაფლაოზე შეკრებილ ხალხს დასცემია. ის დიდი მანქანაც, ჩვენ რომ ტრასაზე წამოგვეწია, დაღუპულებითა და დაჭრილ-დასახიჩრებული ადამიანებით ყოფილა სავსე. მძიმეა ამის გაგონება. ჩვენც ბეწვზე ვართ გადარჩენილები. არა, ბავშვებით აქ ყოფნა, მიუხედავად შერიგებისა, მაინც საღ აზრსაა მოკლებული.

\- - -

გამაყრუებელმა გრგვინვის ხმამ ღრმა ძილში მყოფები მყისიერად გამოგვაღვიძა. გამოფხიზლებასთან ერთად გონება იაზრებდა, რომ რაღაც საშინელება დაიწყო. სექტემბერში ომი განახლდა.

პირველ რიგში, შიშისაგან გამოღვიძებული, ატირებული ბავშვები როგორმე მეორე სართულიდან დაბლა უნდა ჩამოგვეყვანა. ესეც არ იყო ადვილი. უფრო დავფრთხით, როცა ჭურვისგან თავახდილი მეზობლის სახლი და ქუჩაში, ასფალტიან გზაზე ავად მკვესავი მანათობელი ტყვიები დავინახეთ.

ბავშვები საბნებში გავხვიეთ და ძრწოლვით ქვემო სართულზე ჩამოვიყვანეთ. სამზარეულო ყველაზე საიმედოდ გვეჩვენა და სამივე პატარა საბნებიანად პირდაპირ იატაკზე დავსვი. უფროსების ვიშვიშსა და ბჭობაში, გარეთ როგორ გაგვეღწია, ვნახეთ, ბავშვებს ისევ ჩასძინებოდათ. ქვეყანა იქცეოდა, მათ კი ტკბილად ეძინათ!



ფაცაფუცით მსუბუქი ფუთა შევკარით, უმცროსები ხელში ავიყვანეთ და ჭიშკრამდე მივაღწიეთ. მტერს ნახევარი სოფელი უკვე აღებული ჰქონდა, დრო არ უნდა დაგვეკარგა.

გამბედაობა მოვიკრიფეთ და სროლები რომ ცოტა მიწყნარდა, სუნთქვაშეკრულებმა ტრასა სირბილით გადავკვეთეთ. ჯერ ღობეებს, მერე კი თხრილს გავუყევით ჩაყუნცულები. როგორც კი სწორი გზა გათავდა და მოსახვევს მოვეფარეთ, თავი სამშვიდობოს ვიგრძენით.

გზაში საშინელი ახალი ამბები გავიგეთ, ვინ

დაიღუპა, ვინ დაიჭრა. კიდევ უფრო გულმოკლულებმა განვაგრძეთ სიარული. თვალს ვარიდებდით დაღუპულების ახლობლებს, მათ ხომ ჯერ არ იცოდნენ თავიანთი უბედურების შესახებ.

ზემოთ, გორაზე, მამაჩემის სახლი და ჩემთვის ძვირფასი ადამიანები მეგულებიან. მე მათზე არაფერი ვიცი. ეს სულის ტკივილს მიასკეცებს.

სოფლის ცენტრში აფხაზი ნათესავი გვხვდება, სახელად პუზა, ისიც ჩვენსავითაა შეწუხებული. მთელი გულით გვიცოდებს და გვაფრთხილებს, რომ არაფრის დიდებით აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დავრჩეთ. აუცილებლად ენგურს გაღმა გადადით, აუცილებლადო, მოგვძახის და გვიმეორებს დაჟინებით.



---

რკინიგზის სადგური სავსეა დევნილებით. რის ვაი-ვაგლახით ვშოულობთ მატარებლის ბილეთებს. გამოვცდით ენგურს. სამტრედიაში, მარანთან გზაა გადაკეტილი. მატარებელი ჩერდება. ომი ფეხდაფეხ მოგვდევს. ვაგონში სამხედროები შემოდიან, გვამოწმებენ, იარაღი ხომ არ გვაქვს წამოღებული. ჩვენს ბარგი- ბარხანას ჩხრეკენ. პროტესტის გრძნობა შიშს მაკარგვინებს, საცოდავ ფუთას ვაპირქვავებ და ბავშვების ტანსაცმელს სახეში ვაყრი არასასურველ სტუმრებს. ნახეთ, ნახეთ რა მიგვაქვს, ვყვირი გამწარებული. შეშინებული ქალები მკლავზე მექაჩებიან, გაჩუმდი, ვერ ხედავ, ავტომატებით არიანო. ყველას გასაკვირად, სამხედროები უკან იხევენ, ბოდიშსაც კი გვიხდიან.

მატარებელი ადგილიდან დაძვრას არ აპირებს. ორად გაყოფილი საქართველო მარანთან გამაგრებულა და ერთმანეთს ტყვიას ესვრის. შემოგველია საჭმელი, წყალი. ბავშვები შესაბრალისად ღნავიან. ძირს ჩასვლა აკრძალული გვაქვს. ამ აურზაურში ვერც კი ვიგებ, უფროსი ბიჭი გარეთ როდის მეპარება, ფანჯრიდან ვხედავ, ბაქანზე დახტის გახარებული.

თავზარდაცემული მივიწევ გასასვლელისკენ, კარებში მდგარ სამხედროს ვეხვეწები, ძირს ჩასვლის ნება დამრთოს. იმდენად აღელვებული ვარ, ვერ მეწინააღმდეგება. გავრბივარ ძახილით: ზვიად! ზვიად! ჩემი ხმის გაგონებაზე ბავშვი ჩემკენ მორბის, ჩვენს ირგვლივ კი ხალხი გროვდება. შენ ხარ ზვიადიო, ეფერებიან ჩემს შვილს, ზარ-ზეიმით გვაბრუნებენ ვაგონში. მოაქვთ წყალი ბიდონით, ბავშვებს კანფეტებსა და ფუნთუშებს ურიგებენ.

ჩვენდა ბედად, გზა რამდენიმე საათით იხსნება. მადლობა ღმერთს, მარანს თავი დავაღწიეთ.

---

სოხუმი დაეცა. ვიცით, ეს უკვე დასასრულია, მაგრამ იმედს მაინც ვებღაუჭებით, უფრო სწორად, საოცრების იმედზე ვართ. თუმცა სამთავრობო ჯარები უკვე ტოვებენ აფხაზეთს. გზამოჭრილი ხალხი სვანეთის უღელტეხილის სახიფათო ბილიკებს შედგომია. საშინელება ყოველი მხრიდან გვიტევს.

სოხუმის დაცემის შემდეგ ქართული სოფლები რამდენიმე დღე მტერს კიდევ უწევენ წინააღმდეგობას, უაზრო მსხვერპლიც მეტია. მთავრობა ტელევიზიით გადმოსცემს, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულაო. მოლოდინები ფუჭია და შედეგებიც სავალალო.მიწის ყოველი მტკავლის დათმობა მძიმე დანაკარგებით ხდება. ყოველი მხრიდან ისვრიან. ვინ მტრის ტყვიის წერა ხდება, ვინ მოყვრის. ამ განუკითხაობაში იბადებიან გმირები.



გამოსვლისას დაჭრილმა მეზობლის ბიჭმა,ზურაბმა, რაკი გაქცევას ვერ შეძლებდა,მტერს რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა ან მეგობრების სიცოცხლეც საფრთხეში არ ჩაეგდო, თავი „ლიმონკით“ აიფეთქა და ბიჭებს გაქცევისა და გადარჩენის საშუალება მისცა.

---

ფრონტის ხაზმა იმერეთში გადმოინაცვლა. ახლო სოფელში ორი დაპირისპირებული მხარე ერთმანეთს დარევია. ჩვენ ორივე გვტკივა. სროლის ხმა კარგად აღწევს პანსიონატამდე. ადგილობრივი მოსახლეობა პანიკაშია, ქალაქი თითქმის დაცარიელდა. ჩვენ წასასვლელი არსად გვაქვს.ყველაფერი ჩვენს თვალწინ ვითარდება. დიდხანს ლოდინიც არ გვიწევს: ქალაქში რუსის ტანკების კოლონა შემოდის, ყველაზე უარესი, რაც შეიძლება, კიდევ მომხდარიყო აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ.

* იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, შუა საუკუნეების ქართულ-რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში, ძალიან ბევრი რამ საქართველოს უკავშირდება. მონასტრის მოზაიკაზე იყო ლითონის ფირფიტა წარწერით - „ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევად". ეს ფირფიტა დღეს მუზეუმში ინახება. ტაძარში დაცულია საუკუნეების მანძილზე იქ მოღვაწე ქართველ სამღვდელო პირთა შესამოსელიც.
* „მე ვერ მივიღებ იმ ახალგაზრდის სადღეგრძელოს სამშობლოზე, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია", - ბრძანებდა ნიკო კეცხოველი.
* XI ს.-ში იტალიელმა ბერმა და თეორიტიკოსმა - გიდო არითინელმა შექმნა ხაზიანი სანოტო სისტემა, გასაღების ნიშანი - 𝄞 და 6 ნოტი (დო, რე, მი, ფა, სო, ლა). XVI ს.-ში ამ სისტემას დაემატა მეხუთე ხაზი და მეშვიდე ნოტი - სი.
* „სიცოცხლე ისე ძლიერ მიყვარს, რომ, შეიძლება, სიცოცხლის სიყვარულის გამო თავიც გავწირო, თავიც მოვიკლა," - უთქვამს გალაკტიონს ერთ-ერთ კერძო საუბარში, 1941 წელს.
* უბედურების სიგნალი „SOS", რაც მორზეს ენაზე სამ-სამი წერტილისა და ტირეს მონაცვლეობაა და ითარგმნება, როგორც - „გადაარჩინეთ ჩვენი სულები", საერთაშორისო კონვენციით 1908 წელს დამტკიცდა.
* XIX ს.-ის 40-იან წლებში „სოხუმის სამხედრო ბოტანიკურ ბაღში" ეგზოტიკურ მცენარეთა ოფიციალური სია პირველად შეადგინა სოხუმელმა ოფიცერმა - დ. როდოჟიცკიმ. ამ სიაში ჩამოთვლილია მცენარეთა 61 სახეობა.
* მურმან ლებანიძე პოეტებს „გიჟის ხალათიანებს" უწოდებდა.
* ფრანგულ მანქანას სახელწოდება „ლიმუზინი" ეწოდა ერთ-ერთი პროვინციის სახელის მიხედვით.
* თენგიზ აბულაძემ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმ „ვედრებაზე" მუშაობა დაიწყო გაგრაში. 1967 წელს შექმნილი ფილმი 7 წელი იყო, ასე ვთქვათ, თაროზე შემოდებული. 1974 წელს იტალიის ქალაქ სან-რემოს XVII საერთაშორისო ფესტივალზე „ვედრებამ" I პრემია მიიღო. ეს შედევრია, - ასე შეაფასეს ფილმი აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში.
* სნაიპერის ქართული შესატყვისია - ჩუბინი.
* „ფერწერა ისეთი პოეზიაა, რომელსაც ხედავენ, პოეზია კი ისეთი ფერწერაა, რომელსაც ისმენენ", - ასე თვლიდა ლეონარდო და ვინჩი.
* ცნობილი მხვერავი - რიჰარდ ზორგე დაიბადა აზერბაიჯანში.
* გინესების რეკორდების წიგნი პირველად შეივსო 1955 წელს.
* „ადამიანი ადამიანისათვის მგელია", - ამ ცნობილი ფიგურალური გამოთქმის ავტორია ძველი რომაელი დრამატურგი - ტიტუს მაკიუს პლავტუსი, რომელიც ჩვ.წ.აღ.-მდე 250-184 წ.წ.-ში ცხოვრობდა.
* როცა რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი საწერად ჯდებოდა, ყოველთვის საუცხოო საგარეო ტანსაცმელი ეცვა.
* ჟუჟუნა წვიმას გურიაში უწოდებენ საფურცლებო წვიმას, ანუ ისეთ წვიმას, ფოთლების გაშლას რომ უწყობს ხელს.
* ქ. ფილიპემ (ჩრდილოეთ საბერძნეთის ქალაქი) სახელწოდება მიიღო მაკედონიის მეფის - ფილიპეს (382-336 ჩვ.წ.აღ.-მდე) საპატივსაცემოდ. მოციქულმა პავლემ ამ ქალაქში დააარსა პირველი ეკლესია ევროპაში.
* ამბობენ, რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I იმდენად ვერ იტანდა მუსიკას, რომ დამნაშავე ოფიცრებს არჩევის საშუალებას აძლევდა: ან ციხე, ან გლინკას ოპერის მოსმენა.
* პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი" გამოვიდა 1919 წელს (რედაქტორი: დიმიტრი გულია).
* რაგბი და ფეხბურთი მხოლოდ მაშინ გაიმიჯნა ერთმანეთისგან, როცა 1860 წელს ფეხბურთში ხელით თამაში აიკრძალა.
* ალგებრის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ეკუთვნის ვასილ ყიფიანს (1855-1936 წ.წ.); მათემატიკური ტერმინებიც პირველად მან დაამუშავა.
* ვაჟა-ფშაველას სმა უყვარდა, მაგრამ დალევისას კარგი ზნეც სჭირდა: ისე არასდროს დათვრებოდა, რომ საჭირო ყოფილიყო ვინმეს დახმარება. ხელი მუდამ სატევარზე ედო, თუმცა ქარქაშიდან ამოღებული იგი არასოდეს არავის უნახავს.
* 1929 წელს ფრანკლინ კლარენ მარსმა დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი შოკოლადი შექმნა, რომელსაც თავისი საყვარელი ცხენის - სნიკერსის სახელი უწოდა.

«ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს, გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!»

ბევრმა არც კი იცის, რომ ლევილში, ნოე ჟორდანიას საფლავის ქვაზე ამოკაწრული ამ სტრიქონების ავტორი სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანია. უფრო მეტიც, ბევრი თავად ნოე ჟორდანიას მიაწერს ამ სიტყვებს.

სამწუხაროდ, ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს სიმონ ბერეჟიანს, რომელიც თავის დროზე საკმაოდ ცნობილი იყო და იბეჭდებოდა ფსევდონიმით «მგოსანი».



სალომე კაპანაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი, ჟურნალ «იალქნის» დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი - სალომე კაპანაძე გვიამბობს სიმონ ბერეჟიანზე, ამ საინტერესო პოეტსა და გულმხურვალე მამულიშვილზე, ტრაგიზმით სავსე მის ცხოვრებასა და შემოქმედებითი გზის ცალკეულ ეტაპებზე.

1920 წელს სიმონ ბერეჟიანი უმაღლესი განათლების მისაღებად გააგზავნეს გერმანიაში, სადაც 3 წელი დაჰყო. 1921 წელს, როცა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, იგი იძულებული გახდა, სამუდამოდ დარჩენილიყო ემიგრაციაში და გაეზიარებინა ქართველ ემიგრანტთა ხვედრი.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო ქალბატონ სალომეს: «სიმონ ბერეჟიანის მსგავსი ჭირისუფალი საქართველოს ბევრი არ ჰყოლია. რომ ჰყოლოდა, შაგრენის ტყავივით არ დაიმცრობოდა ჩვენი ქვეყანა».

სიმონ ბერეჟიანის ლექსის სახელწოდებით «სამშობლო უცხოეთში» დავასათაურეთ «იალქნის» ახალი რუბრიკა.

# "მშვიდობით, ველარ დაგიბრუნდები!"

სალომე კაპანაძე

– ეს სტრიქონი სიმონ ბერეჟიანის, ქართველი ემიგრანტი პოეტის ლექსიდანაა, რომელმაც სხვა მრავალ თანამემამულესთან ერთად დატოვა ბოლშევიკური საქართველო და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლასა და იმედში გალია უცხოეთში სული.

იმ 1921 ავადსახსენებელ წელს სიმონ ბერეჟიანი ევროპაში იმყოფებოდა. თითქოს ბედისწერამ დაინდო, სასწავლებლად წასულმა თავად რომ არ იხილა, როგორ მოუსწრაფეს სიცოცხლე მისი ქვეყნის ნანატრ დამოუკიდებლობას, როგორ შემოიჭრა თბილისში „სკვითელი ლენინის სული".

მამულში რომ ყოფილიყო, იქნებოდა იქ, სადაც იმ დროს ქართველი იუნკრები აღმოჩნდნენ. იგი ხომ მონაწილე იყო თითქმის ყველა იმ ბრძოლის, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველო 1918-1920 წლებში თავის დასაცავად აწარმოებდა.

და რადგან სიმონ ბერეჟიანისათვის „გამარჯვება არ არსებობდა სისხლის გარეშე", ამ სისხლს იგი ისევე გაიღებდა, როგორც ამას „ქართლის ციხისა" და „სამამაცო ზნეთა" მცველი მისი წინაპრები აკეთებდნენ...



სიმონიკა ბერეჟიანი და ვიქტორ ნოზაძე

სიმონ ბერეჟიანის მსგავსი ჭირისუფალი საქართველოს ბევრი არ ჰყოლია. რომ ჰყოლოდა, შაგრენის ტყავივით ასე არ დაიმცრობოდა ჩვენი ქვეყანა. არც ბევრისთვის ასე არ აუმღვრევია გული „სკვითთა ცოფსა და უსამართლობას," თუმცა განცდაა და განცდაც... ამგვარი თავგანწირვის უნარი ხომ ქუდზე კაცს გამოიყვანდა საქართველოში.

თავად არ ახსენებდა, მაგრამ თაყაიშვილის გვარისა გახლდათ. მშობლებს – ერმილე თაყაიშვილსა და ქარცივაძის ქალს სიმონიკა უშვილო დეიდისთვის მიუბარებიათ. თითქოს არაფერი აკლდა დედისერთა სიმონიკას, მაგრამ მის საქციელში მაინც იკითხება დარდი. ტყუილად როდი წერენ მისი მეგობრები, არ უყვარდა ამაზე საუბარიო.




გაზეთ „თეთრი გიორგის“ ქუდი

სიმონ ბერეჟიანი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ეწაფებოდა სწავლა-განათლებას. იოსებ ბოცვაძის პედაგოგიური ხელწერა მისი ინტელექტისა და ნიჭის მკვიდრი საფუძველი იყო.

თავის მოგონებებში სიმონ ბერეჟიანი აღტაცებული იგონებს გიმნაზიაში სწავლების პერიოდში მის პირველ შეხვედრას „შვლის ნუკრის ნაამბობის" ავტორთან.

პატარა სიმონიკა თვალებში შესციცინებს მოსწავლეებთან სტუმრად მოსულ ვაჟა-ფშაველას და „მუჯლუგუნითა და წაკვრა-წამოკვრით" პირველობას არავის უთმობს, რათა სურათის გადაღების დროს მასთან როგორმე ახლოს აღმოჩნდეს.

ეს მხოლოდ ბავშვური ახირება არ არის, ეს მისი ქვეცნობიერი ლტოლვაა, სამზადისია იმ დიდ განცდასა და ტკივილთან შესახვედრად, რომელმაც „სამშობლო უცხოეთში" დააწერინა.

მოგვიანებით იგი კვლავ იხილავს ვაჟას, ოღონდ უკვე სიკვდილთან მორკინალს და სასოწარკვეთილი უმზერს, „რკინის ლოგინზე როგორ ლევდა სულს დაჭრილი მინდია".

ეს იყო ბოლო შეხვედრა მგოსანთან, რომლის აჩრდილი მუდამ თან ახლდა სამშობლოსაგან დევნილ და მისი სიშორით დატანჯულ სიმონიკას. ამ რეალობასთან გაატარა მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, მუდმივად მასთან ბრძოლასა და იმის მცდელობაში, როგორმე შეეცვალა იგი.

სიმონ ბერეჟიანმა ბოლომდე ვერ მიიღო ევროპა–„სიგარიანი მამინაცვალი," ვერ აპატია მომხდურსა და თვისტომს „თბილისისთვის ნასროლი ტყვია".

სიმონ ბერეჟიანი ყოველთვის იქ იყო, სადაც საქართველოსკენ მიმავალ და მისი გამოხსნის გზებს ეძებდნენ.

1924 წლის ოქტომბერში ქართველი ემიგრანტები საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრ გიორგის" აარსებენ. ყოველ შეკრებას მათი იდეური ბელადების – ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტები ამკობდა; შავ-შინდისფერი ალმით გარშემოვლებულ თეთრ დროშაზე ოქროსფერი ასოებით ეწერა – „საქართველო, უპირველეს ყოვლისა."





„თეთრი გიორგის“ იდეური ბელადები: ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ეს იყო მეთერთმეტე მცნება ქართველი ემიგრანტებისათვის, რომელთაც სიმონიკასათვის, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრისათვის, ჰიმნის დაწერა მიუნდვიათ:

**„ჩვენ მოვევლინეთ საქართველოს განწირულ დროში,**
**მიგვიღო ზეცამ, მაგრამ მიწა გვეძახის გერებს,**
**მივდივართ მწყობრივ ბნელ ღამეში გიორგის დროშით,**
**დავგმეთ წითელი და ვადიდებთ წარსულის ფერებს!“**

არაერთი ლექსი სიმონ ბერეჟიანის პოეზიაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულებსა" და ერეკლეს დაუმორჩილებელ ძეს – ალექსანდრე ბატონიშვილს ეძღვნება. იგი აქაც „ჩრდილოეთიდან მოსულ ავდარზე" საუბრობს, ძირში გადატეხილ ხმალსა და გაშავებულ

ჯვარს დასტირის:
**„პასუხს არ იღებს არც სამარე, არც თეჰერანი,**
**დღეს ქედმოხრილი, გარიყული, მუნჯი, ვერანი,**
**ბატონიშვილო, ჩრდილოეთით მოსულ ავდარში,**
**გაშავდა ჯვარი, დაიჟანგა და მოიხატა,**
**და შენი ხმალი მოქნეული გადატყდა ტარში!“**

ზედმიწევნით მართალი იყო მიხეილ ქავთარაძე, როცა მასზე წერდა: **„სიმონ ბერეჟიანს ქართულად ან ქართველად უნდა ეცოცხლა, ან იგი ვერ იცოცხლებდა.”**

მართლაც, რაც კი მის სახელს უკავშირდება, ყველგან საქართველოა, „საქართველოს განწირული დრო”, „თამარის მზე”, „ხმალი დავითისა და ჯვარი ნინოსი“, ყველაფერი არსებულ რეალობასთან შეურიგებლობით სუნთქავს, ყველგან მოწოდებაა – „არ დაიჯეროთ, რომ დაჭრილი ვაჟას „არწივი” გამოესალმა მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ...” „ქართული სული ვერ შეურიგდება მონობას!.. 1924 წლის მარიამობისთვემ გამოისყიდა სირცხვილი 1921 წლისა”.

ეს არის სიმონ ბერეჟიანის გულწრფელი, უაღრესად სანდო რწმენა, სადაც შესწორებას ვერ შეიტან.



„თეთრი გიორგის“ წევრები. (ცენტრში): ლეო კერესელიძე, მიხაკო წერეთელი და სიმონიკა ბერეჟიანი, 1934 წელი. პარიზი.

მეორე მსოფლიო ომის დროს სიმონ ბერეჟიანი ფრონტზე აღმოჩნდა. იქნებ, ვინმეს მოულოდნელი და უცნაური ეჩვენოს მისი ეს ნაბიჯი... მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიმონ ბერეჟიანი აქაც საქართველოსკენ მიმავალ გზებს ეძებდა.

გავიხსენოთ, თუნდაც, მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ქართული ბატალიონი და მათი მიზნები. ბერეჟიანის თანამედროვენი ვერც ვერაფერს ამბობენ ამ გადაწყვეტილების რეალურ მიზეზებზე. მხოლოდ იმას წერენ, რომ რუმინეთში ყოფნის პერიოდში სიმონიკას სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო; იგი სამხედრო ჰოსპიტალში გადაუყვანიათ და შემდგომ მისი კვალი დაკარგულა.

მასზე არსებული ბოლო ცნობა კიდევ უფრო ამძაფრებს სიმონ ბერეჟიანის ცხოვრების ტრაგიზმს – ომის დროს იგი სიმონ ბერგერის სახელით გარდაიცვალა. მას მესამედ შეუცვალეს გვარი.

**ვიქტორ ნოზაძის თქმით, „ქართულ ცრემლს არ დაუსველებია მისი სამარე.”**

**„ნუ მოიკითხავ ჩემს სამარესო“,** – ამბობს ერთ-ერთ ლექსში სიმონ ბერეჟიანი. მოიკითხეს, მაგრამ ვერავინ მიაგნო. უიღბლობას ამას ვერ დავაბრალებ.

**მისთვის სიცოცხლეშივე რომ გეკითხათ, სიკვდილის მერეც არ მისცემდა თავს ფუფუნების უფლებას, რადგან „სამშობლო უსამართლობის მსხვერპლი, ხიშტის უფლების მქონის ფეხქვეშ გათელილი დატოვა”.**



სიმონ ბერეჟიანი: „ნუ მოიკითხავ ჩემს სამარეს“



ანტონ ბობოხიძე

«უცნობი ისტორიები» «იალქნის» ახალი რუბრიკაა, რომელსაც ხსნის სოხუმელი ანტონ ბობოხიძე.

«8 წლის ვიყავი, როცა ჩემი დიდი ბებია - მართა გარდაიცვალა. მახსოვს, ამბობდნენ, დიდებული ქალბატონი იყოო. მის იტალიელობასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, მაგრამ მაშინ ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. მართა ბებია ჩემთვის ხომ ჩვეულებრივი ქართველი ბებია იყო, მზრუნველი, თბილი, მოსიყვარულე. და ასეთადაც დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში», - იგონებს ანტონ ბობოხიძე, რომელსაც იტალიური წარმომავლობა გარეგნობაზეც ეტყობა.

პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი დიდი ოჯახის (4 შვილი) ჩინებული მამა და ერთგული მეგობარია. დღემდე შეყვარებულია თავის მეუღლეზე (25 წლის ქორწინების შემდეგაც).

ბატონი ანტონის სახლში ხშირად საუბრობენ მათი ღირსეული წინაპრების, იტალიელი გოგონასა და ქართველი ვაჟის სიყვარულის ლამაზი ისტორიის შესახებ. მისმა ქალიშვილმა, წარმატებულმა სტუდენტმა და მომავალმა ექიმმა, რომლის გატაცება ხატვაა, მართა ბებიასა და ნიკოლოზ ბაბუას ნახატების ციკლი მიუძღვნა (პუბლიკაციას ერთვის მარი ბობოხიძის მიერ შესრულებული ნამუშევრები).

## მართა შუშია და სიყვარულის ლამაზი ამბავი

ანტონ ბობოხიძე

ჩემს დიდ ბაბუას, ნიკოლოზ ბობოხიძეს (მამაჩემის ბაბუა) ხონის რაიონის სოფელ გორდის პირველდაწყებითი განათლების შემდეგ ბათუმში უსწავლია და მერე ვაჭრობისთვის მიუყვია ხელი. ნიჭიერ ყმაწვილს მალევე აუღია ალღო ამ საქმიანობისათვის და იმდენი დაუმსახურებია, ვაჭართა პირველი გილდიის წევრადაც მიუღიათ.

ნიკოლოზ ბაბუას სიტყვას ფასი ჰქონია. იმდროინდელ საქმიან ხალხთან ურთიერთობდა და საკმაო წარმატებასაც აღწევდა. 22-23 წლის ახალგაზრდა უკვე 7-იალქნიან გემს ფლობდა, დაქირავებული მეზღვაურებითა და მომსახურე პერსონალით.

რევოლუციამდელ საქართველოში უცხოეთის ქვეყნებთან გაცხოველებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული. საქართველოდან გაჰქონდათ ხე-ტყე, მარგანეცი და სხვა ნედლეული, სამაგიეროდ, აქეთაც შემოჰქონდათ დეფიციტური საქონელი. ტრანსპორტირება, ძირითადად, ხდებოდა ზღვით. ამ მხრივ დიდი დატვირთვა ჰქონდა ფოთის პორტს.

ნიკოლოზ ბაბუა თავის გემებს თვითონ დაჰყვებოდა, მოვლილი ჰქონდა მრავალი ქვეყანა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს თავის ჯგუფთან ერთად ვენეციაში ჩავიდა. იტალიაში რამდენჯერმე მანამდეც ყოფილა, მაგრამ ვენეციაში – პირველად. იქ შეხვდა ადგილობრივ მდიდარ მეწარმეს, გვარად მანიანს, ადგილობრივი ფაიფურის რამდენიმე ქარხნის მფლობელს.

ვენეციელს ძალიან მოეწონა ყოველგვარი ღირსებით შემკული ახალგაზრდა უცხოელი და თავის თანმხლებ პირებთან ერთად სახლში მიიწვია ვახშამზე. მასპინძელმა სტუმრებს საკმაოდ დიდი წვეულება გაუმართა და ოჯახის წევრები გააცნო – მეუღლე და ერთადერთი ქალიშვილი – მარტა.



თეთრიალქნიანი ნავი

16 წლის მარტა, ჯერ კიდევ ბავშვი, როგორც ყველა გოგონა, ალბათ, თავის საოცნებო პრინცს ელოდებოდა. შეხედული და საკმაოდ თამამი ახალგაზრდა ქართველი სწორედ თავის ხორცშესხმულ ოცნებას ჰგავდა. მარტათი მოხიბლულ და იტალიური ღვინით გაბრუებულ ნიკოლოზსაც ბევრი არ უფიქრია; მოლხენის შემდეგ, როცა ზომაზე მეტად ნასვამი მასპინძლები დასაძინებლად წავიდნენ, რამდენიმე საათის წინ გაცნობილი მარტა შეითანხმა, მასთან ერთად გაპარულიყო. იმ ღამესვე ნიკოლოზმა მშვენიერ იტალიელ გოგონასთან და თავის ეკიპაჟთან ერთად გემები ვენეციიდან დაძრა და სამშობლოსკენ გამოეშურა.

მხოლოდ მეორე დილით აღმოაჩინეს გამოფხიზლებულმა მასპინძლებმა, რომ სახლში აღარც უცხოელი სტუმრები იყვნენ და აღარც მათი ქალიშვილი. უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო.

იალქნიან გემებს ზურგის ქარი უბერავდა და თავისი ნებით მოტაცებულ პატარძალს საქართველოსკენ მიაქროლებდა.



ვენეციური სახლი

ნიკოლოზმა თურქული და რამდენიმე საურთიერთო ენა საყველპუროდ კი იცოდა, მაგრამ ნაკლებად – იტალიური. არავინ იცის, როგორ აუხსნა სიყვარული ქალიშვილს, როგორ მოხიბლა ვენეციელი მარტა, მაგრამ ცხადია, ქალ-ვაჟს შორის გაჩენილი ძლიერი გრძნობა ენობრივმა ბარიერმაც კი ვერ დააბრკოლა.

ჯვარდაწერილი და კანონიერად შეუღლებული მარტა და ნიკოლოზი ფოთში დასახლდნენ. მარტას უკვე მართა ერქვა და ქმრის სიყვარულით ქართული ერთ თვეში ისწავლა. არც ქართულ გარემოსთან შეგუება გაუჭირდა იტალიელ გოგონას.

ახალდაქორწინებულები სიყვარულით ტკბებოდნენ, მაგრამ არ ასვენებდათ სინდისის ქენჯნა ვენეციიდან გამოპარვის გამო; ამიტომ ერთი თვის შემდეგ იტალიაში გაემგზავრნენ და მწუხარებისაგან დაზაფრული მშობლები მოინახულეს. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ისინი შეურიგდნენ სიძე-ქალიშვილს: ხელს ვერაფრით კრავდნენ ერთადერთ შვილს! მშობლები შეეგუენ იმ აზრსაც, რომ მათი მარტა შორეულ საქართველოში იცხოვრებდა. სევდას ისიც უმსუბუქებდათ, რომ სიძე მართლაც ყოველმხრივ მოსაწონი ახალგაზრდა გახლდათ!

რევოლუციამდე ერთმანეთის მოსანახულებლად ხშირად დადიოდნენ, ეკონომიური მდგომარეობაც ხელს უწყობდათ. მარტას მამა პერიოდულად სტუმრობდა ქალიშვილს. რადგან ძალიან მდიდარი იყო, მარტა კი მისი ერთადერთი მემკვიდრე, თადარიგი დაიჭირა, აღწერა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და შვილის სახელზე იურიდიული დოკუმენტი ანაბრის სახით შეინახა. ანდერძის მიხედვით, მშობლების გარდაცვალების შემდეგ ანაბარში აღნუსხული ქონება აუქციონზე გაიყიდებოდა, თანხას კი ბანკი მემკვიდრეს გადასცემდა.

როგორც ვთქვით, იტალიელმა რძალმა მალე შეითვისა ქართული წესი და ადათი. ფუფუნებაში გაზრდილს არც გათხოვების შემდეგ აკლდა რამე. ნიკოლოზი ყოველმხრივ ანებივრებდა საყვარელ მეუღლეს. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, როგორც ყველა დანარჩენის, მათი მდგომარეობაც შეიცვალა. ნიკოლოზს ქონება ჩამოართვეს, „გააკულაკეს“.

იგი იძულებული გახდა, ბოლშევიკებთან ეთანამშრომლა, მაგრამ ახლა მენშევიკები გადაიმტერა. მათ ნიკოლოზს სახლიც გადაუწვეს და სრულიად უსახსროდ დატოვეს. სამწუხაროდ, დაიწვა ანდერძით მიღებული ქონებაც და მასთან ერთად უამრავი სამახსოვრო ნივთი თუ სურათი. მართამ და ნიკოლოზმა ძლიერ განიცადეს ქონების განადგურება, მაგრამ სიცოცხლის ფასი მაინც არაფერი იყო.

ფოთში უკვე აღარ ედგომებოდათ და საცხოვრებლად მარტვილში გადავიდნენ, სოფელ ნახუნაოში. იტალიელმა ქალმა მეგრული ენაც მალე ისწავლა და სოფელში ცხოვრებაც. ხელვიწროდ იყვნენ, მაგრამ სიყვარული არ აკლდათ. სწორედ სიყვარულმა შეაძლებინა, ფუფუნებაში გაზრდილსა და აქამდე ცხოვრებისგან განებივრებულ მართას სიღარიბეც უსაყვედუროდ აეტანა.

ორი შვილი – ანტონი და ეპიფანე უკვე ჰყავდათ. ამასობაში, შრომისმოყვარეობის წყალობით, სოფელშიც მოძლიერდნენ. ორივე შვილს კარგი განათლება მისცეს. უფროსი ვაჟი, ანტონი (მამაჩემის მამა), მშენებელ-ინჟინერი გახდა: მისი აშენებულია აბაშა-ჰესი. სამწუხაროდ, ის მშენებლობის დროს გაცივდა, ჭლექით დაავადდა და მალევე გარდაიცვალა. მეორე შვილი კი, ეპიფანე, პროფესიით ისტორიკოსი, ბათუმში დამკვიდრდა და მისი შთამომავლობა დღესაც იქ ცხოვრობს.

მართა ბებია და ნიკოლოზ ბაბუა ღრმა სიბერემდე სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ, ერთმანეთის იმედად ჯანიც და სიმხნევეც მოსდევდათ. მაგრამ შემოდგომის ერთ დღეს 98 წლის ნიკოლოზი მაღალ ხეზე ასულა „შავი ადესის“ მოსაკრეფად, ტოტი ჩამოტყდომია და ხერხემალი დაზიანებია. მართას ქმრისთვის მზრუნველობა არ დაუკლია, მაგრამ 6 თვის ჩალოგინების შემდეგ ბაბუა გარდაცვლილა.

მართა ბებიას ძლიერ განუცდია მეუღლის დაკარგვა, მისტიროდა მასთან გატარებულ ბედნიერ წლებს. ნიკოლოზის აწეული ხმა არ გამიგიაო, ამბობდა ცრემლმორეული. ქმრის სიკვდილის შემდეგ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ მისი ხსენებისა და შესანდობარის დალევის გარეშე დღეს არ დააღამებდა და პირში ლუკმას არ ჩაიდებდა.



ოცნება



მიყვარს

მართა ბებიას გასაბჭოების შემდეგ ერთი დღითაც არ დაუტოვებია საქართველო. იცოდა, უკან ვერასდროს დაბრუნდებოდა. ამიტომ, თავისი იტალიისა და ვენეციის მონატრების მიუხედავად, წასვლის მცდელობაც კი არ ჰქონია. ალბათ, მთელი ცხოვრება გულში ატარებდა სამშობლოს სევდას. არც მშობლიური იტალიური დავიწყებია, მაგრამ იმდენად უყვარდა მეუღლე, იმდენი ხანი იცხოვრა საქართველოში, თითქმის მთლად გაქართველდა.

მართა ბებია ასეთი მახსოვს: საშუალოზე მაღალი, გამხდარი, ღია ფერის თვალებით, კოხტა, მოწესრიგებული, უკან შეკრული თმებით. თვალისჩინი სიცოცხლის ბოლომდე არ დაჰკლებია, ნემსში ძაფს სათვალის გარეშე უყრიდა. ცოტა ყურს კი დააკლდა და ამიტომ ხმამაღლა ვესაუბრებოდით.

მეგრელი ქალივით სისუფთავე უყვარდა, ხელებს საგულდაგულოდ დაიბანდა საჭმლის მომზადების წინ. ბევრჯერ მიჭამია მისი გამომცხვარი გემრიელი მჭადი.

ხელსაქმეც ეხერხებოდა, ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. უცხო ქარგვა იცოდა, იტალიაში, ბავშვობაში ნასწავლი; მისი ნაქარგებით სავსე იყო სახლი. როცა მამაჩემი ნიკოლოზი სოხუმში გადასახლდა, სამწუხაროდ, ბებიისა და ბაბუის გარდაცვალების შემდეგ დაიკარგა მარტვილის სახლი ნახუნაოში და მასთან ერთად მართას ნაქარგებიც. დარჩა მხოლოდ ხსოვნა დიდი ბებიისა, იტალიელი მარტა მანიანისა და სიამაყის გრძნობა, რომ მის შთამომავლებს ქართულთან ერთად იტალიური სისხლიც გვირევია. ჩვენად მიგვაჩნია და გვემშობლიურება იტალიურიც, მისი ცეკვები და სიმღერები, კულტურა და ყოფა. ვფიქრობთ, უახლოეს ხანებში მოვინახულოთ დიდი ბებიის სამშობლო; ვეწვიოთ თვალწარმტაც ვენეციას, სადაც ჩვენი წინაპრების გზები გადაიკვეთა და ერთი ნახვით შეყვარება ისეთ დიდ სიყვარულად იქცა, დღესაც რომ ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას.

შთამომავლებს ყოველთვის გვხიბლავდა მართა ბებიისა და ნიკოლოზ ბაბუის სიყვარულის ამბავი. ამბობენ, ისტორიები ხშირად მეორდებაო.

მართალია, შორეულ ვენეციაში არ წავსულვარ, მომავალ მეუღლეს რომ გადავყროდი, მაგრამ ჩვენი შეხვედრის ამბავიც ძალიან უცნაურად განვითარდა.

ზაფხულობით ჩემი ოჯახი კურორტ ლებარდეში ისვენებდა (მშობლიური მარტვილის სიყვარულით). სხვებივით ჩვენც კოტეჯში ვცხოვრობდით. დამსვენებლები ერთმანეთს ვეცნობოდით და იყო დიდი ჟრიამული და მხიარულება.

ერთ ზაფხულსაც ჩვენი კოტეჯის გვერდით ახალი მეზობლები დაბინავდნენ. ბავშვები მალე დავმეგობრდით. მე 13 წლის ვიყავი, თავი დიდი ბიჭი მეგონა და მეზობლის პატარებს ყურადღებას ვაქცევდი. გამორჩეულად ვზრუნავდი 4 წლის მედეაზე. როცა მამა მინერალური წყლის მოსატანად გამგზავნიდა, გოგონა გამომდევდა, რომ წამეყვანა. გზაში დაიღლებოდა და მე მხრებზე შევისვამდი; ერთი ხელით წყლიანი ჭურჭელი მეჭირა, მეორეთი – მედეა.

ფოტოგრაფებს საქმე არ ელეოდათ. იმ წელსაც გადავიღეთ ახალგაცნობილმა და უკვე დამეგობრებულმა დამსვენებლებმა ერთობლივი სურათი. ფოტოს თარიღიც აწერია – 1972 წელი.



გემი პეპლებით – ვენეციისკენ

19 წლის შემდეგ, 1991 წელს, ჩემს რჩეულზე დავქორწინდი. ქორწილიდან რამდენიმე დღეში, როცა ჩემი მეუღლე ჩვენს საოჯახო ალბომს ათვალიერებდა, ერთი სურათის ნახვისას გაკვირვებულმა იკითხა, ჩემი სურათი ჩემებმა აქ რატომ დატოვესო.

მე ვუთხარი, რომ ეს ჩემი ფოტო იყო და უკანა რიგში მდგარი ბიჭიც მე ვარ-მეთქი. ახლა მეუღლემ სურათზე თავისი თავი დამანახა – 4 წლის გოგონა, რომელიც წინა რიგში დგას, უკან იყურება და თვალებით მე მეძებს.

ის პატარა გოგონა ჩემი მედეა იყო, ახლა უკვე ჩემი უსაყვარლესი მეუღლე!



ნანა ქარდავა

«იალქნის» მკითხველს უთუოდ კარგად ახსოვს მწერალ ნანა ქარდავას დიდი გულწრფელობითა და სითბოთი სავსე მინიატურები თუ სხვადასხვა შინაარსის პუბლიკაციები, რომელიც ამშვენებს ჟურნალის გვერდებს. ჩვენს ჭეშმარიტ გულშემატკივართა შორის ქალბატონი ნანა გამორჩეულია.

პროფესიით ექიმ-პედიატრს, აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრს, მოთხრობების არაერთი კრებულისა და უამრავი გამოფენა-პრეზენტაციის ავტორს დიდი წვლილი შეაქვს აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

«იალქნის» ამ ნომერში გთავაზობთ ფრაგმენტს ნანა ქარდავას მომავალი წიგნიდან «სოხუმში უსახელო ქუჩაზე», სადაც მოთხრობილია აფხაზეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ეპიზოდი.

მათ შორისაა, ავტორის მიერ მოპოვებული საინტერესო ცნობები, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც, იმ სახლის შესახებ, რომელსაც გალაკტიონი სოხუმში აშენებდა. როგორც ჩანს, ზღვისპირეთში ცხოვრება პოეტის ოცნება იყო. ამაყობდა, რომ შარვაშიძეთა აფხაზური გენის გამგრძელებელი ისიც იყო. სოხუმის მკვიდრი ვარო, ხშირად იმეორებდა.

ცნობილია, რომ გალაკტიონის ლექსებსა თუ უბის წიგნაკის ჩანაწერებში უამრავჯერ არის «აფხაზეთი ნახსენები».

გალაკტიონის პოეტურ ქმნილებებსა თუ მოგონებებში, სადაც კი ტალღების ხმაური გესმის, დღეს მით უფრო გემშობლიურება ზღვა, «რომელიც შორია».

მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქი იამაყებდა, გალაკტიონი რომ მისი მკვიდრი ყოფილიყო (ნანა ქარდავას პერიფრაზი). ალბათ, არც ისაა მნიშვნელოვანი, სოხუმში მართლა იცხოვრებდა თუ არა დიდი პოეტი - ის სამუდამოდ დარჩა აფხაზეთის მკვიდრთა მოგონებებში.

ნანა ქარდავა ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის ლექსზე «იმ ვენეციურ ხიდზე», რომელიც პოეტს აფხაზეთისადმი მიძღვნილ კრებულში გამოუქვეყნებია.

ქალბატონი ნანა ჩვეული პროფესიონალიზმითა და ინტერესით იკვლევს ამ ლექსის დაწერის ისტორიას და მოწოდებული ლიტერატურული სიუჟეტით პირველად ასაბუთებს, რომ ლექსი შეცდომითაა დასათაურებული.

გალაკტიონის «ვენეციური ხიდი» XII ს.-ის ქართველთა საამაყო ძეგლი «თამარის ხიდი», ხოლო უწინ ვენეციის გზატკეცილად სახელდებული გამზირი მწერლის მშობლიური ჭანბას ქუჩა ყოფილა.

## გალაკტიონი, მისი სახლი სოხუმში და შეცდომით დასათაურებული ლექსი

ნანა ქარდავა

„ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების – შერვაშიძეთა გვარიდან. ჩემი დიდი დედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელის“, – წერს შარვაშიძეთა გვარის ჩამომავალი გალაკტიონ ტაბიძე.

წარმოშობა, თავისთავად, ბევრ რამეს ხსნის, მაგრამ ხომ აუხსნელია პოეტური სიყვარული – ზემგრძნობიარე!

რა უხვადაა მის ჩანაწერებში აფხაზეთის სიყვარულზე, მხოლოდ სათავისოდ მონიშნული თუნდაც ასეთი ფრაზა: „რას შვრება, ნეტავ, ის პეპელა, სოხუმის მთაზე, ელექტროშუქზე რომ შემოფრინდა?“

საოცარია, რამ გაახსენა თბილისში, სოხუმის მთაზე და ისიც, ელექტროშუქზე შემოფრენილი პეპელა?! რატომ ახსოვდა საკმაო ხნის მანძილზე სოხუმში ნაპოვნი „კარანდაში“, რომლითაც დიდხანს იწერდა თავის შთაბეჭდილებებს.

გალაკტიონს ხომ სოხუმი ძალიან უყვარდა!

სოხუმელებსაც უყვარდათ იგი – ორჯერ გაუმართეს შეხვედრა – 1927 და 1946 წლებში. ერთ-ერთ შეხვედრაზე სოხუმელებმა პოეტს გულზე დააბნიეს პატარა ოქროს ლირა. ეს ფოტოპორტრეტი, გულზე რომ ლირა აბნევია, ალბათ, ყველას გვახსოვს.



გალაკტიონ ტაბიძე

სოხუმის მკვიდრი ვარო, ამასაც ხშირად იმეორებდა გალაკტიონი. რა თქმა უნდა, ახარებდა, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისი სახელობის ლიტერატურული წრეც რომ მუშაობდა.

„საექიმოდ აფხაზეთში“ მივემგზავრებიო, ჩაუწერია. ან საქართველოს რომელი კუთხე იტყოდა მის მასპინძლობაზე უარს?

როცა სიამაყით ვწერ გალაკტიონის დამფასებელ სოხუმელებზე, იქვე მახსენდება პოეტის ერთი ჩანაწერიც:


გალაკტიონ ტაბიძე თეატრის წინ

„1. სოხუმში ჩამოვედით 6 სთ 25 წთ-ზე. კარგად ვიმგზავრეთ.
2. სასტუმრო „აბხაზიაში“ ვიღაც უცნობმა რუსმა ქალმა ბინა არ მოგვცა.
3. დავსახლდით კერძო ბინაში, ოქტომბრის ქუჩაზე“.

ეს სოხუმელი რუსის ქალი, გალაკტიონს რომ „აბხაზიაში“ ნომერი არ მისცა, მხოლოდ თავისი უსაქციელობის გამო ცოცხლობს გალაკტიონის ჩანაწერებში.

ნოდარ ტაბიძეს, გალაკტიონის ძმისშვილს, აღურიცხავს ერთგან: „გალაკტიონს თავის ლექსებში აფხაზეთი ნახსენები აქვს 68-ჯერ, სოხუმი – 17-ჯერ“ და ასკვნის: „შორს წაგვიყვანს იმის აღნუსხვა, რამდენჯერ აქვს გალაკტიონს თავის შემოქმედებაში ნახსენები საოცნებო ზღვისპირეთი და მასთან დაკავშირებული ტოპონიმები.“

„აფხაზეთის წვიმა მიყვარს“ – გალაკტიონის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. სოხუმელი პოეტი ჯანო ჯანელიძე იხსენებს, გალუმპულ გალაკტიონს წვიმაში როგორ მიაწოდა ქოლგა ერთმა ზღვისპირელმა მანდილოსანმა. პოეტმა კი იუარა:

– ქოლგით როგორ გადავხურავ ამ ცას, დაიკო?!

* * *   * * *   * * *

ამ პატარა წერილის დაწერა გალაკტიონზე ერთმა გარემოებამ გადამაწყვეტინა. ცნობილია, რომ გალაკტიონმა სოხუმში სახლი აიშენა. ამ სახლს პოეტი, თურმე, აშენებდა 1949 წლიდან 1958 წლამდე და სოხუმში ცხოვრებასაც გეგმავდა. მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება და მგოსანს იმ სახლში მხოლოდ რამდენიმე ღამეღა გაათევინა.

აი, ამ სახლის მისამართის მოძიება გადავწყვიტე. დავუკავშირდი კიდეც ძველი თაობის სოხუმელებს. სამწუხაროდ, ვერავინ გაიხსენა გალაკტიონის პროექტით, მისივე დაგეგმარებით, მის მიერვე აშენებული სახლი.

„გემიდან ჩემს სახლს ვუყურებ მთაზე“, – ამ და სხვა ამგვარი პოეტური მინიშნებებით მხოლოდ ის გავიგე, რომ სახლი სადღაც მაღალ ადგილას – სწორედ მთაზე იდგა.

ერთ მის თანამედროვე მწერალს უკითხავს კიდეც, ასეთ სიმაღლეზე რომ იშენებთ სახლს, რად გინდათო, რაზეც გალაკტიონს ასე უპასუხნია:

– გალაკტიონს, ძამიკო, სიმაღლის არ ეშინია!

სოხუმში ვილას აშენება ჩემი ოცნებააო, ამბობდა თურმე ხშირად.

ჩაუნიშნავს კიდეც:

„სახლი უნდა იქნეს ორსართულიანი. ქართული სტილის. რაც შეიძლება, მაღალი. იდეა მიქელანჯელოსი (სიმაღლის იდეა).“

1949 წლის 23 აგვისტოს სოხუმის ქალაქის საბჭოს მისწერა:

„მუშაობის პირობების შექმნისა და ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით მაქვს სურვილი, დავსახლდე ქალაქ სოხუმში. გთხოვთ, გამომიყოთ მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური მშენებლობისათვის.“

სხვათა შორის, ზუსტად ერთ თვეში მიიღო თანხმობა. გამოეყო ნაკვეთი (600 კვ/მ) სოხუმის მთის რაიონში.


გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან

აქვე პატარა შეუსაბამობასაც აღვნიშნავ.

ნოდარ ტაბიძე წერს:

„შემთხვევითი როდია, რომ გალაკტიონმა სოხუმში მოინდომა დამკვიდრება; მარტის ქუჩაზე, დიდი ორსართულიანი სახლის მშენებლობა წამოიწყო. სამწუხაროდ, ერთი ღამეც არ გაუთევია იქ.“

სხვას აღნიშნავს პროფესორი ოთარ ჭურღულია:

„აფხაზეთის სიყვარულმა, მისდამი კეთილმა დამოკიდებულებამ გალაკტიონ ტაბიძეს გადააწყვეტინა, სოხუმში მთის ძირას, ნინოშვილის ქუჩაზე სახლი აეგო და დამტკბარიყო ზღვის

სილამაზის ხილვით“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სოხუმელი ქალბატონის, გალაკტიონის რუსულად მთარგმნელის, ვანო ქვაჩახიას ქალიშვილის – ია ქვაჩახიას ჩანაწერი:

„ჩემს უბანში, ნინოშვილის ქუჩას, რომელიც სოხუმს ზემოდან გადმოჰყურებდა და ცნობილი იყო რევოლუციამდელი, ულამაზესი ნაგებობებით, ერთი გუმბათიანი, მრავალაივნიანი სახლიც ამშვენებდა. მას გალაკტიონის სახლს ეძახდნენ.“

ჟურნალისტ ნოდარ შონიას ჩანაწერებიდანაც ირკვევა, რომ: „სახლის კეთილმოწყობა მთლიანად არ იყო დამთავრებული, მაგრამ გალაკტიონი ახალ ბინაში ზაფხულობით მაინც ცხოვრობდა. პოეტს განსაკუთრებით უყვარდა ფანჯარასთან ჯდომა და ზღვისა და ქალაქის ცქერა.“


მარჯვენიდან: ბუხუტი ბღაჟბა, გალაკტიონ ტაბიძე, დიმიტრი გულია და ბაგრატ შინკუბა. სოხუმი

ამ სახლში ფოტოც გადაუღია, როგორც ამტკიცებს იგივე ავტორი.

გამოდის, მთიდან დანახული გემი, ფანჯრიდან აღქმული ზღვისპირა ქალაქი – ეს პანორამაა საკუთარი ბინიდან. ეს სოხუმის მთაა, ფუნიკულიორის სიმაღლე, სადაც ნინოშვილის ქუჩაზე, სავარაუდოდ, გალაკტიონმა სახლი აიშენა.

* * *     * * *     * * *

გალაკტონს ერთი ლექსი ასე აქვს დასათაურებული: „იმ ვენეციურ ხიდეზე“. იგი პირველად აფხაზეთისადმი მიძღვნილ წიგნში გამოაქვეყნა.

ამ ლექსმა ჩემი ყურადღება მიიპყრო სათაურის გამო – „იმ ვენეციურ ხიდეზე“. თითქოს მშობლიური მეცნო ამ სიტყვებში. მოგეხსენებათ, სოხუმში, ჭანბას ქუჩას ერთ დროს ვენეციის გზატკეცილი ერქვა. რაღაცამ მიმახვედრა, რომ სავარაუდოდ, ვენეციის ხიდი თამარის ხიდი უნდა ყოფილიყო.

სოხუმელი მწერლის კლიმენტი გოგიავას 1972 წლის მოგონებაში „აფხაზეთის წვიმა მიყვარს“ ამოვიკითხე, რომ 1948 წელს კლიმენტი გოგიავასა და გალაკტიონს თამარის ხიდი მოუნახულებიათ. მაშინ, ალბათ, სწორედ ვენეციის გზატკეცილი ერქმეოდა ჭანბას ქუჩას. ამაზე გოგიავა არაფერს ამბობს, მხოლოდ წერს, „გავყევით მდინარე ბესლეთის ნაპირს“ (მდინარე ბესლეთი, ანუ მდინარე ჩალბაში, როგორც ჩემს დროს ვუწოდებდით და მდინარე ჩაიბაში, როგორც თედო სახოკია იხსენებს).

მდინარე ბესლეთს მხოლოდ ჭანბას ქუჩით თუ აყვებოდი.

რომელ ხიდზეა ლაპარაკი, ეკითხება გოგიავა გალაკტიონს. აი, მდინარე ბესლეთზე რომაა, ძველთაძველი, პასუხობს გალაკტიონი.

გოგიავას აინტერესებს, რატომ დაარქვით მას „ვენეციური ხიდიო“.

გალაკტიონი წამოწითლებულა, სახე აშლია და ხელი ხელისთვის შემოუკრავს:

– ბიჭოს! ზედაც აწერია, თამარ მეფის აშენებული ყოფილა. მე კი აქ რომ ვიყავი, ეს წარწერა არც მინახავს. მეგზურმა მითხრა, ვენეციურიაო და მეც ბრმად დავუჯერე!

გოგიავასა და გალაკტიონის დიალოგმა, სამწუხაროდ, იმ მეგზურის ვინაობა არ შემოგვინახა, მაგრამ ის, რომ ქართველებისადმი არაკეთილმოსურნე იყო, მის დამოკიდებულებაშიც გამჟღავნდა.

ძამიკო, ამ შეცდომას გალაკტიონი გამოასწორებს, უპასუხნია გალაკტიონს გოგიავასთვის, როგორც ჩვეოდა ხშირად ლაპარაკი თავის თავზე მესამე პირში.

ლექსი დარჩა იმავე სახელწოდებით, თუმცა შეცდომით დასათაურებული – „იმ ვენეციურ ხიდეზე“.

ამ ლექსის არსებობა და კლიმენტი გოგიავას მოგონება ცხადყოფს, რომ გალაქტიონი ნამყოფია ვენეციის ანუ ჭანბას – ჩემი ბავშვობის ქუჩაზე და რომ ისიც აღტაცებული ყოფილა სოხუმელ ქართველთა სიამაყით, XII ს.-ის ძეგლით – თამარის ხიდით.


გალაკტიონ ტაბიძე სოხუმის მთაზე (ფუნიკულორზე)

# რაც ინატრა ელფების დედოფალმა

## შოტლანდიური ლეგენდა

თარგმნა ლალი მუხაძემ



ერთ ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა სახელგანთქმული გრაფი მარჩი, თავის ქალიშვილთან, მშვენიერ ჯენეტთან ერთად.

ჯენეტი სხვა გოგონებთან ერთად მდიდრული სასახლის ერთ-ერთ მაღალ კოშკში საქმიანობდა. ხან ქსოვდა, ხან ქარგავდა, ხან სამეფო შესამოსელს კერავდა, მაგრამ ყველაზე ძალიან სარკმლიდან ყურება უყვარდა. საათობით იდგა ფანჯარასთან და გაჰყურებდა მწვანე ველებს, საძოვრებსა და კარტეხოგის დაბურულ, როგორც მას ეძახდნენ, საშიშ ტყეს.

ამბობდნენ, იქ ელფი რაინდები ბინადრობენ და ვაი იმ გოგოს, ვინც მათ შემთხვევით მაინც გადაეყრებაო! ჯენეტს, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ასეთი ზღაპრების და ერთ მშვენიერ დღეს კარტეხოგის ტყეში გაისეირნა.

ერთ-ერთ ხესთან ოქროს უნაგირიანი რძისფერი რაში დაინახა. ეუცხოვა, მაგრამ გზა მაინც განაგრძო და უცბად ვარდების მინდორზე აღმოჩნდა. ის იყო, ყვავილი უნდა მოეწყვიტა, რომ მის წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ახალგაზრდა, ლამაზი ჭაბუკი გაჩნდა.

- რატომ მოწყვიტე ვარდი? არ იცი, რომ ჩემი ნებართვის გარეშე აქ არაფრის უფლება არ გაქვს?! – შესძახა ჭაბუკმა.

- სადაც მინდა, იქ მოვწყვეტ ყვავილებს და არაფერსაც გკითხავ! – მიუგო ჯენეტმა უკმეხად.

ჭაბუკს გაეცინა, ვიხუმრეო და გოგონას ულამაზესი წითელი ვარდი გაუწოდა.

- არ გეწყინოს, შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ შენთვის მთელი კარტეხოგის ტყის ყვავილებსაც არ დავიშურებდი! – უთხრა ჭაბუკმა.

იმ დღეს ჯენეტმა და ტამ ლინმა (ასე ერქვა ჭაბუკს) ტყეში ბევრი ისეირნეს, ტბის ნაპირას იცეკვავეს და იმღერეს. მზე, როცა დასავლეთით გადაიხარა, ჯენეტი სასწრაფოდ გამოემშვიდობა ჭაბუკს და სასახლისკენ სირბილით გამოსწია.



მეორე დღეს ციხე-სიმაგრის დარბაზში წარჩინებული ქალბატონები და ბატონები ჭადრაკს თამაშობდნენ, გოგონები კი ქსოვდნენ. მოწყენილი ჯენეტი იდგა ფანჯარასთან და ტამ ლინი ენატრებოდა; უკვე ისიც იცოდა, ჭაბუკი უბრალო მოკვდავი კი არა, ელფების უფლისწული რომ იყო. ამიტომ ცოტა ეშინოდა კიდეც.

ერთ მშვენიერ დღეს ჯენეტმა ვერ გაუძლო მონატრებას და ისევ კარტეხოგის ტყეს მიაშურა. ბევრი ეძება ტამ ლინი, მისი რძისფერი ცხენი, მაგრამ ვერსად იპოვა.

იმედი რომ გადაეწურა, იმ ნაცნობ ხეს მწვანე ტოტი მოატეხა, სიყვარულის ნიშნად თან გავიყოლებო. ის იყო, სახლში წასვლას აპირებდა, რომ მოულოდნელად მის წინ ტამ ლინი გაჩნდა.

- მითხარი, მითხარი, ტამ ლინ, ვინა ხარ შენ? – შეშფოთებით ჰკითხა ჯენეტმა.

- მე ამ ტყის მცველი ვარ! – იყო პასუხი.

- შენ მართლა ელფების დედოფლის რაინდი ხარ?

- კი, ასე მეძახიან, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინათ მეც შენსავით



ადამიანებთან გავჩნდი; დედ-მამა ადრე გარდამეცვალა, გამზარდა ბაბუამ, გრაფმა როკსბურგელმა. ერთხელ, როცა ნადირობდა, ელფების დედოფალმა მომაჯადოვა, ჩამაძინა და მომიტაცა; მას მერე ვცხოვრობ ელფების ქვეყანაში. იქ ყველაფერი ლამაზია, იქ მარადიული ახალგაზრდობის ზეიმია, ყველას ვუყვარვარ და პატივს მცემენ, მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მინდა, მოვიხსნა ჯადო და ისევ ადამიანებს დავუბრუნდე!

- მე დაგეხმარები! – ჩაიჩურჩულა ჯენეტმა, - ოღონდაც, მითხარი, რა უნდა გავაკეთო ამისთვის?

- კარგად მომისმინე, რასაც გეტყვი. ელფები წელიწადში მხოლოდ ერთხელ აღნიშნავენ ყოველთა წმინდანთა ხსენების დღეს; ღამით ყველა ელფი ტოვებს მწვანე სერებსა და ლამაზ სამკვიდროს და მეც მათთან ერთად მივდივარ. დღეს სწორედ ეს ღამეა; მაგრამ, ჯენეტ, ნუთუ შეძლებ ჩემს შველას? ეს ხომ ძალზე საშიში და სახიფათოა!..

- შენს გამო არავისა და არაფრის წინაშე უკან არ დავიხევ! – თქვა მტკიცედ ჯენეტმა.

- ზუსტად შუაღამისას, - დაიწყო ტამ ლინმა, - დამელოდე ოთხი გზის გასაყართან. ჯერ რაშებზე ამხედრებულ ელფების დედოფლის რაინდებს დაინახავ, ისინი გაატარე და უხმოდ იდექი; მერე მხედრები ჩაგიქროლებენ ჩალისფერი ცხენებით, ისინიც გაატარე. ბოლოს გამოჩნდებიან ელფები თეთრი ცხენებით. მათ შორის, მეც ვიქნები; მერე ცალ ხელთათმანს წავიძრობ, შენ კი ჩემი ცხენის სადავე გამომგლიჯე; ამ დროს ცხენიდან ჩამოვვარდები და ელფების დედოფალი იყვირებს: „ერთგული ტამ ლინი მოიტაცეს!“ აი, ამის მერეა უკვე სხვა ყველაფერი ძალზე ძნელი შესასრულებელი: შენ ხელები უნდა შემომხვიო და, რადაც არ უნდა გადამაქციონ, ხელი არ გამიშვა. მხოლოდ ასე მომეხსნება დედოფლის ჯადო და შევძლებ, სამუდამოდ ადამიანად დავრჩე!

ჯენეტმა მტკიცედ გადაწყვიტა, დახმარებოდა ტამ ლინს. მთელი ღამე ტყეში ელოდა სატრფოს. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ჭაბუკმა უთხრა: მაშინ, როცა ჯენეტმა აღვირი ხელიდან გამოსტაცა ტამ ლინს და იგი მიწაზე აღმოჩნდა, ჯენეტმა ვაჟს შემოაჭდო ხელები და მაგრად, მაგრად ჩაეკრა ჭაბუკს.

- ერთგული ტამ ლინი მოიტაცეს! - იყვირა ელფების დედოფალმა.



ჯენეტი არც მაშინ შეშინდა, როცა ჭაბუკი ჯერ მწვანე ხვლიკად გადააქცია დედოფალმა და არც მაშინ, როცა გველადქცეული სატრფო ტანზე ცივად და უსიამოდ შემოეხვია. გოგონა სულ უფრო ძლიერად იხუტებდა ტამ ლინს მკერდში; ცოტა ხანში გველი გახურებულ რკინად იქცა. სიმწრისგან ჯენეტს თვალებიდან ცრემლები ღვარად დაედინა, მაგრამ საყვარელ ადამიანს ხელი მაინც არ გაუშვა.

ბოლოს და ბოლოს, ელფების დედოფალი მიხვდა, რომ ასეთ თავგანწირვას წინ ვერაფრით აღუდგებოდა. ელფების ქვეყანამ კი სამუდამოდ დაკარგა ტამ ლინი.

დედოფალს დანანებით აღმოხდა:

- მე რომ მცოდნოდა ის, რაც დღეს ვნახე და გავიგე, ტამ ლინის გულს ქვად ვაქცევდი!

ამ სიტყვების მერე დედოფალი მწვანე ტყეში გაუჩინარდა. მშვენიერი ჯენეტი და ტამ ლინი კი ბედნიერები დაბრუნდნენ სახელგანთქმული გრაფ მარჩის ციხე-სიმაგრეში.



გოგა პიპინაშვილი

ნომრის სტუმარია ცნობილი ქართველი მსახიობი გოგა პიპინაშვილი - თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა დასის წევრი, სახელოვნებო სტუდია „არტ ჰოლის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

საინტერესო დეტალი: ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი „არტ ჰოლი“ და საყმაწვილო ჟურნალი „იალქანი“ - ორივე იუბილარია, ორივე 1996 წელს დაიბადა.

გოგა პიპინაშვილი თვლის, რომ სტუდია კი არა, ურთიერთობები შექმნა.

მიღწეული მისთვის მუდამ ახალი ექსპერიმენტის დასაწყისია.

მისი არჩევანია, არასოდეს წავიდეს კომპრომისზე, მით უფრო, საკუთარ თავთან.

„შენი ძველი, რასაც წარსული ჰქვია, არ უნდა გაათახსირო, თორემ წინ, სადაც გინდა, გაფრინდი“, - ეს მისი პოზიციაა.

„მერე ვნახოთ, რა იქნება“, - ასე ჰქვია გოგა პიპინაშვილის ერთ-ერთ ბოლო წარმოდგენას „არტ ჰოლში“.

რა იქნება ხვალ? - ვფიქრობთ, ამ შეკითხვაზე პასუხს ინტერვიუში ამოიკითხავთ.

# გოგა პიპინაშვილი: „ჩემთვის მთავარია ურთიერთობები“

ნანა ჭანტურია

- ბატონო გოგა, იცით, რატომ გადავწყვიტე თქვენთან შეხვედრა? ერთ-ერთ ბოლო წარმოდგენაზე მოსულმა შევიტყვე, რომ საყმაწვილო ცენტრი "არტ ჰოლი" და საყმაწვილო ჟურნალი "იალქანი" ერთი ასაკისანი ვყოფილვართ (2016 წელი თქვენთვისაც საიუბილეოა).

**- ქვეყანაში ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ბავშვებისათვის. ამას სჭირდება სახელმწიფოებრივი ძალისხმევა და ნება. სამწუხაროდ, განვლილმა წლებმა სხვა რეალობის წინაშე დამაყენა: იმაზე ნაკლებად ზრუნავენ, რას ფიქრობენ და რა სურთ ამ პატარებს, საითკენ უნდა წარიმართოს მათი გონებრივი პოტენციალი. აუცილებელია, იცოდნენ და აფასებდნენ ჩვენს კულტურასა და ისტორიას, ისწავლონ ახალი, გაამდიდრონ საკუთარი თავი და ქვეყანა.**

- სცენიდან სწორედ ეს გაჟღერდა, როცა ზღაპრის პერსონაჟებმა მაყურებელი სულიერების განსაკუთრებულ ხარისხს გვაზიარა. ბოლოს მზე მაინც ამოვიდა (ეს არამარტო მეტაფორული კულმინაციაა), რომ მერე უფრო მეტად იმედიანსა და ადამიანების უფრო მეტად მოყვარულს გამკვირვებოდა: ალბათ, მაინც სამართლიანი გულისწყრომის გამო ბრძანეთ წარმოდგენის დაწყებამდე, რომ ამ სცენური ნაწარმოებით ასრულებდით მოღვაწეობას "არტ ჰოლში?"

**- დიახ, ვთქვი; მაგრამ ისიც გავიაზრე, რომ ჩემთან მოსულმა და როლით, სცენით, რეპეტიციით, სპექტაკლით "მოწამლულმა" პატარებმა უკვე საკმაოდ "შეტოპეს". ან უნდა გაიყვანო ეს მოზარდები ნაპირამდე და მერე გაუშვა ხელი ან ზურგი შეაქციო მათ. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ღალატად მივიჩნიე. მაშინ დავსვი ჩემებური დიაგნოზი და გადავწყვიტე, გზაც ჩემებური გადასახედიდან მეპოვა.**

- ვიდრე ოცწლიან განვლილ პერიოდსა და, ასე ვთქვათ, თქვენებურ ექსპერიმენტზეც ვისაუბრებთ, მაინტერესებს, საიდან იწყება ცენტრის ისტორია? ერთსაც დავამატებ: დევნილობის პირველ წლებში ჟურნალ "იალქნის" დაარსება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი; შეიქმნა იგი "ომის შვილებისათვის" სულიერი და ეროვნული ცნობიერების საზრდოდ; იმიტომ, რომ აფხაზეთის დაკარგვიდან 4 წლის შემდეგ მშობლიური კუთხის დავიწყების საშიში პროცესი უკვე იყო დაწყებული. მაგრამ აქვე და მაშინ, უკიდურესად მძიმე სოციალური ვითარების პირობებში, იბადება თქვენი სტუდია.

**- მოდით, ასე ვთქვათ, იბადება ურთიერთობები!**

- კი, ბატონო, მაშინ კითხვას ოდნავ შევცვლი: როგორ მიხვედით ამ ურთიერთობებამდე და ვისგან წამოვიდა ეს ინიციატივა?

**- ბატონ მიხეილ თუმანიშვილთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, შეგვექმნა კინომსახიობთა თეატრთან არსებული საყმაწვილო სტუდია. პედაგოგიური გამოცდილება არ გამაჩნდა, მაგრამ რუბიკონის გადალახვა არ მაშინებდა - დიდი ხელოვანი და პედაგოგი ჩვენს გვერდით იყო. ისე, თავიდან, ცოტათი მასაც კი შეეშინდა. საერთოდ, ბატონი მიშა ფრთხილი ადამიანი იყო. ბოლოს მაინც დამთანხმდა. მერე კი, იცით, რა მითხრა (ეს ფრაზეც მაქვს აღბეჭდილი და არ მავიწყდება)? - ის, რომ ბავშვის თამაშსა (როცა ერთობა) და მსახიობის თამაშს შორის განსხვავება არაა, ეს არაჩვეულებრივად საერთო სივრცეა.**

- საერთო? უფრო რომ დავაკონკრეტოთ ეს საინტერესო მოსაზრება? ანუ ესაა ბავშვის თვისება და ჭეშმარიტი მსახიობის ნიჭი, ორივე შემთხვევაში კი - ბუნებრიობა, არა?



„დრაკონი“

**- დააკვირდით ნებისმიერ პატარა გოგონას, რომელიც მარტო რჩება თავის თოჯინასთან - როგორ აჭმევს, როგორ აძინებს, როგორ უჯავრდება ის "შვილს", როგორ თამაშობს დედას, როგორი ორგანულია მათი დამოკიდებულება. ახლა მოვიყვანოთ ბიჭუნას მაგალითი, რომელიც თავისი ბავშვური ფანტაზიით მართავს ავტომანქანას; ჯერ "ადის" აღმართზე, მერე ძირს "ეშვება"; არ ავიწყდება, გამოიყენოს მუხრუჭიც, სიგნალიც, მოხვევაც და ამ ტრაექტორიის თითოეულ ეტაპზე შესაბამის ხმებსაც გამოსცემს. მთელი ეს პროცესი ძალზე ზუსტი და დამაჯერებელია.**


რეპეტიციაზე

- "უბედნიერესი ადამიანი ვარ: ინსტიტუტში ლილი იოსელიანი მასწავლიდა, შემდეგ მიხეილ თუმანიშვილის თეატრში მივედი. ჩვენი პროფესიის არსი ამ ორ პედაგოგზე უკეთ არავინ იცოდა," - ეს თქვენი სიტყვებია, ბატონო გოგა. "არტ ჰოლის" სათავესთანაც ბატონი მიშა დგას...

**- სხვათა შორის, საყმაწვილო სტუდიის დაფუძნებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროში წარდგენილ ჩვენს დოკუმენტზე, 52 ცნობილ ხელოვანს შორის (საჭირო იყო ამდენი პიროვნების ხელმოწერა) პირველმა სწორედ მიშა თუმანიშვილმა მოაწერა ხელი. მაგრამ, თურმე, დიდი განსაცდელი გველოდა: 1996 წლის 16 მაისს, როცა იუსტიციის საგანგებო კომისიამ ოფიციალურად დაარეგისტრირა ხელოვნების საყმაწვილო სტუდია (მაშინ ასე გვერქვა), ზუსტად იმ დღეს ვეთხოვებოდით ბატონ მიშას. ასე დავრჩით ობლად დაწყებულ საქმესთან. არ იყო მეტრი, ვისი რჩევების, სწავლების, დაკვალიანების, გამოცდილების, გვერდით დგომის იმედიც გვქონდა. ჩვენი ცხოვრებიდან წავიდა ადამიანი, რომელმაც თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე და ყოველდღიურობა შეარყია. მაგრამ ერთი კი იმთავითვე ვიცოდი: საქმეს, რომელსაც ბატონი მიშას სახელი უკავშირდებოდა, ვერ ვუღალატებდი.**

- და მაშინ, როცა უნდა დაიბადოს ახალი სტუდია (და დაიბადა კიდეც) ნოვატორი რეჟისორის თანხმობითა და მერე უკვე მის გარეშე, თქვენ ამ დროს მარტო ხართ, თუ არის ვინმე თქვენს გვერდით?

**- არავინ და, სიმართლე გითხრათ, ერთი-ორი ჩემი კოლეგის გარდა, არც არავის სჯეროდა, რომ ეს სასიკეთო წამოწყება გაგრძელდებოდა და დაიქოქებოდა.**

**ვიქირავე შენობა ქუჩის გადაღმა, სადაც იყო 300-კაციანი დარბაზი სცენით. ავამუშავე 12 სასწავლო სტუდია (მათ შორის, სამსახიობო, მუსიკალური, ჟურნალისტიკის, რადიოს, ქორეოგრაფიის). პედაგოგებად მოვიწვიე მაღალი რანგის პროფესიონალები. იმ პირველ ნაკადში 180 სტუდიელი გვყავდა.**

**აქედან იწყება ჩვენი ომიც, წანწალიც და, ამასთან, აბსოლუტური უყურადღებობა, გულგრილობა სახელმწიფოს მხრიდან. ხშირად გამოვდიოდი ტელევიზიით, ვატარებდი აქციებს, მაგრამ ვერავის ვაგებინებდი, რომ ეს ბავშვები მარტო ჩემი შვილები არ იყვნენ, რომ მათზე ზრუნვა და ფიქრი ამ ქვეყნის უპირველესი ვალი და გადასახადი იყო. დამოკიდებული ვიყავი რაღაც გამოგონილ "X" პროექტებზე, ვეძებდი დონორ-ორგანიზაციებს...**

**ამ წლების განმავლობაში შევიცვალეთ 7 შენობა. სადაც მივდიოდით, უპირველესად, იმაზე ვზრუნავდი, რომ ბავშვებს სარეპეტიციო ელემენტარული პირობები მაინც ჰქონოდათ. ყველგან ჩემი ხელი ერია, იქნებოდა ეს შესაკეთებელი თუ სარემონტო სამუშაოები. მერე იცვლებოდა ამა თუ იმ შენობის, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომელსაც სტუდია თვალში არ მოსდიოდა და ასე ვიყავით განწირული მუდმივი ხეტიალისათვის... ერთ დღეს მხვდება ქუჩაში მუსკომედიის მაშინდელი დირექტორი. ეს ის პერიოდია, როცა მორიგი "თავშესაფრიდანაც" ვართ წამოსული და უსახლკარო სტუდია, სრული შემადგენლობით, სარეპეტიციოდ ჩემს ბინაში იკრიბება. კოლეგა ასეთ რამეს მთავაზობს: ჩვენთან, მუსკომედიის ეზოში, დგას ბლოკის კარკასი; იქნებ, ვინმე შევაწუხოთ და ის უაზროდ აჩონჩხილი შენობა სათქვენოდ გამოიყენოთ.**

**ჩვენი სტუდიის ცხოვრებაში ისევ დადგა ახალი ეტაპი, რაშიც ისევ აქტიურად ჩავები. იმ პერიოდში, ხელფასის გარდა, კინოსტუდიის თეატრში ვიღებდი კატეგორიით კუთვნილ სხვა დანამატსაც, რომელიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ერთიანად მივმართე სტუდიისაკენ. იმ ჩემი გადამისამართებული შემწეობით ვყიდულობდი ქვიშას, ცემენტს, აგურს, გამათბობელს, კაბელს, ნათურას... ცოტა ხანში შენობის სრულად გარემონტებულ III სართულზე ავამუშავე 8 სასწავლო სტუდია. დაიწყო რეპეტიციები ახალი წარმოდგენისათვის. ეს იყო ნოდარ დუმბაძის "ჰელადოსი". მაგრამ მაინც მოხდა ის, რაც მოხდა!**

- ბატონო გოგა, ყურადღებით გისმენთ და არ შემიძლია, ჩემი აღფრთოვანება არ გამოვხატო! თურმე, ზოგჯერ სცენის, ეკრანის მიღმაც უნდა გაინტერესებდეს მრავალთა შორის გამორჩეული ის "შენი" მსახიობი თუ ხელოვანი. მაგრამ ცხოვრება ხომ გაცილებით მაცდური ასპარეზია და აქ თქვენნაირები როლებს ვერ ირგებენ...

**- ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ერთ დღეს, ჭიშკართან საგანგებოდ ჩაყენებულმა დაცვამ ჩემი ბავშვები თეატრის ეზოში არ შეუშვა! არ მიშვებდნენ იქ, სადაც გავიზარდე (მამაჩემი მთელი ცხოვრება მუსკომედიის მსახიობი იყო); სადაც ვისწავლე სცენა და სცენის მტვერიც შევიგრძენი; სადაც პირველად გავიგონე სიტყვები - "კოსტიუმი", "ნიღაბი", "გრიმი", "დეკორაცია", "ორკესტრი", "კულისი"... ის კაცი არ ვიყავი, ჩემით გარემონტებული კედლებიდან ონკანი, დასაბანი ნიჟარა და უნიტაზი მომეხსნა.**


„ჰელადოსი“

- სამწუხაროდ, ამ რამდენიმე წლის წინათ მართლაც არავინ იყო დაცული მსგავსი პრეცედენტებისაგან. ჩვენი ჟურნალიც დაიხურა და მაშინ აფხაზეთის სტრუქტურების ერთ-ერთმა ჩინოსანმა პირდაპირი ტექსტით მომახალა: ბრძანეთ, რა იდეური დატვირთვისაა თქვენი "იალქანი" და ყველანაირად გვერდით დაგიდგებითო! ჟურნალი დაიხურა, ის ხელისუფალი კი უფრო დააწინაურეს. ნუთუ, ბოდიში არც მერე არავინ მოგიხადათ?


მერე ვნახოთ, რა იქნება

**- მე რა შუაში ვიყავი! ბოდიში ამ ბავშვებისათვის კი მართლა უნდა მოეხადათ, რომ აყარეს და ქუჩაში დატოვეს!**

- ამასობაში, ანუ, როგორც თქვენ ბრძანებთ, ომსა და ხეტიალში გაიარა 20-მა წელიწადმა. საყმაწვილო ცენტრი ისევ უბინაოა, სცენისა და საკუთარი ჭერის გარეშე. მაგრამ "არტ პოლი" მაინც აგრძელებს აქტიურ შემოქმედებით პროცესს; იმიტომ, რომ ის იმთავითვე თავისი სათქმელით მოვიდა, ინდივიდუალობით, რომლის გარეშე ახალს ვერაფერს შექმნი. დღეს რაიმე სასიკეთო პერსპექტივა თუ იკვეთება თქვენთან დაკავშირებით?

**- რთულია, დღევანდელ სიტუაციაში ჩვენისთანა არასაბიუჯეტო ორგანიზაცია სახელმწიფომ გახადოს სუბსიდირებული, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე ეხება ბავშვებს. ისე, როცა სახელმწიფო ნაბიჯებს დგამს შენსკენ (რისი ნიშნებიც ბოლო დროს გამოიკვეთა), პასუხისმგებელი უნდა იყო, აჩვენო შედეგიც - მაღალი რანგის პროდუქტი, დაამტკიცო, რომ ეს 20 წელი ღირდა დღემდე მოსვლად.**

- ინტერვიუს დასაწყისში საუბრობდით ექსპერიმენტზე, რომელიც საიმედო ნოვაციადაც გესახებათ. თქვენისთანა საინტერესო შემოქმედისათვის ძიება საშუალებაა, საკუთარ თავში აღმოჩენილი სხვებისთვისაც იყოს სიახლე. მაინც რას გულისხმობს თქვენეული ექსპერიმენტი?

**- ბავშვს რომ წიგნი არ უვარდება ხელში, დამთავრებული, წერტილდასმული ამბავია. ეს დღევანდელობის სენია. ინსცენირების თანაავტორები ჩემთან ერთად ხშირად ისინიც არიან, ბავშვები. სპექტაკლზე მუშაობის დროს წიგნები უჭირავთ ხელში და საჭირო ფრაზებსა და ფრაგმენტებს "მაშველებენ"-ხოლმე. ვიგონებ ათასნაირ ხრიკს, რომ ბავშვები როგორმე წიგნებთან მივიყვანო, გადაშალონ არა ინტერნეტ-გვერდები, არამედ წიგნის ფურცლები.**

- რაც შეეხება ინტერნეტს, ამერიკელი მკვლევარები წინასწარმეტყველებდნენ, რომ სოციალური მედია წალეკავდა ყველაფერს. ახლა კი ასე პესიმისტურად არ არიან განწყობილნი - თვით რადიოსაც კი ვერ წაართვაო ინტერნეტმა თავისი ნიშა...

**- დიახ და ამ ცენტრმაც იმიტომ უნდა იარსებოს, რომ ეს ინტერნეტდამოკიდებულება, კომპიუტერი, საოცარი შესაძლებლობების ეს "ოხერი მანქანა", ისევ ბავშვების სასარგებლოდ წარვმართოთ.**

- ბატონო გოგა, 20 წელია, ნოდარ დუმბაძის "ჰელადოსის" მიხედვით დადგმული სპექტაკლი "გამარჯობა სოხუმო!" სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის "თეთრი ტალღის", რეპერტუარშია. აფხაზეთის დაცემის შემდეგ ამ ნაწარმოების კოლორიტულ პერსონაჟებთან შეხვედრა სოხუმელობის გამოც მინდა; მარტო იმ ჩვენს ქალაქში დატოვებული წარსულის კი არა, მომავლის გამოც, სადაც, ჩაკეტილი საზღვრების მიუხედავად, მივიკვლევ გზას და რისთვისაც "ჰელადოსი" დასადგმელად, ალბათ, თქვენც აირჩიეთ.

**- თუ არ ჩავთვლით მანამდე დადგმულ პატარ-პატარა წარმოდგენებს, თავიდან ბოლომდე, საფუძვლიანად შეფუთული ჩვენი პირველი ნამუშევარი იყო სწორედ "ჰელადოსი", რომლითაც შემოვიარეთ ნახევარი საქართველო. სხვათა შორის, ეს სპექტაკლი არ დამიმონტაჟებია და ეს გავაკეთე იმ პრინციპით, რომ თითოეული ახალმოსული სტუდიელი ჩანაცვლებოდა ძველს, ანუ "ჰელადოსი" დიდხანს დარჩენილიყო სცენაზე. 1,5 წელიწადი ის ჩვენი, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარშიც იყო. ძალიან მინდოდა, ამ ბავშვებს სწორი ღირებულებებით ეცხოვრათ სცენაზე, ქართველი ჯემალისა და ბერძენი იანგულის თავგადასავალი განეცადათ და ეგრძნოთ, როგორია ტკივილი, როცა სამუდამოდ შორდები, კარგავ მეგობარს.**

**მთელი ჩემი ახალგაზრდობა, საუკეთესო წლები დაკავშირებულია სოხუმთან, ქალაქთან, სადაც ჩემი დიდი სიყვარული დარჩა. ჩვენმა თაობამ დიდზე დიდი ტვირთი ზიდა, გაწყდა საუკეთესო გენოფონდი. ისეთი უნიჭიერესი ადამიანები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ხანდახან მდარე ხარისხის რაიმე პროდუქტი არც უნდა გვიკვირდეს.**

- უსოხუმოდ უკვე ძალიან დიდი დროა გასული და სულ უფრო სკეპტიკურად ელის კითხვა - "დავბრუნდებით?" უბრალოდ, ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ არ დაბრუნდები იქ, სადაც, ერთი ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, "შენი სახლია, შენი დასაწყისია, სადაც შენი სამშობლოა". პირობა მაინც მივცეთ ერთმანეთს, რომ თუ "იალქანი" სოხუმში ჩავა, აღდგენილი "ჰელადოსით" ჩვენთან ერთად თქვენც დაბრუნდებით იქ.

**- ახლა რასაც გიამბობთ, მინდა იყოს, ასე ვთქვათ "*Не для прессы*". ჯერ კიდევ მუსკომედიის შენობაში ვიყავით და ვმუშაობდით "ჰელადოსზე". მაშინ ვთქვი ასეთი რამ: დავისვამ კისერზე ჩემს შვილს - ანას (ის ამ დროს ძალიან პატარა იყო) და ჩემს ბავშვებთან ერთად გადავალ ენგურზე. პოდა, ხიდის გადაღმა "მაგარმა ბიჭებმა" მესროლონ, მესროლონ უიარაღოსა და ბავშვებიანს. თუ მაინც დაგვიმიზნებენ, ის პირველი ტყვია მე და ჩემს შვილს მოგვხვდება-თქო.**

**არ ვიცი, რა გზითა და მექანიზმით, მაგრამ ამ სიტყვებმა, თურმე, ჩააღწია აფხაზეთამდე. იქიდან ჩამოვიდა ორი ადამიანი, მოვიდა ჩემთან, ჩემს კაბინეტში ოფიციალური შემოთავაზებით: სოხუმს ვერ**


მერე ვნახოთ, რა იქნება

**გპირდებით, მაგრამ ოჩამჩირეში ჩამოგიყვანთ. მერე უკვე, ღამის, კვირაში ერთხელ ვმასპინძლობდი მაღალი რანგის პერსონას. ასე გრძელდებოდა დისკუსია საერთო სპექტაკლისა და კონცერტის ორგანიზების თაობაზე, იმ ცალკეულ ნიუანსებზეც, შესაძლო საფრთხეებს თავიდან რომ აგვაცილებდა.**

- ბატონო გოგა, ვერაფრით მოგცემთ იმის პირობას, რომ, რასაც ახლა ვისმენ, არ ვიტყვი და დიდი სიამოვნებითაც არ გავახმოვანებ ამას.

**- აგორდა ეს თემა და აფხაზურ მხარესთან ამ შეხვედრებმა ძალზე სერიოზული სახე მიიღო. საუბარი იყო იმაზეც, რომ "თანამგზავრის" - საშუალებით მოხდებოდა საერთაშორისო ჩართვა და მსოფლიოს წამყვანი ტელეარხებით ეს ფაქტი გაშუქდებოდა. დაეკითხეთ რომა რცხილაძეს, ჩვენს ცნობილ მუსიკოსს (რომელიც აქტიურად იყო ამ პროცესში ჩართული) და ისიც იგივეს გიამბობთ. მისი ყოფილი მეგობრები, აფხაზი ორკესტრანტებიც (რომა სოხუმში ერთ-ერთი მუსიკალური ჯგუფის წევრი იყო) მზად იყვნენ, მიეღოთ მონაწილეობა ამ საერთო ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში.**

- როგორც ვხვდები, ამ წამოწყებამ თუ ინიციატივამ ბოლოს მაინც სხვა განვითარება მიიღო, რაც აისახა შედეგზეც, მაინც რა მოხდა მერე?

**- მითხრეს, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებაო.**

- ალბათ, ეს მესიჯი ენგურის გაღმიდან წამოვიდა?

**- არა, აქედან. თითიც კი დამიქნიეს. არადა, მზად ვიყავი ყველაფრისთვის, ნებისმიერი გამოწვევისთვის.**

- თანდათან ვრწმუნდები, რომ თქვენი პიროვნული ხიბლი განსაკუთრებულობაშია, არასოდეს შეეგუოთ უკან დახევას, მარცხს და საკუთარი ცხოვრების წესით მაგალითის მიმცემი იყოთ სხვებისთვის, იმ თქვენი ბავშვებისათვის. მახსენდება, დიდმა ვერიკო ანჯაფარიძემ ერთხელ რადიო-ინტერვიუში რაც თქვა, სცენაზე თამამად არასოდეს დამიდგამს ფეხი, მისი მეშინოდაო. თქვენთვის რა ჰქვია ამ შიშს?

**- ეს ჩემთვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა იმის წინაშე, ვინც ბილეთი იყიდა და ჩემს სანახავად დარბაზში ფეხი შემოდგა. ისე, მეც ყოველი სპექტაკლის წინ კულისებში ვკვდები და არ ვიცი, როგორ გავიდე სცენაზე.**

- ეს განცდა მაშინაც გეუფლებათ, როცა დარბაზიდან ან კულისებიდან თქვენივე წარმოდგენას უყურებთ, როგორც რეჟისორი?

**- მე არ ვარ რეჟისორი! ამ პროფესიასთან არანაირი საერთო არ მაქვს. მე ბავშვებს გადავცემ მხოლოდ ჩემს დაგროვილ გამოცდილებას. აქ არაფერს ვიგონებთ და ამიტომაც ეს არ არის რეჟისურა. ნებისმიერი მიზანსცენაც კი ძალიან ბუნებრივია, ისეთი, როგორსაც ირგებს ბავშვი.**

- კი, ბატონო, ნუ დავარქმევთ ამას რეჟისურას, მაგრამ სპექტაკლი ხომ ცოცხალი პროცესია, რომელსაც მსახიობები (ამ შემთხვევაში, ბავშვები) პერსონაჟებთან ერთად მარტო არ გადიან. როგორც არ უნდა უარყოთ, სცენური ნაწარმოები მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედებითი სინთეზია, ეს დინამიკაა ლოგიკური დასასრულისკენ, როდესაც...

**- როდესაც შედეგს ერთად ვდებთ. და მაინც: ურთიერთობაა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული. ფაქტობრივად, საუბარს ვამთავრებთ იმით, რითაც დავიწყეთ. მე თეატრი არ შემიქმნია, ეს ჩემთვის, უპირველესად, ურთიერთობებია: მოზარდებმა ჯერ ერთმანეთი უნდა დაინახონ და მერე ის საქმე, რაც მათ აერთიანებთ. მათ უნდა გააცნობიერონ, რისთვის მოვიდნენ ამ სტუდიაში. აი, მაშინ აღმოაჩენენ, რომ რამაზ ჩხიკვაძე არის ვეებერთელა ავტორიტეტი ქართულ თეატრში; არ იკითხავენ, ვინ არის სოფიკო ჭიაურელი და ეცოდინებათ, რომ ზურა ყიფშიძე მარტო ჩემი ძმაკაცი კი არა, ცოცხალი მოვლენაა. კი, ბატონო, აქ, ჩვენთან განსაკუთრებულად შეპყრობილ ადამიანთა ადგილია.**

P.S. სადღაც ამოვიკითხე, სპექტაკლი ერთი საღამოს მოვლენააო. საუბარი დასრულდა და. ასე მგონია, ახლანდელი ჩემი განწყობა ძალიან ჰგავს ფსიქოლოგიური სპექტაკლის ნახვის მერე განცდილს. დიდი მადლობა, ბატონო გოგა, რომ, თქვენი მოუცლელობის მიუხედავად, შედგა ჩვენი დიალოგი, რომელსაც დავარქმევდი, «ერთი დღის მოვლენას».



2016 წლის ზაფხული. კვარიათი. არამარტო დასასვენებლად...



მარჯორი უორდროპი

მარჯორი უორდროპი – ინგლისელი ქალბატონი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი, რომელმაც თარგმნა და ევროპას გააცნო ილიას – „განდეგილი“, სულხან-საბას – „სიბრძნე სიცრუისა“, ქართული ხალხური ზღაპრები, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

თედო სახოკია იგონებს, რომ 1896 წლის ზაფხულში მარჯორი უორდროპი მეორედ ჩამობრძანდა საქართველოში და საგურამოში ესტუმრა ილიას, მისი დაბადების დღეს.

საპატიო ქალბატონს განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს.

იქ შეკრებილი საზოგადოების წრეში ქალბატონმა უორდროპმა, რა თქმა უნდა, ქართულად დაიწყო საუბარი.

მალევე მანდილოსნების სახეებზე გაოცება ამოიკითხა და ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია. იფიქრა, როგორც საჭიროა, ისე ვერ გამოვთქვამ ქართულ სიტყვებსო.

არადა, გაუგებრობის მიზეზი სხვა რამე ყოფილა.

როცა მარჯორი უორდროპმა გადაწყვიტა უცხოელთათვის ძნელად აღსაქმელ ენად მიჩნეული ქართულის სწავლა საქართველოდან შორს, მშობლიურ ლონდონში, პირველად ის გაეცნო არა თანამედროვე, ყველასათვის გასაგებ ქართულს, არამედ ძველ, სახარებისეულ ენას.

გაოცებულმა მანდილოსნებმა ინგლისელი სტუმრის სწორედ „ასეთ ქართულს“ ვერ გაუგეს ვერაფერი.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როცა უკვე ენაც არ ემორჩილებოდა, მარჯორი უორდროპმა ჰაერში თურმე ხელით მოხატა სიტყვა – „საქართველო“ და სულიც განუტევა.

## ე ი თ ხ ე ც

ნიკოლოზ ცხვედაძე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარის – ილია ჭავჭავაძის მოადგილე. ილიასა და იაკობ გოგებაშვილთან ერთად მისი მონაწილეობის გარეშე არც ერთი საზოგადო თუ ეროვნული საქმე არ კეთდებოდა.

თბილისში, ახლანდელი ვაკის მთელი შემოგარენი თავადების – გაბაშვილების საკუთრება ყოფილა; იმ ადგილს კი, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაა, ფარავდა მოშიშვლებული მინდორი, პურისა და სიმინდის ნათესებით. არც ირგვლივ იდგა არცერთი სახლი.

1885 წელს ნიკოლზ ცხვედაძე ქალაქის მასწავლებელთა წინაშე ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის აგების ინიციატივით გამოვიდა:

– ბატონებო, უნდა აშენდეს ქართული გიმნაზია. ოცნებას კაცი არ მოუკლავს და, ვინ იცის, მომავალში, იქნებ, ეს შენობა ცოდნის უფრო მნიშვნელოვან ტაძრად – ეროვნულ უნივერსიტეტადაც იქცეს. ვიდრე გიმნაზია ჯერ არ აუშენებიათ და ვიდრე აქ მიწები ჯერ არ გაძვირებულა, გირჩევთ, გახდეთ ღირსეული მესაკუთრენი და თბილისის ჭეშმარიტი მოქალაქენი, შეიძინოთ ამ უბანში სამოსახლო ნაკვეთები და სახლებიც ააგოთ.

ნიკოლოზ ცხვედაძის რჩევა ბევრმა ყურად იღო და მალე მასწავლებლებს სხვებმაც მიბაძეს. ვაკე ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ უბნად იქცა.

და რაც მთავარია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, სწორედ ბატონ ნიკოლოზ ცხვედაძის ინიციატივითა და მონდომებით აგებული, ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიაა.



ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია (დღევანდელი თსუ). XX ს.-ის დასაწყისი

გაკვეთილი, რომელიც თბილისის 55-ე საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგმა - ქალბატონმა მედეა კუპრეიშვილმა II სემესტრის დაწყებისთანავე IX კლასში უნდა ჩაატაროს, არამარტო საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის, ჟურნალის ერთ-ერთ შთამბეჭდავ პუბლიკაციადაც მივიჩნიეთ. კლასგარეშე თემად დამუშავებული პროექტი შემეცნებითის გარდა სულიერი ღირებულებისაა.


მედეა კუპრეიშვილი

ქალბატონი მედეა სოხუმელია და ჩინებულად იცის მშობლიური კუთხესთან დროითა და მანძილით გაწყვეტილი საკრალური სათქმელის ფასი. მოზარდებით სავსე აუდიტორია მისთვის უაფხაზეთოდ დარჩენილი სივრცეა, რომელიც, ამ შემთხვევაში, ერთობ პიკანტური შთაბეჭდილებებითაა გაჯერებული.

იცის კი ამ აღსაზრდელებიდან რომელიმემ, რომ «დურჯ მთებსა» და ნისლში ჩაფლული «თეთრი სანატორია», ასე რომ ენატრება გალაკტიონს, საუკუნისწინანდელი, სოხუმში აგებული სმეცკოის სასახლეა?!.

დღეს თითქმის დავიწყებისათვის გამეტებული ისტორია მოგვაგონა ბუნებით შემოქმედმა პედაგოგმა, რომლის მოკლე დახასიათება სასკოლო საიტზე ასე იკითხება: «როცა მასწავლებელი პროფესიონალია».

# მოსკოველი მეცენატის სოხუმური საგა

(ნიკოლოზ სმეცკოის გარდაცვალებიდან 85 წლის შემდეგ)

## თითქმის ლეგენდა

მედეა კუპრეიშვილი

ლეგენდა შელამაზებული ამბავია ვისიმე ცხოვრების შესახებ. ჩვენც აქედან უნდა დავიწყოთ თხრობა, იმ არაორდინალური ადამიანების საინტერესო ეპიზოდებით, უჩვეულო საგა რომ უკავშირდება.

XIX ს.-ის ბოლოა. ჭლექი განუკურნებელ დაავადებად ითვლება. მსხვილი ფაბრიკანტისა და ცნობილი მეცენატის, კეთილშობილი მოსკოველი თავადის - ნიკოლოზ სმეცკოის უსაყვარლესი მეგობარი და მეუღლე ტუბერკულოზითაა ავად. თუმცა ხვედრსა და სინამდვილეს თავადი არ ურიგდება.

იმხანად ერთ-ერთი ექიმისგან უცნაურ რჩევასაც მოისმენს: „გნებავთ თქვენი მეუღლის გამოჯანმრთელება? შეგიძლიათ, ყველაფერი იღონოთ იმისათვის, რომ ავადმყოფი აისებს შეეგებოს ისეთ ჯადოსნურ ქვეყანაში, სადაც ჰაერიც უჩვეულოდ სუფთაა და მზეც უჩვეულოდ თბილია“.

თავადი მზადაა, რაინდულად მიიღოს ეს გამოწვევაც.

მეუღლესთან ერთად ასე გაუდგება გზას სამხრეთისაკენ. ხომალდზე გაიცნობს სტუდენტს, თავბრუდამხვევად რომ ჰყვება შავიზღვისპირეთის რივიერად მიჩნეულ ერთ-ერთ ქალაქზე, ამ კუთხის სილამაზეზე, კლიმატურ შესაძლებლობებზე. ეს ქალაქი აღმოჩნდება სოხუმი. იქ ჩასული თავადი ჩქარობს, რაც შეიძლება, მალე დაასრულოს 365 ოთახიანი, იმ დროს ქალაქში პირველი მრავალსართულიანი სასახლის აგება, საუცხოო ბაღის განაშენიანება. 365-ვე ოთახი გათვლილია, თურმე, წელიწადის დღეების რაოდენობაზე; რომ მისმა საყვარელმა მეუღლემ ყოველი მომდევნო დღე გაატაროს ახალ საძინებელში და ასე მოერიოს უკურნებელ სენს.

ნამდვილ ზღაპარს კი უსაყვარლესი ადამიანის საძინებლებიდან გაშლილი ზღვის პეიზაჟი და დაუსრულებელი ფერების პანორამა გააგრძელებს; მისტიკური სამყარო, სადაც სიკეთემ უნდა დაამარცხოს ბოროტება; ასე უყვარს თავად სმეცკოის, ასე იმარჯვებს ის სიკვდილზე.

## გვარიშვილობა

უდიდესი რუსი მეცენატი და საზოგადო მოღვაწე - ნიკოლოზ სმეცკოი დაიბადა1952 წელს მოსკოვში, მდიდარი აზნაურის ოჯახში. მამა, ნიკოლოზ პავლეს ძე დიდი ხნის მანძილზე იყო გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და მიწათმოწყობის ინსტიტუტის დირექტორი. დედა - ოლგა გრიბანოვა კი პირველი გილდიის უმდიდრესი ვაჭრის ქალიშვილი, რომლის ოჯახიც ფლობდა ვოლოგდის საქსოვ ქარხანას.

მოსკოვის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ სმეცკოიმ ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე და მიაღწია კანდიდატის წოდებას. თუმცა მუშაობა განაგრძო არა თავისი პროფესიით, არამედ ხელი მიჰყო ხე-ტყის გადამუშავებასა და ვაჭრობას.

1882 წელს ნიკოლოზ სმეცკოიმ ცოლად შეირთო ოლგა იურის ასული ფილიმონოვა, ცნობილი არქეოლოგისა და მუზეუმის ზედამხედველის - იური ფილიმონოვის ერთადერთი ქალიშვილი. ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებულმა ამ ქალბატონმა, სოფელ მოშკინოში (კოსტრომის გუბერნია) გახსნა საერო სასწავლებელი, ასევე, სახალხო ბიბლიოთეკა. სამწუხაროდ, 1889 წელს ოლგა ჭლექით დაავადდა.

## შავიზღვისპირეთის რივიერა

ექიმების რჩევით, აუცილებელი იყო კლიმატური გარემოს შეცვლა. წყვილმა მიიღო გადაწყვეტილება, გამგზავრებულიყო შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთში.

ამასთან, იყო სხვადასხვა გარემოებაც, რამაც, სავარაუდოდ, მათ ეს ნაბიჯი გადაადგმევინა:

1889 წელს მოსკოვში ჩატარებულმა ექიმთა საერთაშორისო კონგრესმა სოხუმი საუკეთესო საკურორტო ქალაქად აღიარა (განსაკუთრებით, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის).

იმთავითვე გახმაურდა გერმანელი მეცნიერისა და გამოჩენილი ექიმის, რუდოლფ


ნიკოლოზ სმეცკოი


სმეცკოის აგარაკი

ვირხოვის განცხადებაც (ის ნამყოფი იყო სოხუმში). მეცნიერი ურჩევდა ფილტვებით დაავადებულ პაციენტებს, გამგზავრებულიყვნენ და ემკურნალათ არამარტო სახელგანთქმულ ნიცაში, არამედ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ აფხაზეთშიც.

ამავე აზრს იზიარებდნენ იმ დროის ცნობილი ექიმებიც: ალექსი ოსტროუმოვი, სერგეი ბოტკინი, თეოდორ პასტერნაცკი, ნიკოლოზ გუნდობინი, პოლიენ მეზერნიცკი...

## დენდროპარკი - ევროპაში საუკეთესო

თურქი დამპყრობლების მუდმივი შემოსევების გამო ნახევრად დანგრეული სოხუმი სავალალოდ გამოიყურებოდა. ჭაობიანი ადგილების სიმრავლე კი მალარიის საფრთხედ ქცეულიყო. აფხაზეთში ჩამოსულ სტუმრებს დიდი პატივით მასპინძლობს სოხუმის ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი - აპოლონ ვედენსკი.

სმეცკოიმ ჯერ სოხუმელი ლევან მალანიასგან, მერე კი თავად ერისთავისგან შეიძინა მიწის უზარმაზარი ნაკვეთი. ვედენსკისთან ახლოს კი, სინოპში, შესყიდულ 41 ჰა მიწის ფართობზე მალევე საკუთარი აგარაკის მშენებლობა წამოიწყო*, რისთვისაც, პირველ რიგში, ამ რაიონში არსებული ჭაობების ამოშრობას მიჰყო ხელი.

ჩაიფიქრა მნიშვნელოვანი პროექტიც, რომლის განსახორციელებლად იტალიელი სპეციალისტებიც კი მოიწვია. სახელოვანი თავადი ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში. უცხოეთის უდიდეს ფირმებთან, ნაცნობ პარტნიორებთან სავაჭრო კონტაქტებით შეიძინა სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ჯიშები. ასე თანდათან ჩაეყარა საფუძველი შემდგომში სოხუმის სილამაზედ ქცეულ დენდროპარკს**. საინტერესოა, რომ მაშინ ეს დეკორატიული ბაღი ევროპის ტერიტორიაზე არსებულ პარკებს შორის უდიდესი იყო.

30 ჰა-ზე სმეცკოიმ გაახარა 850-მდე სახეობის ყვავილი და ხე, ეგზოტიკური კულტურა: 50 ჯიშის პალმა, 80 ჯიშის ევკალიპტი, 50-ზე მეტი აკაცია, 30 კამელია, კაქტუსი, ფუნდუკი, ბამბუკი, წიწვოვანები...

დენდროპარკის მთავარ მებაღედ სმეცკოიმ მოიწვია საქმის მცოდნე და გამოცდილი ფლორისტი, სოხუმელი ქართველი - დ. ცეკვავა.

## სმეცკოის სტუმრები

სმეცკოების წყვილს ხშირად სტუმრობდა ცნობილი კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი, რომლის დედა და სმეცკოის მეუღლე იყვნენ გიმნაზიის უახლოესი მეგობრები. პროკოფიევის შთაგონების წყარო იყო სმეცკოის ბაღი, სადაც მან არაერთი მუსიკალური შედევრი შექმნა. დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებდა ის სოხუმში გატარებულ წლებს. ამბობდა, რომ ამ ქალაქზე უმშვენიერესი ადგილი არ არსებობს, ეს არის ღვთაებრივი, მადლიანი მიწაო. ყურადღებას იქცევს მისი მიმოწერები უდიდეს რუს პოეტთან, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან, რომელსაც არაერთხელ უმასპინძლეს სმეცკოებმა. პოეტის სიტყვებია: „განსაკუთრებით მიყვარს აფხაზეთი, მისი მზიანი და ნათელი დღეები, ზღვისა და მთის განუმეორებელი სურნელი, რომელსაც ვერაფერს შევადარებ“.

## „თეთრი“ და „წითელი“ კორპუსების ისტორია

1900 წელს სმეცკოიმ სოფელ გულირიფშში (12 კმ-ითაა დაშორებული სოხუმიდან) შეიძინა 200 ჰა მიწის ნაკვეთი, სადაც დაიწყო ტუბერკულოზით დაავადებულთათვის სანატორიუმის აგება. მშენებლობა დასრულდა 1902 წელს.

იმავე წლის 15 მაისს ფუნქციონირება დაიწყო ზღვის დონიდან 1120 მ სიმაღლეზე აშენებულმა სანატორიუმმა „გულირიფში-1“, „თეთრი კორპუსის“ სახელით ცნობილმა (150 პაციენტისათვის).

უზარმაზარ წიწვოვან პარკში გაშლილ ამ სამსართულიან, კეთილმოწყობილ სანატორიუმში (რომელიც შედგებოდა 3 კორპუსისაგან) საქართველოს მასშტაბით პირველად დამონტაჟდა ლიფტი. ამასთან, ჩაირთო ელექტრობა, ამოქმედდა წყალგაყვანილობა, სატელეფონო კავშირი, შიდა გათბობა. თითოეულ კორპუსში გაიხსნა სასადილო, სამრეცხაო, ფოსტა. შენობის სარკმლები ისე იყო დამონტაჟებული, რომ პალატები მუდმივად სითბოს ინარჩუნებდა, რაც სასიკეთოდ მოქმედებდა პაციენტის ფსიქიკასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე.


დენდროპარკი

უპირველესი პაციენტი ბატონი სმეცკოისთვის მაინც მისი მეუღლე - ოლგა ფილემონოვა იყო. სწორმა რეაბილიტაციამ და უდიდესმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო - 1 წლის მერე ოლგა სრულიად განიკურნა.

მას შემდეგ, რაც მეუღლე გამოჯანმრთელდა, სმეცკოიმ დაისახა მიზნად, აფხაზეთის შავიზღვისპირეთი ექცია გამაჯანსაღებელ კერად. სანატორიუმის მფლობელი თითოეულ პაციენტზე გათვლილი ისედაც სიმბოლური თანხის (60 რუბლი) ნახევარსაც თვითონ იხდიდა, რომ აქ ყველას, მათ შორის, მატერიალურად შეზღუდული შესაძლებლობების ავადმყოფებსაც, ემკურნალა.

1905 წელს სმეცკოიმ იქვე, აგუძერაში დაასრულა 100-ადგილიანი ახალი სანატორიუმის*** მშენებლობაც.

1913 წელს სმეცკოიმ სოხუმში არქიტექტორად მოიწვია ცნობილი რუსი მშენებელი - ივანე კუზნეცოვი, რომლის პროექტით აიგო უკვე რიგით მესამე, თავისი მასშტაბებით გაცილებით დიდებული სანატორიუმი - „გულირიფში-2“, ცნობილი „წითელი კორპუსის“ სახელწოდებით (250 პაციენტზე).

იმ პერიოდისთვის ეს კონსტრუქცია (2 უზარმაზარი 4-სართულიანი კორპუსისგან შემდგარი) იყო პირველი დიდი შენობა სოხუმში (დაახლოებით 18.000 კვ.მ ფართობით). კორპუსები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დახურული



* - დღეს ამ ორსართულიან ქვის კორპუსში პრეზიდენტის რეზიდენციაა.
** - დენდროლოგია - ბოტანიკის ნაწილი, რომელიც ხეებსა და ბუჩქებს სწავლობს.
*** - დღეს ამ კორპუსში განთავსებულია სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი.

დერეფნებით, მიშენებული საბილიარდოთი, თითოეულ პალატას მიეწოდებოდა წყალი, გათბობა, სართულებს ემსახურებოდა ლიფტიორი. რომანტიკული ციხე-სიმაგრის მსგავსად წამომართული „წითელი სასახლის“ თითოეული ფანჯრიდან და სვეტებიანი, მდიდრული ღია ვერანდებიდან იშლებოდა ზღვის ლურჯი პეიზაჟი.

რუსეთიდან ჩამოსულმა კომისიამ „ჰიგიენის სასახლედ“ მონათლა იმ დროს ევროპის საუკეთესო სანატორიუმად მიჩნეული „გულირიფში-2“.


„თეთრი კორპუსი“

## „კვალი ნათელი“

სოხუმის არქივში ინახება სამივე სანატორიუმის მშენებლობის სრული ხარჯთაღრიცხვა. ირკვევა, რომ თავად სმეცკოის სახელმწიფოსაგან არაფერი მიუღია; რომ ამ შენობების აგებაზე გახარჯული 50 მილიონი რუბლი მთლიანად საკუთარი შემოსავლებიდანაა გადარიცხული. ამას გარდა, სმეცკოი ყოველწლიურად 40.000-მდე რუბლს იხდიდა სანატორიუმის ნორმალური ფუნქციონირებისა და პაციენტების შემწეობისათვის.

ბატონი მეცენატის თითოეული კეთილი ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო იყო შემოსავლის დამატებითი წყაროც. ამ მიზნით სმეცკოიმ „თეთრი კორპუსის“ ტერიტორიაზე გაშალა უზარმაზარი ბოსტანი და ხეხილის ბაღი, აამუშავა სამშენებლო მასალების ფაბრიკა, მცირე სიმძლავრის ჰესი, სახერხი და საზეინკლო სახელოსნოები, მეცხოველეობის ფერმა, ღვინის ორი ქარხანა, რომელიც საექსპორტოდ აწარმოებდა 16 სახეობის ღვინოს, წისქვილი, მაღაზია და ვიწრო სარკინიგზო გზა. თითოეული ამ ობიექტიდან შემოსული თანხით ფარავდა პაციენტთა მკურნალობისა და მომსახურების ხარჯებს.

რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, ეს არ არის ყველა იმ საქველმოქმედო საქმის სრული ჩამონათვალი, რაც სმეცკოიმ გააკეთა აფხაზეთის კურორტოლოგიის, ეკონომიკის, ბოტანიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

1908 წელს მან სოხუმში ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მოგვიანებით კი - სამრევლო სკოლა. აფხაზეთის ტერიტორიაზე დენდროპარკის გარდა გაშალა 4 პარკი. სმეცკოიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის სამშობიაროს, სადღეღამისო თავშესაფრის, პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ალექსი ოსტროუმოვთან ერთად), სინოპის ბულვარის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში. მთლიანად დააფინანსა 2 დიდი „მწვანე პროსპექტის“ - პალმებსა და მაგნოლიებს შორის მოქცეული სმირნოვისა და ემილიანოვის ქუჩების დაგება.

აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით ისიც შევიტყვეთ, რომ ციტრუსის წარმოებაც აფხაზეთში ამ პიროვნებას უკავშირდება. ზუსტად 100 წლის წინათ, 1916 წელს ბატონმა სმეცკოიმ პირველად გააგზავნა მოსკოვში მანდარინით სავსე 2 ვაგონი.

## სევდიანი ბოლოთქმით

I მსოფლიო ომის წლებში და შემდგომ, როცა ქვეყანაში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო, სმეცკოიმ მიიღო არანაკლებ დასაფასებელი გადაწყვეტილება: „თეთრი კორპუსი“ საჩუქრად გადაეცა რუსეთის განათლების სამინისტროსთვის, რომლის დაქვემდებარებაში ტოვებდა სამრევლო სკოლასაც და დენდროპარკსაც.

რუსეთის შესაბამისმა უწყებამ გვიან მიიღო ეს წინადადება, მოუსწრო 1917 წლის რევოლუციამ და დაწყებული პროცესიც შეჩერდა.

რევოლუციის მერე, რა თქმა უნდა, მოხდა სმეცკოის საკუთრებაში არსებული სანატორიუმების ნაციონალიზაცია. ბედის ირონიით, ერთ დროს უმდიდრესსა და უკეთილშობილეს მეცენატს მისივე აგარაკის* მხოლოდ I სართულზე მისცეს ცხოვრების უფლება; დაენიშნა პენსია 50 რუბლის (!) ოდენობით.

1921 წელს, სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადიოდა ხმები, რომ სმეცკოიმ მთელი თავისი ავლა-დიდება (ოქრო-ვერცხლი) რევკომის თავმჯდომარეს - ნესტორ ლაკობას ჩააბარაო.

გარდაიცვალა 1931 წელს, სისხლის ჩაქცევით. დაასაფლავეს დენდროპარკის განაპირას, უზარმაზარი ხის ძირში.

ძველი სოხუმელები იმასაც ჰყვებიან, რომ უმძიმეს შემდგომ წლებში პლაჟზე ხშირად ხედავდნენ არისტოკრატული იერის მქონე, გახუნებული ჩალისა თუ ჭილოფისქუდიან, თეთრხელთათმნიან ქალბატონს, რომელსაც ეცვა გემოვნებიანი, მაგრამ სიძველისაგან ფერდაკარგული კაბა. ეს სიმპათიური მანდილოსანი ლამაზი სინით დამსვენებლებს სთავაზობდა თავისი ხელით გამომცხვარ ღვეზელებს. ამ გროშებითა და „ბიზნესით“ გაჰქონდა თავი თურმე ნიკოლოზ სმეცკოის ქვრივს - ოლგა ფილიმონოვას.

იგი გარდაიცვალა 1940 წელს. დაასაფლავეს მეუღლის გვერდით.

სიმწვანეში ჩაფლული სმეცკოის სასახლე თვალწარმტაც შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. ნებისმიერმა სოხუმელმა იცოდა, რომ ეს სილამაზე მოგვითხრობდა იდუმალებით მოცულ ამბავზე, თავდავიწყებით შეყვარებულ ვინმე სმეცკოიზე.

ვიტოვებთ იმედს, რომ ამ წყვილის ისტორიას დრო უფრო გადააფასებს და მათ ნასახლარ კარ-მიდამოს, შესაძლოა, „სიყვარულის სასახლეც“ დაერქვას. თაობიდან თაობას ლეგენდად გადაცემული ეს ისტორია ამიტომაც ავირჩიე ჩემი გაკვეთილის თემად და ზნეობრივი ფასეულობის მაგალითად*.


„წითელი კორპუსი“

* - სამწუხაროდ, საომარი მოქმედებების დროს დაზიანებული „თეთრი“ და „წითელი“ კორპუსები დღეს ძალზე სავალალოდ გამოიყურება (რედ.).


კესო შედანია

ახალი "დაფიონელის" - კესო შედანიას მინიატურები "იალქნის" ერთ-ერთი საინტერესო გვერდია. ის სითამამე, რითაც კესო სიტყვას შესჭიდებია, გვაფიქრებინებს, რომ ახალბედა ავტორის სტრიქონები, გაჯერებული ინდივიდუალიზმით, წარმატებული გზის დასაწყისია. ფრაზიდან ფრაზაში ავტორი ისეთი ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ძერწავს სათქმელს, ამასთან, ნიჭიერი, ლაღი, ზეტმეტად გულახდილი, არაორდინალური გოგონას ისეთ შეულამაზებელ პორტრეტს ქმნის, რომ გიკვირს: ნუთუ ეს სტრიქონები ჯერ ისევ სკოლის მერხთან იწერება?

ჩვენს თხოვნაზე, ორიოდე სიტყვით მოეთხრო თავის შესახებ, აი, რა მოგვწერა კესო შედანიამ:

"მე კესო მქვია. ორი სიტყვით რომ მთხოვონ ჩემი თავის აღწერა, ალბათ, იმას ვიტყვი, რომ მწვანეთვალება და ყველაზე გაწეწილი გოგო ვარ. პატარა ქალაქში, ზუგდიდში ვცხოვრობ და ჯერაც სკოლის მოსწავლე ვარ.

რაც თავი მახსოვს, სულ ვწერ. მუდმივად თავში მიტრიალებს იდეები, რომელთა დალაგებას ხან ვახერხებ, ხანაც - ვერა. დალაგებული იდეებისგან კი მერე მოთხრობები ან ჩანახატები გამომდის.

უამრავი ინტერესის სფერო მაქვს, მათ შორის, ლიტერატურა, კინემატოგრაფია, ფილოსოფია, ასტროლოგია, მითოლოგია და კვანტური ფიზიკაც კი. მომავალ პროფესიაზე როცა ვფიქრობ, ჩემს თავს ყველაზე მეტად თეატრთან ვაკავშირებ.

მაქვს სურვილი, შევიტანო წვლილი ქართული თეატრის განვითარებაში და ჩემი ცხოვრება მუდმივად იყოს საინტერესო და სიახლეებით სავსე."

ვუსურვოთ ახალგაზრდა შემოქმედს წარმატებები, რომელიც მხოლოდ ძიებისა და დიდი შრომის ფასად მიიღწევა.

## “Homeland”*, მამიკო და დილის განწყობა

კესო შედანია



მახსოვს, ბოლოს როდის ვიტირე და რატომ. დილით, "Homeland"-ს ვუყურებდი და მაშინ.პოტენციური ტერორისტი ბომბს არ აფეთქებს მხოლოდ იმიტომ, რომ შვილს პირობას აძლევს, საღამოს სახლში დაბრუნების პირობას. მე კი გამახსენდა, რა ცუდია, როცა მამა გპირდება, რომ სახლში მოვა და მერე - უბრალოდ ვერ მოდის.

თუკი ცხოვრებაში ყველაზე უარესი პერიოდის გახსენებას მთხოვენ, ის წელიწად-ნახევარი გამახსენდება, როცა მამა სახლში არ იყო. ვერც კი ველაპარაკებოდი, რადგან, როცა რეკავდა, ყველაფერი მავიწყდებოდა, რის თქმასაც დღეების მანძილზე ვგეგმავდი. თვეში ერთხელ, როცა ვხედავდი და ჩვენს შორის მინები იყო - იგივე მემართებოდა. რომელი ჩემი ცინგლიანი პრობლემა შეიძლება ყოფილიყო მნიშვნელოვანი თავისუფლებაშეზღუდული ადამიანისთვის? გეტყვით - აბსოლუტურად ყველა.

რა ბედნიერი ვარ, რომ ეგ პერიოდი დამთავრდა.

ყოველ დილას მის საძინებელში შევდივარ, ვაღვიძებ და ვეკითხები: - მაა, ყავა დავლიოთ? მიხარია, რომ არასდროს ბრაზდება და მერე 2 საათითაც რომ გააგრძელოს ძილი, მაინც ახელს თვალებს და მპასუხობს:

- კი, მაა, დავლიოთ!.

მიხარია, რომ არსებობს. მიხარია, რომ შემიძლია, ყველაფრის შესახებ მოვუყვე, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება. მიხარია, რომ არასოდეს მზღუდავს არაფერში. ვგიჟდები, ისე მიხარია, რომ მსოფლიოში ყველაზე თბილი და ლურჯთვალება ბიჭი - ჩემი მამიკოა.

როცა რამეზე ბუზღუნს იწყებს, ვეუბნები, რომ ბერდება და მერე კიდევ უფრო მეტად ბუზღუნებს. რა თქმა უნდა, ვეხუმრები. მამისთვის იდეალური ასაკი აქვს.

დილას სახლიდან რომ გავიდა, მივაძახე, მალე მოდი-მეთქი. ვიცი, მაინც ვერ მოვა საღამომდე.

ჩვევის ამბავია.

* - სამშობლო (ინგ.).

## სიყვარული არა ის...

შენ ჯერაც არ იცი, რა არის სიყვარული. შენ ჯერაც არ იცი, რომ ერთ ადამიანს მეორე ლამაზი თვალებისა და კარგი ტანის გამო არ უყვარს. შენ ჯერაც ვერ წარმოიდგენ, რომ ვიღაცის საკუთარ თავზე მაღლა დაყენება და პრინციპების ფეხებზე დაკიდება შეგიძლია. შენ არ იცი, რას ნიშნავს, როცა ბედნიერებისგან თვალსაც ვერ ხუჭავ. არ იცი, რომ მისი ღიმილისათვის ყველაფერს გაიღებ მერე. რომ მერე სულერთია, რამდენად სრულყოფილსა და იდეალურს დაინახავ მას. რომ მერე სულერთია, რამდენად გაუგებარი იქნება შენთვის მისი ქმედებები. რომ მერე ყოველ წამს მასზე ფიქრიც არ იქნება მოსაბეზრებელი. რომ მერე სამყაროსგან ითიშები. რომ მერე ყველაფერი, რაც კი ოდნავ მაინც უკავშირდება მას, მნიშვნელოვანია და ყველაფერი, რაც მას არ ეხება, აზრს კარგავს. შენ ვერ წარმოიდგენ, მისი დაკარგვის შიში რა ემოციებს აღგიძრავს. ვერ წარმოიდგენ, რომ არსებობა ხდება უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე ყოფილა...

შენ არ გესმის, რომ მერე ერთ-ერთს ყელში ამოგივათ მთელი ეს ეიფორია. არ გესმის, რომ მერე გადაივლის და გული აგერევა, როცა შეხედავ. როცა გაიხსენებ, რომ ერთ დროს პულსაცია გეცვლებოდა მის დანახვაზე. მერე შეამჩნევ, რომ პროფილის მარჯვენა მეოთხედში რაღაც ამაზრზენად, მახინჯად ეკეცება ღაწვი. მერე შეამჩნევ, რომ საშინლად ამბობს რომელიმე სიტყვას. მერე შეამჩნევ, რომ იდიოტური დამოკიდებულება აქვს მეგობრებთან. მერე იმასაც შეამჩნევ, რომ საშინლად იცინის. მერე შეამჩნევ, რომ ხანდახან საშინელ ტონალობაში საუბრობს, მერე, უფრო მეტიც, შეამჩნევ, რომ სულ ასე საუბრობს. მერე შეამჩნევ, რომ საშინელი გემოვნება აქვს, რომელიც არ ეცვლება. მერე შეამჩნევ, რომ სახეზე ლაქა აქვს, რომელიც აქამდე გაურკვეველი მიზეზით ვერ შეამჩნიე. მერე ნახავ, რომ ზედმეტად ემოციურია ან ზედმეტად უემოციო. მერე შეამჩნევ, რომ საშინელი იუმორი აქვს. მერე შეამჩნევ, რომ აღარ გიყვარს. მერე იმასაც, რომ იმას ჯერ თურმე ისევ უყვარხარ და გული აგერევა. ასე მრავალჯერ. მერე შეგძულდება. ცოტა ხანიც და იმასთანაც დაიწყება იგივე. ისიც დაიწყებს შემჩნევას, რომ პროფილის მარცხენა მესამედში საშინლად გიჩანს ცხვირი...

## უსათაურო

მიყვარს შენი ჩალურჯებული ლაქა ლავიწზე. მერე რა, რომ მას სხვისი სუნთქვის ნაკვალევი ატყვია. მიყვარსს გრძელ წამწამებს შორის მოქცეული ქვიშისფერი თვალები. როცა მათ არხამახამებ, კიდევ უფრო მეტად მიყვარს.

მე შენი მძიმე უპეები მიყვარს და პატარა ლურჯი ძარღვი, ასე ხშირად რომ ეხეთქება მას. მიყვარს, როცა იბნევი და წამის განმავლობაში მილიონი მიმართულებით ისვრი მზერას.

მიყვარს შენი უსასრულო სიმაღლე. მიყვარს, რომ ვერ გწვდები და გულიანად გეცინება. მიყვარს, როცა მეუბნები, რომ უბრალოდ დაღლილი ხარ. არადა, მე ხომ ვიცი, რომ საათის წინ შენ ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარე.



მიყვარს, როცა მეკითხები, თუ შეიძლება მოწევა. იცი, რომ არ მაწუხებს, იცი, რომ სულერთია, მაგრამ მაინც მეკითხები. ხომ პარადოქსია? არადა, მე მიყვარს.

მიყვარს, როცა გეხუტები და მხოლოდ ის შემიძლია, შენს გულის ცემას მოვუსმინო დიდის ამბით.

მიყვარს, როცა ჩემს გაღიმებას ცდილობ, არ გამოგდის და მერე ისევ ცდილობ.

მიყვარს, რომ ჩუმდები და რიტმულად სუნთქავ. ხომ არაფერი, მე კი ისე მიყვარს!

მიყვარს, რომ ერთად ვკვდებით. მერე ცოტა ხანს სხვა სამყაროშიც ერთად ვართ და ვიღვიძებთ.

მიყვარს, როცა არ მეუბნები სიმართლეს. მერე მეც არ გეუბნები და ვთამაშობთ ასე დაუსრულებლად.

მიყვარს, რომ არ ვიცი, რომ ვერ ვხვდები, ეს რანაირი სიყვარულია; რომ ხანდახან უსაშველოდ ვიღლები; რომ ხანდახან შენზე ოცნება მირჩევნია; რომ ხანდახან მღლი, იმდენად ბევრი ხარ; რომ ხანდახან მირჩევნია, არ გითხრა, რა ძალიან ჩემი ხარ; უბრალოდ, რომ არ შეშინდე ამის გამო...

მინდა, გიყვარდე. სადღაც შორს, ძალიან მარტივად და შენებურად, გიყვარდე ძალიან და არ შეიმჩნიო, გენატრებოდე, მაგრამ, იცოდე, დაიღლები, ისე ძალიან გიყვარდე, რომ ვერასოდეს მიხვდე, რა გჭირს.

იებს ვთესავ შენს ნაკვალევზე. მთვარე მთხოვს, რომ ვიყო ცოტა ჩუმად. მე კი თვალებს ვხუჭავ და ვფიქრობ, რა კარგი იქნება, ახლა ჩემს გვერდით კი არა, სადმე შორს იყო და შენი სურნელის გახსენებაზე მეხვეოდეს თავბრუ.

შაბლონურობა მაპატიე...



ლიანა ბარბაქაძე

ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, როცა მშობლიური გაგრა დატოვა. მის ფაქიზ სულს დღემდე სდევს მოგონებები აფხაზეთზე.

უყვარს ლექსი და პოეზია. უყვარს და პატივს სცემს ყველას, ვინც წერს და ვინც, ზოგადად, შემოქმედი ადამიანია. თუმცა დიდი ამბიცია არ აქვს, თავადაც კალამს ეთამაშება. მომქანცველი ყოველდღიურობით დაღლილ სულის მოსათქმელად ისევ ლექსი ეგულება. პოეზია მისთვის უფალთან მისასვლელი გზაა.

სწორედ რწმენა და სიყვარული აძლევს ძალას, იყოს კარგი დედა და კარგი ადამიანი. უფლის მადლით, მყარად იდგეს ფეხზე და არასოდეს დაელიოს ნუგეში თავისთვის თუ სხვისთვის.

ლიანა ბარბაქაძის ტკივილიანი სტრიქონები ნამდვილად არ დატოვებს გულგრილს "იალქნის" მკითხველს.

## ლიანა ბარბაქაძე

* * *

ერთხელაც კიდევ გაპატიებ
ღვთის გულისათვის,
ამ ღამით წყენას დავივიწყებ,
გულში ჩავიკლავ,
ხვალიდან მოდი, ავედევნოთ
ახალ ოცნებებს
და ერთმანეთი შევიყვაროთ,
ისევ თავიდან!



* * *

ისევ ჩამოწვა ფანჯარასთან
ბინდი ჩვეული,
ისევ მომიხმო გაზაფხულის სუნთქვამ
თავისთან,
ისევ გავბედე, გამეთელა ჭადრის
ფოთლები,
და მათ ხმაურში აღმედგინა
ფერთა პალიტრა.

თავი ავხსენი მონატრებით ავსებულ
ბოხჩას,
მთელი წარსული გავიხსენე
ისევ თავიდან...
კვლავ ფრიალებენ ხომალდებზე
თეთრი აფრები,
ცისკრის მშვენებით განთიადი
ისევ ენთება.

ისევ მაღელვებს გაზაფხულის
ნაზი სურნელი,
კვირტების სკდომა, ჩიორების
ტკბილი გალობა.
ვგრძნობ, გული ილტვის
საყვარელი აფხაზეთისკენ,
სადაც ვშობილვარ, იქ მეძახის
ჩემი ბავშვობა.



# ჰაინრიხ შლიმანი

1822-1890 წ.წ.

ჰაინრიხ შლიმანი - გერმანელი თვითნასწავლი არქეოლოგი, რომელმაც სახელი გაითქვა ტროას აღმოჩენით. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი ბერძენი მწერლის - ჰომეროსის პოემებს რეალური საფუძველი ჰქონდა. კერძოდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინა ლეგენდა-რული ქალაქი ტროა, მისი მეფის, პრიამოსის განძი და ქალაქ მიკენის საგანძური. შლიმანმა დაამტკიცა, რომ საბერძნეთის ისტორია ძვ.წ.აღ.-ით 1180 წლიდან - ტროას ომიდან იწყებოდა. ამ ადამიანის უმთავრესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ისაა, რომ მან ჰომეროსის მი-თები ისტორიად აქცია.

მთელი ამ არქეოლოგიური გათხრებისა და აღმოჩენების თანამონაწილე იყო შლიმანის ბერძენი მეუღლე, სოფიო ენგასტრომენოსი.



ჰაინრიხ შლიმანი

## სოფლელი ბიჭუნას ოცნება

ბავშვები შობის დღესასწაულს სულმოუთქმელად ელოდებიან, განსაკუთრებით, ჰაინრიხი. ის ამჩნევს, რომ იმ ადგილზე, სადაც საჩუქრებია დაწყობილი, დიდი წიგნი დევს: „დოქტორი ერერი. მსოფლიო ისტორია ბავშვებისათვის.“

ბედნიერი ბიჭუნა სწრაფად ფურცლავს წიგნს. ჰაინრიხი მამას მიმართავს:

- მამა, ეს ტროაა, იგი იწვის, ვინაიდან ბერძნებმა დაიპყრეს და ყველანი ამოხოცეს. მაგრამ შენ შეცდი, როცა მითხარი, ბერძნებმა ტროა ისე დაანგრიეს, ქვა ქვაზე არ დატოვესო. დოქტორმა ერერმა კი ნახა ტროა. აბა, ისე როგორ გამოსახავდა?

მამას ეცინება, ეს მოგონილი ნახატიაო.

ჰაინრიხი ეკითხება, ისეთი სქელი კედლები ჰქონდა, როგორც ნახატზეა? კიო, პასუხობს მამა.

- შეუძლებელია, ისინი ერთიანად გამქრალიყო. ნანგრევებმა მიწაში ჩაიწია, ისინი ქვებით, მტვრითა და მიწითაა დაფარული! – ამბობს გამარჯვებული ჰაინრიხი.

ბიჭმა თითქოს რაღაც გადაწყვიტა, ჩაბღუჯა ერერის წიგნი და თქვა: **როცა გავიზრდები, მე გავთხრი ტროას!**

**ჰაინრიხ შლიმანი მაშინ 7 წლის იყო.**

ჰაინრიხ შლიმანი დაიბადა 1822 წლის 6 იანვარს ნოიბუკოვოში, გერმანიაში.

პასტორის შვილებიდან ჰაინრიხი ყველაზე მოუსვენარია, პატარაობიდანვე ამჟღავნებს სწრაფვას მდაბიო ხალხისკენ, ისმენს გლეხების მონათხრობს მოჩვენებებზე, აგროვებს სხვადასხვა ნივთს, თან ფანტაზიორობს: ეს უძველესი ურნის ნატეხებია და იმ ხალხს ეკუთვნოდა, დიდი ხნის წინ რომ ცხოვრობდა ამ ადგილებშიო. მოხუცი მნათე პრანგე უყვება ყაჩაღ ჰენინგ ბრანდენკირლზე, მის განძზე. ჰაინრიხი ყურადღებით უსმენს, მაგრამ მერე ეჭვები უჩნდება. მნათე ბრაზდება: ჯერ ერთი ციდა ხარ და ყველაფერი გინდა, იცოდე, შენ იმდენ კითხვას მისვამ, რამდენიმე ბრძენკაციც რომ ვერ გასცემს პასუხსო.

ჰაინრიხს უნდა, მსოფლიო მოიაროს. მანამდე თამაშებს ხელმძღვანელობს – ზარ-ზეიმით მარხავენ მკვდარ ჩიტს ან თაგვს ოქროსფოლგაგადაკრულ ყუთში-ვითომ ოქროს აკვანია, საფლავს ყორღანზე აღმართავენ ხოლმე. და როცა სოფლის ყველა ბავშვიც იყრის თავს, ტროას ომობანასაც თამაშობენ.

## "ნეტა, ამას დედა ხედავდეს!"

დედა, ლუიზა შლიმანი ნაზი, სიფრიფანა, მგრძნობიარე ქალია. თექვსმეტი წლის ლუიზა ყველაზე ლამაზი ქალიშვილი იყო მთელ შტერნბერგში. მაგრამ უკვე 8 შვილის დედაა და ძალიან მოტეხილიც. მთელი დღე დაუღალავად შრომობს.

ლუიზა კარგი დედა, მაგრამ საშუალო პედაგოგია. არ შეუძლია, ბავშვებს გაუბრაზდეს. ჰაინრიხს, რომელიც საოცრად ჰგავს დედას, ძალიან უყვარს იგი. 50 წლის შემდეგ დედის გარდაცვალებიდან, მის საფლავთან მდგარი, უკვე სახელგანთქმული შლიმანი თვალცრემლიანი ფიქრობს: „ნეტა, ამას დედა ხედავდეს!“

მამა-ერნსტ შლიმანი, თავდაჯერებული, ენერგიით სავსე ადამიანია, ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი. თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაფერი იცის, ყველაფერი შეუძლია. მასწავლებლობაც და პასტორის პროფესიაც მისთვის მხოლოდ საშუალებაა შეღავათიანი და უზრუნველი ცხოვრებისათვის. მუდამ იმას ფიქრობს, ვის რას გამორჩეს. სხვისი დარდისა თუ სურვილების, თვით შვილების



ქ. მიკენის კარიბჭე. შლიმანი - მაღლა ლომების გამოსახულებასთან. 1885 წ.



შლიმანი მუშაობის დროს

მიმართაც კი უგულოა. თუმცა მასზე მაღალ მდგომთ ემლიქნელება, დაბლა მდგომთ კი ქედმაღლურად უყურებს.

მაგრამ ერნსტს ერთი კარგი თვისება აქვს - უყვარს ჰომეროსი და ზეპირად იცის მისი ნაწარმოებები. ჰაინრიხს პატარაობიდან უნერგავს მათ სიყვარულს.

## საშინაო სწავლება

ჰაინრიხს სურს, დაეუფლოს ლათინურს. ბეჯითად სწავლობს, დაუზარებლად და გატაცებითაც კი აბრუნებს არსებით სახელებს და აუღლებს ზმნებს. უკვე იმდენი ლათინური იცის, სკოლაში რომ შეისწავლიდნენ. არითმეტიკაშიც კარგად აქვს საქმე. რაც შეეხება კატეხიზმოსა და ფსალმუნს, ორივე ზეპირად იცის. აქვს ჩინებული მეხსიერება, მამასაც კი სჯობნის. ზამთარში ბავშვებს ცეკვებსა და კარგ მანერებს ასწავლიან. ჰაინრიხი უბედურია - ვერც სიმღერას, ვერც ცეკვას თავს ვერ ართმევს - თითქოს ასი ფეხი აქვს, ან ორივე - მარცხენა.

## 9 წლის ჰაინრიხი და ოცნების გოგონა

ცეკვის მასწავლებლის, ფრაუ მაინკეს შვილი ჰაინრიხივით უნიჭოდ ცეკვავს; ამიტომ მათთან არავის სურს ცეკვა. ისინი თავის ნებაზე არიან მიშვებულნი. მაგრამ ჰაინრიხის მოსმენა უყვარს მინას, ისტორიის საოცრებები. ჰაინრიხს უხარია, მსმენელი რომ იპოვა. ათვალიერებინებს ციხე-სიმაგრეს, ერთად სინჯავენ გუბურის გაყინულ ზედაპირს. მინა და ჰაინრიხი ხშირად საუბრობენ მომავალზეც, ჯერ დავქორწინდებით, შემდეგ ოქროს აკვანსა და ჰენინგის განძს ვიპოვით, მერე კი ტროას გასათხრელად გავემგზავრებითო.

ჰაინრიხი მხოლოდ იმას დარდობს, რომ ჯერ ვერ წავლენ, ჯერ ხომ 9-9 წლისანიც არ არიან. ჯერ უნდა ისწავლონ. შენ კი ჩემი ერთგული უნდა დარჩე, ეუბნება მინას; ამიტომ, რაკი ქორწინება გადავწყვიტეთ, ერთმანეთს უნდა ვაკოცოთო. და მინას ლოყაზე კოცნის.

5 წლის შემდეგ კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, ორივეს თვალები ცრემლებით ევსება, ერთმანეთს ეხვევიან, მაგრამ ხმას ვერ იღებენ. ისინი ხვდებიან, რომ ეს არ არის მხოლოდ ბავშვური თამაში, მათ ერთმანეთი უყვართ. მაშინ ჰაინრიხი დაიფიცებს, რომ მინას გულისთვის მიაღწევს კიდეც გამარჯვებას. ამიერიდან მას ეკუთვნის მისი ყოველი ბრძოლა და წარმატება. არ მოისვენებს, ვიდრე არ გამდიდრდება, მერე მინასაც შეეხმიანება. მაგრამ 16 წლის შემდეგ, როდესაც წერილს აგზავნის მეკლენბურგში, მინა რომ საპატარძლოდ მოამზადონ, მოულოდნელად იგებს, რომ ის რამდენიმე დღის წინ გათხოვილა! ეს ამბავი თავზარს სცემს ჰაინრიხს, მაგრამ იკრებს ძალებს და კვლავ მიზნისკენ ისწრაფვის – აღმოაჩინოს ტროა.

## ნოიშტრელიცის გიმნაზიაში

დედის სიკვდილის შემდეგ მამა ჰაინრიხს კალკჰორსტში გზავნის ძმასთან. ლამაზი ადგილია, იქვე ტბორია, შეგიძლია, დაჯდე და ლათინური სიტყვები იზეპირო. მოსწონს სამრეკლო, იქიდან მთელი ქვეყნიერება ჩანს. თითქოს ტროაც მოახლოვდა. ჰაინრიხი ნოიშტრელიცის გიმნაზიაში მიჰყავთ. 12 წლის ბიჭი წარმატებით აბარებს გამოცდებს და მას პირდაპირ მეოთხე კლასში სვამენ.

ჰაინრიხი გასაოცარი სისწრაფით ეუფლება ცოდნას. ერთი წლით ადრე სწავლობს საპროგრამო მასალას. ეკონომიურად ცხოვრობს, რომ ნააღდგომევს ბერძნულის შესწავლას იწყებს. მაგრამ უცებ ყველაფერი სრულდება – მამას სამსახურიდან ათავისუფლებენ, სწავლას ვერ აგრძელებს.

მერე რეალურ სასწავლებელში გადადის, სადაც სწავლა უფრო იაფია. ახალ გარემოს იოლად ეჩვევა – იქაური ამხანაგები თავს არ იწონებენ სიმდიდრითა და ტიტულებით. ყველანი ერთნაირები არიან, ერთმანეთს არ დასცინიან. აქ ბევრი მეგობარი ჰყავს და აქაც ტროას ომის სცენებს აწყობს. ჰაინრიხი უკვე 14 წლისაა! ხელში სასწავლებლის დამთავრების მოწმობაც უჭირავს. მოწაფის ადგილი უნდა იშოვოს ფიურსტენბერგში, ე. ი. უნდა გახდეს ნოქარი.



ტროას ამფითეატრი

## ხვეტავს, რეცხავს, ხეხავს...

ჰაინრიხი ფიურსტენბერგში ჩადის და ჰოლცის სავაჭროში მოწაფედ ეწყობა. დილის 5 საათიდან ღამის 10 საათამდე მუხლჩაუხრელად შრომობს; ხვეტავს, რეცხავს, შეშას ჩეხავს, ღუმელს ანთებს, ალაგებს, ასუფთავებს სავაჭროს, ამტვრევს შაქარს. სახლში მიტანით ემსახურება მდიდრებს.

მოულოდნელად ზამთარში ჰოლცი კვდება. მოწაფეებს ნებას რთავენ, დამოუკიდებლად ივაჭრონ. მთელი წელი

დაძაბულია, ვიდრე ახალი ნოქარი არ ჩამოდის, ახალი პატრონი. იგი კიდევ უფრო მეტს სთხოვს მოწაფეებს. ჰაინრიხი იტანჯება, ყველაფერს აბრალებს მამას, რომელსაც ღვინის სმა, ფუფუნება და ქალები უყვარდა. ამიტომაც ჰაინრიხი ზომიერებასა და პატიოსნებას ესწრაფვის.

ასე გადის მძიმე შრომაში 5 წელიწადი.

ერთ ღამეს, როცა მარტოა, კარს უცხო ლამაზი ახალგაზრდა შემოაღებს. ჰაინრიხი თურმე იცნობდა მამამისს. ერთმანეთს გამოელაპარაკებიან. სტუმარს გიმნაზიაში უსწავლია. ჰაინრიხი სთხოვს, ბერძენი პოეტები თუ ახსოვს, წაუკითხოს. დასალევის სანაცვლოდ სტუმარი უკითხავს ლექსებს. ჰაინრიხი აღფრთოვანებულია. ისევ უბრუნდება ტროაზე ოცნებას. დიდი ხნის შემდეგ პირველად ლოცულობს.



სოფია ენგასტრომენოსი – შლიმანის მეუღლე*

## „შლიმანის მეთოდით"

დედის მემკვიდრეობიდან უმნიშვნელო წილის მიღების შემდეგ ჰამბურგში მიემგზავრება სამუშაოს მოსაძებნად. ძვირფასი დრო არ უნდა დაკარგოს, თუ მდიდარი არ ხარ, ამის ფუფუნება არ გაქვს. იწყებს მუშაობას, მაგრამ მალე უშვებენ სამუშაოდან-ტვირთის ზიდვისას პირიდან სისხლი სდის. იცვლის რამდენიმე ადგილს, მაგრამ უკვე ყველამ იცის მისი ავადმყოფობის შესახებ. ჰაინრიხი მაინც თავგანწირვით ებრძვის დაავადებას, უთენია დგება, სუფთა ჰაერზე სეირნობს, შემოდგომაზე ელბის ყინულივით ცივ წყალში ბანაობს. მაინც ახველებს, სისხლს აფურთხებს, ოფლად იღვრება, სიცხეები აქვს. თითქმის შიმშილობს. ბინის ქირას სთხოვენ. იძულებულია, ბიძას წერილი მისწეროს, 10 ტალერი სთხოვოს. ფულს დამცირების ხარჯზე იღებს.

ერთ დღეს ნავსადგურის ბაქანზე სამუშაოს საძებნელად ხეტიალისას, წარმოსადეგ მამაკაცს, კანტორის მაკლერს ხვდება. მეკლენბურგიდან ხომ არ ხარ, ლუიზას შვილიო, კითხულობს ის (ლუიზას გარდაცვალების ამბავსაც მაშინ იგებს). ლუიზას ბავშვობის მეგობარს, კეთილ ძია ვენდტს ჰაინრიხი თავისთან კანტორაში მიჰყავს და კარგადაც უმასპინძლდება. ჰაინრიხი, თუმცა კუჭი შიმშილით ეწვის, საჭმელს არ აცხრება, რომ არ იფიქრონ, მშიერიაო. მაგრამ ძია ვენდტს თავის შესახებ ყველაფერს უყვება. ვენდტი სამსახურს ჰპირდება.

დანიშნულ დღეს დედის მეგობარმა სამუშაო შესთავაზა ვენესუელაში, სადაც გემ „დოროთეას" უნდა გაჰყოლოდა. მანამდე დროებით სამუშაოზეც აწყობს, რაშიც შლიმანი საკმაო ანაზღაურებას იღებს. იმ 10 ტალერსაც** უბრუნებს ბიძას. ჰაინრიხი ბედნიერია - უვალოდ მიდის ჰამბურგიდან.

ჰაინრიხი ისევ განათლებაზე ფიქრობს - ყიდულობს ესპანურის სახელმძღვანელოს, რომ დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე ამ ენას დაეუფლოს. თითქოს ბედი წყალობს, მაგრამ უეცრად მოვარდნილი ქარიშხალი გემს ნამსხვრევებად აქცევს. ჰაინრიხი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიაში არიან, კუნძულ ტექსელზე. ადგილობრივები ეხმარებიან. ჰაინრიხი კონსულსაც ხვდება, კატეგორიულად ითხოვს, გერმანიაში არ დააბრუნონ და ამსტერდამში გააგზავნონ. არც ფული აქვს, არც ენები იცის, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს.

უკვე ამსტერდამში ჩასული ისევ ძია ვენდტისგან წერილსა და ფულს იღებს. შლიმანი ბედნიერია. სავაჭრო ფირმის კანტორაში შიკრიკად იწყებს მუშაობას. ფულს ზოგავს, ისევ და ისევ განათლება რომ გაიღრმავოს. უპირველესად, ენები უნდა ისწავლოს. იწყებს გერმანულით, რადგანაც ის მხოლოდ მის დიალექტზე ლაპარაკობს.

ასე თანდათან გამოიმუშავებს ე. წ. „შლიმანის მეთოდს" - რაც შეიძლება, ხმამაღლა იკითხოს უცხო ენებზე, მიეჩვიოს არა მარტო სწორ გამოთქმას, ხშირადაც უნდა ესმოდეს ეს სიტყვები. შემდეგ თვითონ შეთხზავს ფრაზებს, მასწავლებელს გაასწორებინებს და ახლა ამას სწავლობს. ასე შეუძლია, ნებისმიერ უცხო ენას 5-6 თვეში დაეუფლოს. ამ მეთოდით საფუძვლიანად ეუფლება გერმანულს, ინგლისურს, ჰოლანდიურს, ესპანურს, ფრანგულს, იტალიურსა და პორტუგალიურს. სარეკომენდაციო წერილით მიდის ფირმა „შრიოდერთან". როდესაც მის ენობრივ შესაძლებლობებს იგებენ, ულაპარაკოდ იღებენ სამსახურში.

შლიმანი, ენების გარდა, საქმის დიდ ცოდნას ავლენს. ამიტომ მუდმივ თანამშრომლად იყვანენ და გასამრჯელოს უმატებენ.

შლიმანი ამანათებს უგზავნის ახლობლებს, თვითონ კი კვლავ მოკრძალებულად ცხოვრობს.

რუსულ ბაზარზე გასასვლელად რუსულ ენასაც სწავლობს. პოულობს მსმენელსაც, მოხუც ჰოლანდიელს და მას



შლიმანის მიერ ნაპოვნი ოქროს განძეულობა

* - სოფია ტროას სამკაულებით, რომლითაც ის ერთადერთხელ შეიმოსა.
** - ძვეებური გერმანული ვერცხლის მონეტა.


სოფია და ჰაინრიხი. ქორწინების ფოტო

მოსმენისთვის თანხასაც კი უხდის. როდესაც რუს კომერსანტებს ხვდება და მათ რუსულად ელაპარაკება, ყველა გაოცებულია. ცოტა ხნის შემდეგ შემოთავაზებასაც იღებს რუსეთიდან დიდი ანაზღაურებით. შლიმანი ძმებ შრიოდერებს მაინც არ ღალატობს და ისინიც უფასებენ ერთგულებას - პეტერბურგში გზავნიან ფირმის წარმომადგენლად. ჰაინრიხ შლიმანი უკვე 22 წლისაა.

შლიმანი ავლენს კომერციის უდიდეს ნიჭს, მისი ქონება უკვე ძალიან დიდია. მას ყველგან იცნობენ, აფასებენ, ის ყველგან მიღებულია. ყველაფრისგან სარგებელს ეძებს, წარმატებას წარმატება მოსდევს, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. კვლავ სწავლობს ენებს; ამჯერად: პოლონურს, შვედურს, დანიურსა და სლოვენურ ენებს. საქმეებში ჩაფლული შლიმანი რასაც ეხება, მეფე მიდასივით, ყველაფერს ოქროდ აქცევს. მაგრამ არ ავიწყდება ახლობლები, ზრუნავს მათზე, უნიშნავს პენსიებს, რომ მათ შორის არავინ იყოს გაჭირვებული. და ყველაზე მთავარი, არ ავიწყდება თავისი ოცნება – გათხაროს ტროა.

საბერძნეთიდან იწვევს პედაგოგებს, თავისი მეთოდით იწყებს ბერძნულის სწავლას – ჯერ ახალ ბერძნულს ეუფლება, შემდეგ ძველს - თავისი ბავშვობის ოცნების ენას.

## „იგი ესწრაფვოდა დიადს...“

პირველი ქორწინება რუს ეკატერინა ლიჟინასთან უიღბლო აღმოჩნდა. მიუხედავად საერთო შვილებისა, შლიმანს არაფერი აკავებს პეტერბურგში. უნდა გაშორდეს, მაგრამ ეკატერინა ამაზე არ თანხმდება. შლიმანი სამოგზაუროდ მიდის. მთელ მსოფლიოს მოივლის, მოინახულებს ეგვიპტის პირამიდებს, ამერიკის კონტინენტს (იღებს ამერიკის მოქალაქეობას), წმინდა მიწას - იერუსალიმსა და მექას, საკუთარი ფეხით მოივლის ჩინეთის დიდ კედელს, იაპონიას. დროს არც ახლა კარგავს, კითხულობს ბერძნულ ნაწარმოებებს, სულ უფრო უახლოვდება ტროას. ეკატერინასთან განქორწინების შემდეგ ცოლად ირთავს ბერძენ ქალიშვილს, შესანიშნავ სოფია ენგასტრომენოსს. 30 წლით უმცროსი სოფია კარგ მეუღლეობას უწევს შლიმანს. საბერძნეთის სიყვარულით შვილებს ანდრომაქესა და აგამემნონს არქმევენ. შლიმანი ფუძნდება ათენში და იქ გემოვნებიან სასახლესაც იშენებს. სოფია დაჰყავს საზოგადოებაში, ასწავლის ენებს. ორივე ემზადება ტროას გათხრებისთვის.

ჰაინრიხ შლიმანმა ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით გათხრები დაიწყო ზღვასთან ახლოს, „ჰისარლიყის ბორცვზე“, რაც თურქულად სასახლეს ნიშნავს (გათხრების დროს სწავლობს თურქულსაც და არაბულსაც). 1873 წლის 14 ივნისს შლიმანმა მიაკვლია ტროას მეფის, პრიამოსის განძს. 1876 წელს კი გათხარეს მიკენი. შლიმანის აზრით, ეს იყო მიკენის მეფის, აგამემნონის სამარხი და საგანძური (თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იგი უფრო გვიანდელი იყო). 1884-85 წლებში შლიმანის ექსპედიციამ გათხარა ქალაქი ტირინთი, აღმოაჩინა ჰომეროსამდელი დროის ეგეოსის კულტურა, რომელსაც დღეს კრეტა-მიკენის კულტურას უწოდებენ.

იმ დროს საბერძნეთის ეს ნაწილი - „ჰისარლიყის ბორცვი“ - თურქეთს ემორჩილებოდა. გათხრებისათვის ნებართვის აღება შლიმანს თურქეთის ხელისუფლებისაგან ძალზე გაუძნელდა. სწორედ ამიტომ მოპოვებული საგანძური შემდგომში ჩუმად გადაგზავნა თავის სამშობლოში.

შლიმანის მიერ ნაპოვნი ოქრო კილოგრამობით განიზომებოდა. ამან იგი ხალხის თვალში ჯადოქრად, განძის მაძიებლად, ოქროს მომპოვებლად აქცია. უღარიბესი ადამიანიდან მილიონერამდე – ყველაფერს მიაღწია ნიჭით, რისკითა და იღბლიანობითაც კი. თუმცა ბევრი მას არ აღიარებდა, შეშლილსა და მატყუარასაც კი უწოდებდნენ. მაგრამ განა შლიმანის მნიშვნელობა მცირდება იმით, რომ იგი ნაპოვნი განძის დათარიღებისას ცდებოდა?

შლიმანი სამუდამოდ დარჩება იმ ადამიანად, რომელმაც იპოვა ტროა და გვაჩუქა საბერძნეთის ისტორიის მთელი ათასწლეული.

შლიმანი იტალიის ქალაქ ნეაპოლში 1890 წლის 26 დეკემბერს ტვინის ანთებით გარდაიცვალა. ის ათენში დაკრძალეს მეფური პატივით. საბერძნეთმა მის საფლავზე ორად-ორი სიტყვა მიაწერა: „გმირ შლიმანს“.

გერმანიაში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე შლიმანის მეგობარმა ვირხოვმა თქვა: „იგი ესწრაფვოდა დიადს და მიაღწია კიდეც მას... ერთხელაც არ უთქვამს უარი იმ იდეალებზე, რომელიც ჯერ კიდევ ბიჭუნას სულში ჩაისახა“.


შლიმანის სასახლე ათენში, სადაც ის გარდაიცვალა

# სარჩევი


ეთნოკულტურა
ესმა მანია -
გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე)
აფხაზური დღიურები ........ 3

ზღვისპირა იალქიალი ........ 6

პროზა
ნუგზარ შატაიძე -
ზამთრის სურათი ........ 7
სადღეგრძელო ........ 8

ქვათა ღაღადი
ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ........ 10

პოეტის ერთი ლექსი
ბესიკ ხარანაული -
ნანა, საქართველოს მიწავ! ........ 11

სხვა საქართველო
ლალი მიქაძე -
ღმერთს ეზარებოდეთ ........ 12

ო, ენავ ჩემო
სულხან-საბა ორბელიანი -
ქვის მთლელის ამბავი (იგავი) ........ 16

დაუსრულებელი სოხუმელი
თემურ ბასილაია -
პაზლი შესავსებია ........ 18

კირიე ელეისონ
დეკანოზი გიორგი (წეროძე) -
მადლიერება – სულის საკურნებლად ........ 21

პოეზია
გელა ჩქვანავა ........ 24

რუსთაველი - 850
იოსებ ჭუმბურიძე -
„ნეტა ვინ მოჰქარგა“ ........ 25

პროზა
ნუნუ ჯანელიძე -
ხვალვე უნდა დავტოვოთ აქაურობა ........ 28

ირმის ნახტომი ........ 32

სამშობლო უცხოეთში
სალომე კაპანაძე -
„მშვიდობით, ვეღარ დაგიბრუნდები!“ ........ 33

უცნობი ისტორიები
ანტონ ბობოხიძე -
მართა ბებია და სიყვარულის ლამაზი ამბავი ..... 36

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან
ნანა ქარდავა -
გალაკტიონი, მისი სახლი სოხუმში
და შეცდომით დასათაურებული წიგნი ........ 39

თარგმანი
შოტლანდიური ლეგენდა -
რაც ინატრა ელფების დედოფალმა ........ 42

ნომრის სტუმარი
ნანა ჭანტურია -
გოგა პიპინაშვილი: „ჩემთვის მთავარია
ურთიერთობები“ ........ 44

ერთხელ ........ 48

საუკეთესო გაკვეთილი
მედეა კუპრეიშვილი -
მოსკოველი მეცენატის სოხუმური საქმე ........ 49

დაფიონი
კესო შედანია -
მამიკო და დილის განწყობა ........ 52
სიყვარული არა ის... უსათაურო ........ 53

უბის წიგნაკში ჩანერილი ლექსები
ლიანა ბარბაქაძე ........ 54

გენიოსები ბავშვობაში
ჰაინრიხ შლიმანი ........ 55



**ჩვენი მისამართია:**
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 3 (35). 2016 წ.
აფქიო № 3 (8). 2016 წ.

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელშეკრულებო.

ჟურნალი გამოდის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და
უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით



"გზა ტაძრისკენ". ლიზი ლიპარტია. 12 წლის.